1425
2012

# არსენალი

№23 (170) 9-22 ნოემბერი, 2012 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი ფასი 2 ლარი

## ირაკლი ალასანია: ბევრი სამხედრო პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა

## ექსკლუზივი
## თავდაცვის ჩინოვნიკების უპასუხისმგებლობას შვეულმფრენი შეეწირა

## საქართველოში 320 ბირთვული ქობინი ინახებოდა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ისინი ცხინვალის ქუჩებში ბრძოლებს იხსენებენ... 8



ბირმელი მუსლიმანების ბრძოლა 25



დამრტყმელი უპილოტოები 22

აგვისტოს ომის ცხელი დღეები ფოთში 14




სპეცსამსახურებში ავგიას თავლა გასაწმენდია 17



წყალქვეშ და ჰაერშიც სასროლად 52



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

29

**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**ინტერვიუ**

7 ბლიც-ინტერვიუ ირაკლი ალასანიასთან

**მებრძოლი**

8 ისინი ცხინვალის ქუჩებში ბრძოლებს იხსენებენ...

**ექსკლუზივი**

11 თავდაცვის ჩინოვნიკების უპასუხისმგებლობას ქართული შვეულმფრენი შეეწირა

**აგვისტოს ომი**

14 აგვისტოს ომის ცხელი დღეები ფოთში

**სპეცსამსახურები**

17 სპეცსამსახურებში ავგიას თავლა გასაწმენდია

**რეგიონი**

20 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

**ინოვაციური ტექნოლოგიები**

22 შეიარაღებული და განსაკუთრებით საშიში

**კონფლიქტები, კრიზისები**

25 რაქჰაინი — ეკუთვნით თუ არა დამოუკიდებლობა ბირმელ მუსლიმანებს?

**მეომრები**

30 500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

**ფლოტი**

34 კატარღები 1992-93 წლების აფხაზეთის ომში

**სპეცდანაყოფები**

37 ჩეხეთის პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი

**100 დიდი მხედართმთავარი**

40 ჯონ კემპბელი — არგაილის ჰერცოგი

**ორი სტიქიის მბრძანებლები**

42 საგემბანო ავიაცია

**ლიტერატურული გვერდი**

45 ვანათის ღამე

**დაიცავი თავი**

48 საბრძოლო ხელოვნებაში ადამიანის დაფარული შესაძლებლობების გამოყენება

**სამხედრო ისტორიები**

50 საქართველოში 320 ბირთვული ქობინი ინახებოდა

**იარაღის გალერეა**

53 წყალქვეშ და ჰაერში სასროლად

გარეკანზე: უნგრეთის საჰაერო ძალების საბრძოლო შვეულმფრენი Mi-24V

პალიტრა მედია

## რედაქციისგან

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბებს ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე უხელმძღვანელებს, მიუხედავად იმისა, რომ ის უფროსად კი არა, არამედ მის პირველ მოადგილედ დანიშნეს. თუმცა, ეს წმინდა პოლიტიკური მანევრებია, რადგან პრეზიდენტს, შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, არაფრით არ სურს შტაბის უფროსის გიგი კალანდაძის დათმობა. თავად კალანდაძე არ ებღაუჭება სავარძელს და საზღვარგარეთ სასწავლებლად გაშვებას ითხოვს.

„არსენალისთვის" საამაყოა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბრიგადის გენერალ ვახტანგ კაპანაძეს ჩვენს ჟურნალში ორი რუბრიკა „ტაქტიკა" და „ლოკალური ომები" მიჰყავდა, რომლებიც სამხედრო საქმით დაინტერესებული მკითხველის დიდ ინტერესს იწვევდა.

მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
5.11.2012

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

# აშშ-ის არმიის სპეცდანაყოფს ახალი მანქანა დაუმზადეს



კომპანია Northrop Grumman-მა აშშ-ის არმიის სპეცდანაყოფისთვის ახალი სამხედრო ავტომობილი შექმნა. მოდელს სახელად MAV-L დაარქვეს და მის შექმნაში BAE Systems-ისა და Pratt & Miller-ის სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ. ავტომობილის (4X4) ტრანსპორტირება შვეულმფრენ Boeing Chinook-ს ან თვითმფრინავ Lockheed C-130-ს შეუძლია. მანქანა აღჭურვილია 4,4-ლ-იანი, ოთხცილინდრიანი, 220-ცხ.ძ-იანი დიზელის ძრავით. ავტომობილი 6 კაცს იტევს და სხვადასხვა აღჭურვილობისა თუ შეიარაღების, მათ შორის ტყვიამფრქვევის ტურელის დაყენებაც შესაძლებელია.

3,4-ტონიანი MAV-L-ის მაქსიმალური სიჩქარე ტრასაზე 130 კმ/სთ-ში, ცუდ გზაზე კი 100 კმ/სთ-ში შეადგენს.

# ევროპას ახალი უპილოტო შვეულმფრენი აქვს

ევროპულმა კომპანია „კასიდიანმა“, რომელიც კონცერნ EADS-შია გაერთიანებული, ზღვისა და ხმელეთის თავზე სხვადასხვა ოპერაციისთვის კომპაქტური შვეულმფრენი TANAN 300 წარმოადგინა. უპილოტო შვეულმფრენის მისია დაზვერვითი ოპერაციები იქნება.

აპარატი აღჭურვილია მაღალი გარჩევადობის ვიდეოკამერით, ელექტრულ-ოპტიკური და ინფრაწითელი კამერებით. შვეულმფრენს ასევე აქვს გემების ავტომატური იდენტიფიკაციის სისტემა AIS (Automatic Identification System) და „შენი-უცხოს“ დადგენის სისტემა.

TANAN 300-ის ფრენის მაქსიმალური ხანგრძლივობა 8 სთ-ია, მოქმედების რადიუსი 180 კმ და ბორტზე 50 კგ-მდე ტვირთს იტევს. დაფრინავს — 20 გრადუს ყინვაში და +50 გრადუს ტემპერატურაზე მუშაობს.



# სამხედრო მფრინავებს ანტილაზერული სათვალე სჭირდებათ



ამერიკული სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ლაბორატორია DSTL ცდის ახალი ტიპის სათვალეს, რომელმაც მფრინავთა თვალები ლაზერული გამოსხივებისგან უნდა დაიცვას.

ახალი ანტილაზერული სათვალე სხვადასხვა სიგრძის ტალღის ლაზერულ სხივებს შეაკავებს, მათ შორის ისეთებსაც, რომელთაც სამხედრო ლაზერულ იარაღსა და ლაზერულ მომნიშვნელებში იყენებენ. ამ უკანასკნელმა ბოლო დროს განსაკუთრებით ფართო გამოყენება ჰპოვა და უკვე არაერთი სავალალო შემთხვევაცაა ცნობილი, როცა ლაზერული მომნიშვნელის ზემოქმედებამ სამოქალაქო ავიაციის პილოტთა სიბრმავე გამოიწვია.

ამერიკელი სამხედროები შიშობენ, რომ დამაბრმავებელი ლაზერები, მათ შორის უბრალო მომნიშვნელები, სამხედრო პილოტებისთვისაც კი შეიძლება საფრთხედ იქცეს.

ტაქტიკური თვალსაზრისით, დამაბრმავებელი ლაზერი შეიძლება ეფექტიანი იყოს მოიერიშე პილოტებზე ზემოქმედებისთვის, მისი მიწაზე დაშვებისას. იგივე შეიძლება ითქვას დაბალ სიმაღლეზე მფრენი შვეულმფრენის პილოტზეც.

ჩვეულებრივი ანტილაზერული სათვალისგან განსხვავებით, რომელიც მფლობელს მხოლოდ ერთი კონკრეტული სიგრძის ტალღის მქონე ლაზერისგან იცავს, კომპანია Thin Film Solutions-ის სათვალის პროტოტიპი ერთბაშად რამდენიმე ტიპის სხივის გაუვნებლებაზეა გათვლილი, რაც კომპოზიტური შუშისა და მასზე გაკეთებული პოლიკარბონატის ფენის დამსახურებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინიატიურულ წყალქვეშა ნავს დასამალად 15 მ სიღრმის აკვატორიაც ჰყოფნის




ფრანგულმა გემთმშენებელმა კომპანია **DCNS**-მა პირველად წარმოადგინა ახალი წყალქვეშა ნავის **SMX 26**-ის კონცეფცია. მინიატიურული ნავი ისეთი სანაპირო ზონებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც სიღრმის გამო ჩვეულებრივი წყალქვეშა ნავებისთვის მიუვალია.

**SMX 26**-ს 15 მეტრზე ნაკლები სიღრმის აკვატორიაში ხანგრძლივი დროით უმოძრაოდ ყოფნა, გარემოზე დაკვირვება და საჭირო დროს საბორტო შეიარაღებით მიზანზე იერიშის მიტანა შეუძლია.

ხომალდის ბორტზე განთავსებული სენსორების კომპლექსი როგორც წყალქვეშ, ისე წყლის ზედაპირზე, დაკვირვების საშუალებას იძლევა. ნავი 20 მმ-იანი ქვემეხითა (წყალზედა სამიზნეებისთვის) და სარაკეტო კონტეინერითაა (საჰაერო სამიზნეებისთვის) აღჭურვილი და 6 წყალქვეშა მებრძოლს იტევს. წყალქვეშა ნავის შეტევითი შეიარაღება კი 2 მძიმე და 8 მსუბუქი ტორპედოა.

# „ბოინგმა“ ელექტრონიკის მწყობრიდან გამომყვანი რაკეტები გამოცადა

კომპანია „ბოინგმა“ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალისტებთან ერთად გამოცადა ახალი რაკეტა, რომელსაც ელექტრომაგნიტური იმპულსებით მოწინააღმდეგის ელექტრონული აპარატურის მწყობრიდან გამოყვანა შეუძლია.

მიკროტალღური რაკეტა CHAMP-ის საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაო კომპანია „ბოინგმა“ 2009 წელს დაიწყო და ის 38 მლნ დოლარი დაჯდა.

ახალი რაკეტის გამოცდა იუტის შტატის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე გამოიცადა. ტესტებისას რაკეტებმა ერთიმეორის მიყოლებით შეძლეს ახლომდებარე ორსართულიან სახლებში ელექტროტექნიკის მწყობრიდან გამოყვანა.



# ამერიკელი ჯარისკაცები და „იუთუბის“ სინდრომი



ომგამოვლილ ამერიკელ მებრძოლებში ახალი „მოდა“ დამკვიდრდა, — ისინი ინტერნეტში ავღანეთსა და ერაყში გადაღებულ ვიდეორგოლებს დებენ. ამ კლიპების შინაარსი არცთუ იშვიათად შოკის მომგვრელია, ზოგჯერ უხამსი და არაეთიკურიც. ასეა თუ ისე, ფსიქოლოგები მათში ე. წ. ომის შემდგომი სინდრომის კიდევ ერთ გამოვლინებას ხედავენ.

მაგალითად, **YouTube**-ზე უკვე 22 მლნ-ჯერ ნახეს და 75 ათასი კომენტარი გაუკეთეს სამწუთიან ვიდეორგოლს, რომელიც „მთავარი გმირის“ ჩაფხუტზე დამონტაჟებული კამერითაა გადაღებული. მებრძოლი-ოპერატორი ქვიანი გორაკიდან ქვემოთ ჩარბის, ხელში ავტომატი უჭირავს და თან ისვრის. ისმის საპასუხო სროლაც. „მთავარი გმირი“ ცდილობს, მოძებნოს თავშესაფარი, მაგრამ დაიჭრება და ძირს ეცემა...

კლიპის აღწერაში ნათქვამია, რომ მთავარი მოქმედი პერსონაჟი ავღანურ მისიაში მონაწილე მე-4 ქვეითი დივიზიის მებრძოლი ტედ დენიელსია. მას თალიბი ბოევიკები ესვრიან, თუმცა ჭრილობის მიუხედავად, მაინც ახერხებს გასაჭირში მყოფ თანამებრძოლთა დახმარებას.

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ ასეთი ფილმების რიცხვი უფრო გაიზრდება. ომგამოვლილი მებრძოლებისთვის ეს ერთგვარი თერაპიაა. საკუთარი ვიდეორგოლების პუბლიკაციით ისინი ცდილობენ თავიანთ ახლობლებს ანახონ ის, რასაც სიტყვებით ვერასდროს გადმოსცემენ.



საქართველოს პარლამენტის

## ჩინეთ-იაპონიის თეატრალიზებულ ომში მოხალისეებს იწვევენ!



ჩინეთსა და იაპონიას შორის სადავო კუნძულებთან დაკავშირებული უთანხმოებისა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუარესების ფონზე, ჩინეთში სულ უფრო პოპულარულია ერთგვარი თემატური პარკები, სადაც იაპონიისა და ჩინეთის არმიების ჯარისკაცთა ფორმებში გამოწყობილი მსახიობები და მსურველები „ომობანას" აჩაღებენ.

თუმცა, ჩინურ „ომობანას" ის თავისებურება აქვს, რომ გამარჯვებული საბოლოოდ ყოველთვის მხოლოდ ერთი მხარე — ჩინეთის სახალხო არმია გამოდის, მანამდე კი „ბოროტი" იაპონელი ჯარისკაცები, რომლებიც „კეთილ" ჩინელ გლეხებზე აგრესიას ანთხევენ, მოურიდებლად და ამაზრზენად მოქმედებენ.

ისინი, ვისაც ხელში იარაღის აღება და თეატრალიზებულ წარმოდგენაში მონაწილეობა დიდად არ ხიბლავთ, „საზიზღარი ოკუპანტების" დამარცხებას შორიდან უცქერენ.

## ბრიტანელი „მეთოფეები" ხელისუფლებას სამი საუკუნის შემდეგ პირველად შემოსწყრნენ

ახლახან დიდ ბრიტანეთში სამეფო ფუზილერთა პოლკის 400-ზე მეტმა ვეტერანმა საპროტესტო მსვლელობა მოაწყო, რაც პარლამენტის შენობასთან პიკეტით დასრულდა. ვეტერანთა ასეთი ქცევის მიზეზი ხელისუფლების გეგმა გახდა, რომელიც არმიის რეორგანიზაციის გამო მე-2 პოლკის 1-თან შეერთებას ითვალისწინებს.

ვეტერანები წუხან, რომ მე-2 სამეფო ფუზილერთა პოლკი 1674 წლიდან ბრიტანეთის ტახტის ყველა სამხედრო კამპანიაში მონაწილეობდა და მისი გაუქმება, სხვა რომ არაფერი, ტრადიციების უპატივცემულობაა.

სხვათა შორის, ფუზილერები აქამდე თავს იმითაც იწონებდნენ, რომ ტახტის ერთგულებით გამოირჩეოდნენ, — თურმე პოლკის მოსამსახურეებს ხელისუფლებაზე აუგი საჯაროდ 1694 წლის შემდეგ არ დასცდენიათ.

ცნობისთვის: ფუზილერები ჩვეულებრივი მეთოფეები არიან, რომლებსაც ზოგიერთი ქვეყნის არმიებში მუშკეტერებად მოიხსენიებდნენ.



## ტუნისურ საბავშვო ჟურნალში „მოლოტოვის კოქტეილის" დამზადების მეთოდი დაიბეჭდა

ტუნისში გაუგონარი სკანდალი დაიწყო, — საბავშვო ჟურნალმა პატარა მკითხველებს ერთ-ერთ რუბრიკაში ასაფეთქებელი ხელსაწყოს დამზადების რეცეპტი შესთავაზა. ლაპარაკია ე.წ. მოლოტოვის კოქტეილზე.

ახლა ტუნისური ჟურნალის „ცისარტყელას" რედაქტორებს გამოქვეყნებული სკანდალური სტატიის გამო მშობლები სასამართლოში ჩივილით ემუქრებიან.

აი, როგორ რჩევა-დარიგებას აძლევს პატარებს ჟურნალი: „მოწყობილობას ცეცხლი აუცილებლად სროლის წინ უნდა მოუკიდოთ და მაშინვე მოწინააღმდეგის მხარეს ისროლოთ. მოხვედრისას ის გასკდება და სამიზნეს გაანადგურებს".

ცნობისთვის: „მოლოტოვის კოქტეილი" თვითნაკეთი საბრძოლო საშუალებაა, რომელიც ადვილად აალებადი ნივთიერებით (ბენზინით, ზეთით ან სპირტით) გაჯერებული შუშის ბოთლისა და ჩვრისგან შედგება. სახელწოდება მან მეორე მსოფლიო ომის დროს ფინელი ჯარისკაცებისგან, სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრისა და სტალინის თანაშემწის, ვიაჩესლავ მოლოტოვის პატივსაცემად მიიღო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბევრი სამხედრო პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა“

**ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ბლიც-ინტერვიუს საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან, რომელსაც ძალზე აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრეთ. მას შემდეგ, რაც იგი სამხედრო ნაწილებში გაცნობით შეხვედრებს დაასრულებს, „არსენალის“ მკითხველს თავდაცვის ახალ მინისტრთან ვრცელ ინტერვიუს შევთავაზებთ.**



## თავდაცვის ახალი მინისტრის ხედვები პრიორიტეტულ საკითხებზე

**— ბატონო ირაკლი, მოსალოდნელია თუ არა თავდაცვის სამინისტროში სერიოზული საკადრო ცვლილებები, თუ საქმე მხოლოდ თავდაცვის მინისტრების შეცვლით შემოიფარგლება?**

— ბოლო წლებში ძალიან ბევრმა პროფესიონალმა, გამოცდილმა, სამხედრო თუ სამოქალაქო კადრმა დატოვა თავდაცვის სამინისტრო, რასაც სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. ამა თუ იმ კადრის პოლიტიკური და პირადი განწყობა ხშირად ხელმძღვანელობის მცდარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ხდებოდა. ჩემი სურვილია, ნებისმიერ კადრზე მიღებული გადაწყვეტილება პროფესიონალიზმსა და ქვეყნის ერთგულებას ეფუძნებოდეს. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობის დონეზე, როგორც სამოქალაქო, ასევე შეიარაღებულ ძალებსა და გაერთიანებულ შტაბებში, გადახალისება მოხდება, მაგრამ შენარჩუნდება ის საშუალო საშემსრულებლო რესურსი, რომელიც პოლიტიკური ცვლილების მიუხედავად, დამოუკიდებელი უნდა იყოს.

ასე რომ, ჯერ კიდევ ვხვდები სხვადასხვა თანამდებობის პირებს, დეპარტამენტების თავმჯდომარეებს და ამის შემდგომ მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას.

**— რა კრიტერიუმით შეარჩიეთ ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე და რატომ დაინიშნა ის გაერთიანებული შტაბების უფროსის პირველ მოადგილედ და არა უფროსად?**

— გენერალ ვახტანგ კაპანაძეს დიდი ხანია ვიცნობ. მას საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში წარმოებულ თითქმის ყველა ომში აქვს საბრძოლო გამოცდილება მიღებული, ვგულისხმობ 90-იანი წლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებში. ვახტანგ კაპანაძეს აქვს გამორჩეულად სრულყოფილი და ღრმა სამხედრო განათლება. მე ვიცნობ მის პიროვნულ თვისებებსაც, ვინაიდან ჩვენ ერთ დროს მოგვიწია თავდაცვის უწყებაში მუშაობამ, — მე ვიყავი მინისტრის მოადგილე და ის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი. გარდა ამისა, ის არის პატრიოტი და ერთ-ერთი საუკეთესო კანდიდატურა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ მოადგილედ და არა უფროსად, ტრანზიციის პერიოდში, როდესაც არჩევნები დასრულდა, საქართველოს პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა გაერთიანებული შტაბის უფროსის შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო. მე უწყებაში დამხვდა ახალგაზრდა გენერალი გიორგი კალანდაძე, რომელთანაც კარგი, სამუშაო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ჩვენ შევთანხმდით, რომ მას ღრმა სამხედრო განათლება აკლია და ის მას საზღვარგარეთ დახვეწს. მანამდე მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ვახტანგ კაპანაძე დაინიშნოს მის პირველ მოადგილედ, რათა სამხედრო შეიარაღებულ ძალებზე სრული კონტროლი დააწესოს.

**— იქნებით თუ არა ინიციატორი, რომ სასამართლოებმა გადახედონ იმ სამხედროების საქმეებს, რომლებიც წინა ხელისუფლებამ, სავარაუდოდ, პოლიტიკური მოსაზრებით არაკანონიერად დააპატიმრა?**

— ვიცი, რომ ძალიან ბევრი, ძალიან ღირსეული სამხედრო მოსამსახურე პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა, მაგრამ ყველა საქმე ინდივიდუალურად იქნება შესწავლილი და შემდგომ განხილული. რა თქმა უნდა, სასამართლოს ფუნქციებში ვერ ჩავერევით, მაგრამ ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელიც თავის დროზე სხვადასხვა მიზეზით სამსახურიდან დათხოვილი ამა თუ იმ სამხედრო მოხელის საქმეს შეისწავლის. ეს ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს თავდაცვის მინისტრისათვის და შემდგომ უკვე მე გადავწყვეტ, როგორ უნდა მივიყვანოთ კონკრეტული საქმე ბოლომდე.

**— მოხვდებიან თუ არა ამ ჯგუფის სამუშაო ინტერესებში ის სამხედროები, ვინც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ან იარაღი დაკარგა ან მასზე რანგით მაღალი სამხედრო პირის დაუდევრობის გამო დაისაჯა?**

— დიახ, არაერთი ასეთი ფაქტის შესახებ ვფლობ ინფორმაციას და სწორედ ასეთ საქმეებს შეისწავლის ის ჯგუფი, რომელიც სამხედროების შესახებ რეკომენდაციებს მომაწვდის და ამის შემდგომ მე დავიწყებ სამართლებრივ რეაგირებას და მივიღებ ყველა სამხედროს საქმეზე შესაბამის გადაწყვეტილებას.

**— თქვენი წინამორბედი თავდაცვის მინისტრები, განსაკუთრებით კი ირაკლი ოქრუაშვილი და ბაჩო ახალაია, კანონის დარღვევით, უხეშად ერეოდნენ გაერთიანებული შტაბების მუშაობაში. აპირებთ თუ არა გამიჯნოთ თავდაცვის მინისტრისა და გენშტაბის უფროსის ფუნქციები?**

— დიახ, ეს იქნება იმ რეფორმების ნაწილი, რომლის გატარებასაც ვგეგმავ. სამხედრო სპეციალისტებთან ერთად გადავწყვეტთ, რა იქნება უმჯობესი შეიარაღებული ძალებისთვის. რამდენიმე დღის წინ მქონდა გაერთიანებულ შტაბში მორიგი შეხვედრა, სადაც ოფიცრებს შევპირდი და ავუხსენი, რომ სამოქალაქო თავდაცვის მინისტრი მათ კომპეტენციაში არასდროს ჩაერევა. ეს ეხება როგორც სამშვიდობო პირობებს, ასევე, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ საგანგებო ვითარებასა და სამხედრო დაპირისპირების დროს. 2008 წლის აგვისტოს ომში არაორგანიზებულობისა და მართვაში არსებული პრობლემების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ის ქაოსური ქმედებები იყო, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელები, პრემიერ-მინისტრი თუ ქალაქის მერი სამხედრო გადაწყვეტილებებში ერეოდნენ. ჩემი ამოცანაა, დავაწესო კონტროლი სამოქალაქო ძალებზე და პრემიერ-მინისტრთან ერთად შევიმუშაო აქტიური სამხედრო პოლიტიკა, მაგრამ არ ჩავერევი სამხედრო საკითხებში.

P.S. თავდაცვის მინისტრი დაგვპირდა, რომ ქვეყნისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე, სამხედრო პირებისთვის მეტად მნიშვნელოვან შეკითხვებსა და ასევე, პრობლემებზე „არსენალის“ უახლოეს ნომერში ისაუბრებს.

*ირაკლი ალადაშვილი*
*ლალი პაპასკირი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ისინი ცხინვალის ქუჩებში ბრძოლებს იხსენებენ...

„როცა ბაზიდან გავდიოდით, ერთ-ერთმა თქვა, ჩვენ ახლა საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის მომსწრენი ვხდებითო. ჩემს ბიჭებს თვალი რომ გადავავლე, მივხვდი, შეშინებული არავინ იყო და სტიმული მომემატა... რამდენიმემ, ვინც ყველაზე ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, „მამაო ჩვენო" წავიკითხეთ, როცა უკვე მანქანებში ვიყავით ჩამსხდარი. სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურში მესამე წელი მისრულდებოდა, მაგრამ ომში პირველად მიწევდა წასვლა და ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი. ამ დროს ყველაზე კარგი გამოსავალია ემოციას არ აჰყვე და ომის საშინელებაზე არ იფიქრო", — ამბობს 27 წლის გიორგი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის დროს 42-ე ქვეითი ბატალიონის დაზვერვაში მსახურობდა. დედით რუსმა ჯარისკაცმა ცხინვალის დაბომბვის დროს ოსი ჯარისკაცების ალყაში მყოფი ქართული ტანკის ეკიპაჟი გაათავისუფლა. თუმცა, რა ხდებოდა მანამდე საბრძოლო ხაზზე, ამის შესახებ ის და მისი თანამებრძოლები გვიამბობენ.

— ბაზიდან გასვლის შემდეგ მთელი ღამე ვიარეთ. ბიჭები ძალიან მოტივირებული იყვნენ და ვხუმრობდით კიდეც, მაგრამ სხვების არ ვიცი და მე ნაძალადევად ვიცინოდი. არ არის ადვილი ომში მიდიოდე და ხუმრობდე, მაგრამ გამოუცდელი ჯარისკაცი ასე თუ არ მოიქცა და ემოციას აჰყვა, ვერც იბრძოლებს.

ბიჭებს წარამარა ურეკავდნენ ოჯახის წევრები, გაგიჟებული იყვნენ. ოჯახის წევრთან სატელეფონო საუბრის შემდგომ, რამდენიმე წუთის წინ მოწინააღმდეგესთან შესახვედრად და ბრძოლისთვის ამაყად შემართული ბიჭები, „სხვანაირი" ხდებოდნენ.

— **როგორი?**

— როგორ გითხრათ, სახეზე ყველას ეწერა, რომ ნერვიულობდნენ. ოჯახების მღელვარება სარკესავით აისახებოდა მათ სახეებზე. მეც ასე დამემართა, როცა დედაჩემმა დამირეკა. ამ დროს კარგზე არავინ ფიქრობს. მე ოსტატურად დაყენებული ლაღი ხმით მოვატყუე დედაჩემი, სწავლებაზე ვარ და შენს სახელზე შევერკინები ვირტუალურ მტერს-მეთქი, მაგრამ ყურმილი რომ გავთიშე, ვიგრძენი, რომ ხელები მიკანკალებდა... ამის შემდეგ ოცმეთაურმა მობილურების გამორთვის ბრძანება გასცა. არ მოგვეწონა ეს აზრი, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას ვინ გაბედავდა.

ცხინვალის მისადგომებთან ცოტა ხნით შევისვენეთ. სამწუხაროდ, იმ მხარეს პირველად ვიყავი და სოფლის სახელები არ მახსოვს, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას, დილაუთენია გარეთ გამოფენილი მოსახლეობა. ხაჭაპურები და ქადები მოგვაწოდეს. გვლოცავდნენ, მშვიდობით დაგვიბრუნდით, შვილებოო...

ჩვენ ცხინვალისკენ მივდიოდით. ქალაქის შესასვლელთან მოვახერხეთ და ფოტოც გადავიღეთ. იქიდან დიდი ბათქის ხმა ისმოდა. ჩვენები შეტევაზე იყვნენ გადასული. ყველაფერი კარგად არის და გეგმის მიხედვით მიდისო, გვითხრა მეთაურმა. შიში თანდათან გაქრა. უკვე აზარტში ვიყავი შესული. ამ ორმა კინკილა ოსმა რა უნდა გვიყოსო, ვამბობდით ბიჭები.

— **ფსიქოლოგიური შიში გადალახეთ?**

— ფსიქოლოგიური შიში 7 აგვისტოს, მაშინ გადავლახე, როცა თვალი მოვკარი, გზაზე როგორ გადაჰყავდათ „ჰაილუქსებით" დაჭრილი ბიჭები. შეიძლება მეც დამჭრან, მერე რა? ომი მაგისთვის არსებობს, რომ ვიღაც უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭრას, ვიღაც უნდა მოკვდეს, ჩავაგონე თავს. გრიალით შევედით ცხინვალში. მანქანიდან თვალი მოვკარი, შენობების ფანჯრებიდან და სახურავებიდან სნაიპერები გვესროდნენ. „კორპუსებს ერიდეთ! ძალიან ნუ მიუახლოვდებით!“ — გვესმოდა მეთაურის ბრძანება, რომელიც მანქანებს შორის დისტანციური მანძილის დაცვასაც აკონტროლებდა. ჩვენს ნაწილში ერაყში ნამყოფი ბიჭი იყო, გამოცდილება ეტყობოდა. ქუჩაში დაჭრილი და დახოცილი მეომრების დანახვაზე ჩვენსავით არ ეცვლებოდა ფერი.

**— ვინ იყვნენ დაჭრილი და დახოცილი მეომრები?**

— არ ვიცი, ზოგი მოწინააღმდეგის, ზოგიც, ალბათ, ჩვენები... შემდგომ ძალების სრული მობილიზებით და განუწყვეტელი ცეცხლით რამდენიმე კორპუსის აღება და გაწმენდა მოვახერხეთ. ქუჩაზე ხეებზე ამოფარებით გადავრბოდით, როცა ჩემი თანამებრძოლი მუხლსა და მხარში დაიჭრა. თურმე, მოწინააღმდეგე ბაგა-ბაღშიც იყო და იქიდან გაგვიხსნა ცეცხლი. საბედნიეროდ, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო კავშირი გაწყვეტილი და მას დროული სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ჩვენ კი რამდენიმე წუთში ბაგა-ბაღის შენობა გავწმინდეთ და თანდათან პოზიციების გამაგრება დავიწყეთ. თვალი მოვკარი, ოსები გარბოდნენ.

თანდათან წინ მივიწევდით დანიშნულების წერტილში მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, მაგრამ ამ დროს ბრძანება მოგვივიდა, რომ ჩვენების ერთი ოცეული ალყაში ყოფილა, ტყვია-წამალი უმთავრდებოდათ და სასწრაფოდ უნდა მიეხმაროთო. ალბათ, ცხინვალის გამოსასვლელთან ვიყავი, როცა კუთხეში გაჩერებული ქართული ტანკი შევნიშნე, მისკენ ორი ოსი მიდიოდა. უცებ მოვიფიქრე, ჯავშანჟილეტი და კამუფლაჟი გავიხადე, ჩემს მეგობარს დავუტოვე, აქ დამელოდე-მეთქი, მხოლოდ მაისურისა და იარაღის ამარა დავრჩი და მათკენ წავედი. მეც „აკაესი“ მეჭირა ხელში და ამ ფორმაში ძალიან ვგავდი ოსური არმიის ჯარისკაცს. ქართულ ტანკთან მათზე ადრე მივედი და რუსულად გინება დავიწყე, რა დროს გვიმტყუნა ამ ქართველების ჯართმა-მეთქი. ისინი შეცბნენ. რამე ხომ არ გჭირდებათ, ბიჭებო-მეთქი, რუსულად ვკითხე. გაჩერდნენ. არა, თქვენ არ უნდა იყოთ კარგ დღეში, ამ ქუჩაზე ვითარებას ჩვენ ვაკონტროლებთ, მაგრამ გარშემო სულ ქართველები არიან, დაანებეთ მაგას თავი და თავშესაფარი იპოვეთო. მივხვდი, ტანკში მსხდომი ქართველი ბიჭებიც და ჩვენც ალყაში ვიყავით. ერთი 40 წლამდე იქნებოდა, ჭაღარა, წვერიანი, მეორე ძალიან ახალგაზრდა იყო, ალბათ, 18 წლის. ქართველებს ჩვენივე ენაზე ისეთი გინება გამოგვიგზავნა, თავი ძლივს შევიკავე. ტანკამდეც არც კი მისულან, გატრიალდნენ და წავიდნენ. უფროსმა კიდევ ერთხელ მითხრა, სანამ „რამე“ არ გამოჩნდება, თავს უშველეთო. არ ვიცი, რამეში რას გულისხმობდა. ქუჩის კუთხეში აღმართივით იყო. როცა ჩვენს ბიჭებს გამოველაპარაკე, მათ ვიღაც მიუახლოვდა და ოსურად რაღაც დაუყვირა. უცებ ვიგრძენი, რომ მხარში დამჭრეს. მიხვდნენ, რომ ქართველები ვიყავით და მოვატყუე. ტანკში მსხდომი ეკიპაჟიდან ზოგი ჩაჯდომას მირჩევდა. ორი გადმოხტა და მარცხნივ მაღალი კორპუსისკენ წამიყვანა, სადაც ჩემი ნაწილის ბიჭები იყვნენ ჩასაფრებული, ისინი, ვისთან ერთადაც მივდიოდი ალყაში მყოფების დასახმარებლად. ამ დროს კავშირი უკვე ხარვეზებით იყო. სიარული მიჭირდა და კორპუსამდე ვერ მივაღწიეთ. ამასობაში იქ გამაგრებულ ბიჭებს წრიული ჩასაფრება მოუწყვეს, ესროდნენ მსხვილკალიბრიანებს, კორპუსს ცეცხლი ჰქონდა მოკიდებული. ასეთ დროს ყოველი მეომრის მოქმედება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ბიჭებს ვუყვიროდი, წადით და იმათ მიეშველეთ-მეთქი. ტკივილს უკვე სიგიჟემდე ვყავდი მიყვანილი. ერთი ცდილობდა, პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ ამასობაში ტკივილისგან გონი დავკარგე და მხოლოდ ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში გავახილე თვალი. დედაჩემი კიოდა, ჩემი ბრალია ყველაფერიო, რომ მე კი არა, მკვდარს გააცოცხლებდა (იცინის).

**— ვიცი, რომ არჩევანის გაკეთებაში დედა დაგეხმარათ.**

— დიახ, დედაჩემის სურვილი იყო, სამხედრო კარიერა გამეკეთებინა, რადგან ძალიან უყვარს იარაღი. სანამ მამა ცოცხალი იყო, მასთან ერთად სანადიროდაც დადიოდა. ცოლ-ქმარს ცალცალკე ჰქონდა სანადირო თოფები, მორიგეობით წმენდნენ. გამთენიისას დგებოდნენ და ხან კურდღლით, ხან მწყრითა და ხანაც გარეული იხვით ხელში ისეთ დროს ბრუნდებოდნენ, როცა ჩვენ სკოლაში წასვლა გვიწევდა. მამაჩემი გულწრფელი სინანულით ამბობდა, რომ დედას უკეთესი მიზანი ჰქონდა... ნადირობიდან დაბრუნებულები იარაღის წმენდას იწყებდნენ. ამ პროცესს რიტუალის სახე ჰქონდა, — სპეციალური შალის ნაჭრები ჰქონდათ, ზეთი და ზუმბა, რითაც ლულას შიგნიდან დიდხანს და გულმოდგინედ აპრიალებდნენ. ბავშვებს იარაღთან მიკარებას გვიკრძალავდნენ, მაგრამ მაინც რამდენჯერმე მივეპარე და გავიჭყიტე, — ლულა შიგნიდან სარკესავით პრიალებდა.

**დემნა, 29 წლის, 41-ე ბატალიონის ჯარისკაცი:**

— სწორედ ამ დროს, რომელზეც გიორგი ჰყვება, ორი ტანკი და ქვეითი ბიჭები წამოვიდნენ. მე ზედა სართულზე ვიყავი და ვხედავდი, რომ ჭადრაკისებრი განლაგება ჰქონდათ, — უსაფრთხოებას ვუკეთებდით ტანკებს, რათა ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებიდან არ ესროლათ, მაქსიმალურად ვიცავდით თავს და როგორღაც მივედით კორპუსთან. ზემოდან, შენობებიდან, ჩასაფრებებიდან მასიური ცეცხლი გაგვიხსნეს. ერთი ტანკი აგვიფეთქეს. ალყაში მოქცეულ ჩვენს ბიჭებს გამოსვლის იმედი აღარ ჰქონდათ. მგონი, არც იმათ ჰქონდათ იმედი, რომ ცოცხალი ვიყავით, მაგრამ შეძახილებით გავაგებინეთ, დახმარება გვჭირდება და ზედა სართულებიდან ბიჭებს უსაფრთხოება გავუკეთეთ. მათი უპირატესობა ის იყო, რომ იქაურობა, გასაძრომ-გამოსაძრომი ადგილები, ჩვენზე უკეთესად იცოდნენ. ჩვენზე ბევრად ნაკლები იყვნენ რაოდენობით და შეიარაღებაც უარესი ჰქონდათ, მაგრამ საიდანაც უხერხდებოდათ, იქიდან გვიტევდნენ. ჩვენ ზემოდან გავუკეთეთ უსაფრთხოება ბიჭებს. როცა ჩვენი ბიჭები კორპუსში შემოვიდნენ, ტყვია-წამალი გამოლეული ჰქონდათ და მჭიდები გვთხოვეს. გაუკვირდათ, გვეგონა, დახოცილები ან მძიმედ დაჭრილები იქნებოდით და ყველანი ბრძოლისუნარიანები ხართო. ყველა არ ვიყავით საღ-სალამათი, რამდენიმე მძიმედ დაჭრილი გვყავდა. იქ სიკვდილი არ გვინდოდა, სულ რაღაც ნახევარი დღე მოგვიწია ბრძოლამ და არ გვინდოდა რომელიღაც შენობაში ამოვებუგეთ. მჭიდები მივეცით და ვუთხარით, რომ ერთობლივად გაგვერღვია ალყა და დაჭრილებიც გაგვეყვანა. მოწინააღმდეგის ცეცხლი შენელდა. ეტყობა, იერიშისთვის ემზადებოდნენ, ან ტყვია-წამალი შემოელიათ.

უკან დავიხიეთ და გადავარჩინეთ ჩვენი ბიჭები. როგორც გავიგეთ, მათაც უკან დახევის ბრძანება მიუღიათ. მიხვდნენ, რომ ჩვენთან ღია პოზიციურ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა და რუსულ ავიაციას დაელოდნენ. მე დაჭრილების გამოყვანა დამავალეს, მაგრამ დამჭრეს და თავად გავხდი გასაყვანი. მახსოვს 8 აგვისტოს გორის სამხედრო ჰოსპიტალი და ექიმის ყვირილი, სულ პატარა ბიჭი ხარ და უნდა გადაგარჩინოო....

ეროვნული

**ლევანი 32 წლის, IV ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის ჯარისკაცი:**

— 8 აგვისტოს დილით დუბოვაია-როშჩა გავლილი გვქონდა, როცა დავინახეთ, რუსების თვალუწვდენელი კოლონა ჩვენი ქვეითებისკენ მოემართებოდა. მივხვდით, რომ კარგ დღეში არ ვიყავით, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობდა. ჩვენ წინ ვიყავით, უკნიდან ჩვენმა არტილერიამ საშუალება მოგვცა, გაგვეჩერებინა მტრის კოლონა და ნაწილი გავანადგურეთ. ვინც დარჩა, უნდა გაგვეფანტა, რომ ჩვენი ქვეითებისთვის კონტრიერიშის წამოწყების საშუალება მიგვეცა. ამის გაკეთება ძალიან მოკლე დროში, ალბათ, 40-45 წუთში შევძელით. ჩვენები საარტილერიო დანადგარებით, RM-70-ებით უშენდნენ რუსულ ტანკებს ზალპურ ცეცხლს. არ ვიცი, ამ საბრძოლო მანქანებთან უკვე რუსები იყვნენ თუ ოსები, მაგრამ ჩემი თვალით ვნახე, როგორ ნადგურდებოდა მათი ჰაუბიცები, ტანკები და ნაღმსატყორცნი ბატარეები. ამ დროისთვის კავშირი უკვე გაწყვეტილი იყო. მეთაურების გადაწყვეტილებას საჭიროების მიხედვით იღებდნენ. ბატალიონების ასეულები ნაწილებად იყვნენ დაყოფილი. ჩვენი ასეულის ნაწილი ცხინვალში გადაისროლეს. 8 აგვისტოს დილა და შუადღე ფრაგმენტულად მახსოვს. მობილურიც მანქანაში ჩამივარდა და მის გამო მიბრუნება არც მიცდია. სხვებს ჰქონდათ, მაგრამ ვერსად რეკავდნენ. ერთ-ერთ ჯარისკაცს მეცხრე თვეში ჰყავდა მეუღლე. წინა დღეს დაურეკეს სახლიდან, ნერვიულობის ნიადაგზე სამშობიარო ტკივილი დაეწყოო. გიჟს ჰგავდა, ისე აინტერესებდა, ვინ შეეძინა. ცდილობდა, არ შეემჩნია, მაგრამ არ გამოსდიოდა. ერთი ჩამახუტებინა ჩემი შვილი და მერე სიკვდილსაც არ ვინანებო. ვამშვიდებდით, რა არის სანერვიულო, ვერ ხედავ, ჩვენია უკვე ქალაქი, კაციშვილის ჭაჭანება არ არის, უკან სპეცრაზმი მოგვყვება, ყოველი შემთხვევისთვის გააკონტროლებს აქაურობას, მერე პატრულიც შემოჰყვება და შეგვიძლია ვიმღეროთ, „გამარჯობა, ჩვენო ცხინვალ-ქალაქოოო“... სამაჩაბლოს შემოერთებისა და შენი ვაჟკაცის დაბადების სადღეგრძელოს შენს სახლში დავლევთო, ვეუბნებოდით ახალბედა მამას.

მარცხნივ წასვლა გვიბრძანეს. იქ სკოლის შენობა იდგა, აბრა ნამსხვრევებად ჰქონდა გადაქცეული და არ ვიცი, რომელი საშუალო სკოლის შენობაში ვიყავით. საკმაოდ ძველი სასკოლო ინვენტარი ჰქონდათ, ისეთი, ჩვენს ბავშვობაში რომ იყო. სერჟანტმა გაგვაფრთხილა, შორეულ ექსკურსიას ნუ მოაწყობთო. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე ვიყავით, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთი მშვიდობიანი მოქალაქეც არ შეგვხვედრია...

სროლის ხმა შეწყდა და ბრძანება მოვიდა, რომ ცოტა ხნით დაგვესვენა. რა მოგვასვენებდა, ცხინვალში ვიყავით და ყველაფრის დათვალიერება გვაინტერესებდა. სტალინის ქუჩაზე ვიყავით. ბიჭებმა ეზოში ონკანი შევნიშნეთ და დასალევად ჩავედით, მაგრამ არ მოდიოდა. უკან ამოსულებმა ერთმანეთში მოთათბირე მეთაურობა შევნიშნეთ. ეჭვიც არავის გვქონდა, რომ უკან დახევა მოგვიწევდა. მტევანი გაკაწრული მქონდა და მისი შეხვევა დავიწყე.

**— ამ დროისთვის ქალაქში სიმშვიდე იყო?**

— საიდანღაც სროლის ხმა მოდიოდა, მაგრამ იმ უბანში, სადაც ჩვენ ვიყავით, სიმშვიდე იყო. ამოსუნთქვა ძლივს მოვასწარით, რომ თვითმფრინავების გუგუნი შემოგვესმა. ჩვენები არიან-მეთქი, გამიხარდა, მაგრამ ერთ-ერთმა მეთაურმა დაიძახა, Су 25-ები არიანო. ცხინვალიდან ჩვენებისკენ დაზვერვაზე წავიდა, წრე დაარტყა და „დუბოვაია-როშჩას“ თავზე ჯერ გამაყრუებელი გრუხუნი გავიგონეთ და იქაურობა შავ კვამლში გაეხვია. თავზარი დაგვეცა, ჩვენებს დაარტყეს-მეთქი, მაგრამ რას ვიზამდით. სასწრაფოდ, სანამ მოწინააღმდეგე ორგანიზებულ იერიშზე გადმოვიდოდა, გასასვლელისკენ უნდა დავძრულიყავით. არ ვიცი, იქვე შორიახლო იყვნენ ჩასაფრებული და საჰაერო მხარდაჭერას ელოდებოდნენ თუ არა, მაგრამ რამდენიმე წუთში ცეცხლი გაგვიხსნეს. ერთმანეთს ვაზღვევდით და ისე გამოვდიოდით შენობიდან, რათა მანქანებში ჩავმსხდარიყავით. ჩემ წინ ის ბიჭი გარბოდა, წინადღეს რომ მამა გახდა. მას ჯერ ფეხში ესროლეს, ოდნავ წინ გადაქანდა, მოტრიალდა და ცეცხლის გახსნა სცადა, მაგრამ მეორე ტყვიამ მოცელა... არადა, მას ყველა ვუფრთხილდებოდით, ახალშეძენილი შვილი უნდა ენახა. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, მაგრამ წამით არ გვიფიქრია მისი დატოვება. ტყვიების წვიმაში გამოვიყვანეთ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მოწინააღმდეგემ მისი მანქანამდე მიყვანა გვაცალა. შეიძლება, ტყვია-წამალი არ ჰქონდათ და ზოგავდნენ.

მტრის ავიაცია შემოფრინდა და ცხინვალის გარშემო ტერიტორიების დაბომბვა დაიწყო. ამასობაში მოწინააღმდეგის ქვეითიც გააქტიურდა. უკან დახევა ყოველთვის მეტ მსხვერპლთან არის დაკავშირებული, ჩვენც დიდი დანაკარგი განვიცადეთ. ორი საუკეთესო ძმაკაცი თვალწინ მომიკვდა და მე ცოცხალმკვდარი მიმიყვანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში.

**ყველაფერს ვერა, მაგრამ ერთ დეტალს მაინც ვიტყვი: ჩვენ რომ კავშირის პრობლემა არ გვქონოდა და ვინმეს გავეფრთხილებინეთ, მთელი ცხინვალი ჩვენი არ არისო, როგორც ჩვენ გვეგონა (თურმე რამდენიმე უბანს ვაკონტროლებდით და მთელი ქალაქი აღებული გვეგონა), ოსურ სკოლაში „ნებივრობის“ უფლებას არ მივცემდით თავს და სამშვიდობოს დროულად, უდანაკარგოდ გამოვაღწევდით.** სხვა შეცდომებზე ობიექტურ დასკვნებს, ალბათ, ექსპერტები გამოიტანენ. ღმერთმა დაგვიფაროს მომავალში ომისგან, მაგრამ კარგი იქნება, თუ მაშინდელ შეცდომებზე გაკეთდება აქცენტი.

***ლალი პაპასქირი***



„ერთმანეთს ვეუბნებოდით, ცხინვალი უკვე ჩვენიაო“

# თავდაცვის ჩინოვნიკების უპასუხისმგებლობას ქართული შვეულმფრენი შეეწირა



## „სამი საათით დააგვიანეს. ვუხსნიდი, გადავდოთ გაფრენა, მთებში დაჯდომა სახიფათო იქნება-მეთქი, მაგრამ დაჟინებით მოითხოვეს ხევსურეთში გაფრენა“, — იხსენებს დამწვარი შვეულმფრენის პილოტი

2011 წლის სექტემბერში თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ხევსურეთში ამ უწყების შვეულმფრენმა ავარია განიცადა და დაიწვა. ეკიპაჟი და მგზავრები გადარჩნენ, ხოლო ავარიის მიზეზების გამოძიება სამხედრო პოლიციამ დაიწყო. ქართულ სამხედრო ავიაციას კიდევ ერთი შვეულმფრენი დააკლდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მწირი ინფორმაციის გარდა, თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტს სხვა არაფერი გაუვრცელებია. „არსენალმა“ მაშინ მალევე გაარკვია, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ავარიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, მაგრამ იმის გამო, რომ საჯაროდ საუბარს ოფიცრები მიზეზთა გამო უფრთხოდნენ, ჩვენც დროებით გადავდეთ ამ ინციდენტზე მსჯელობა.

ქართული შვეულმფრენის დაწვიდან ერთი წლის შემდეგ „არსენალმა“ ექსკლუზიური ინტერვიუ აიღო ავარიაგანცდილი შვეულმფრენის მეთაურისგან, თადარიგის მაიორ ვახტანგ ნადირაძისგან:

„2011 წლის 6 სექტემბერს დილის 9 სთ-ზე ალექსეევკის ბაზაში მოწყობის დროს მომცეს დავალება, რომ 8-კაციანი ჯგუფი გადამეყვანა ხევსურეთში ტანის ტბის მიდამოებში და შემდეგ შეიძლება დასავლეთ საქართველოსკენაც გავფრენილიყავით. ამიტომ ჩემს შვეულმფრენ Ми-8Т-ში საწვავის მთლიანი მარაგი — 2600 ლიტრი საავიაციო ნავთი ჩამისხეს.

ველოდებით აეროდრომზე მგზავრებს. გადის ერთი საათი, მიიწურა მეორე, დაიწყო მესამე, ჩვენ უკვე ვნერვიულობთ, რადგან შუადღის შემდეგ მთებში დაბალ სიმაღლეებზე ფრენა და მით უმეტეს დაჯდომა მაღალმთიან პატარა მონაკვეთებზე ძალზე სახიფათოა. 26 წელი დავფრინავდი ამ მთებში და კარგად ვიცი ამ საფრთხის შესახებ, რადგან მზისგან გამთბარი მიწისგან ჰაერის თბილი ნაკადები იწყებს მაღლა ასვლას, იზრდება ძლიერი ტურბოლენტობის საფრთხე და რაც ყველაზე საშიშია, ხშირად მოულოდნელად ქარის ნაკადი უბერავს, რაც ძალზე სახიფათოა შვეულმფრენისათვის დაჯდომა-აფრენის მომენტში.



ვახტანგ ნადირაძეს 1965 წლიდან 21 ათასი საათი აქვს ნაფრენი, მათ შორის 9 ათას საათამდე Ми-8-თი

ამ ფიქრებში ვართ ეკიპაჟის წევრები, როდესაც ამოცანის დასმიდან მესამე საათის შემდეგ, პირველის წუთებზე, ბოლოს და ბოლოს, მოდიან მგზავრები, რომლებიც, თუ არ ვცდები, უკრაინული გადამღები ჯგუფი და მათი თანმხლები ქართველები იყვნენ, მათ შორის 3-4 ქალი იყო.

სამსაათიანი დაგვიანების შემდეგ მოსული მგზავრების ჯგუფის უფროსს ვუხსნი, რომ ამ დროს მთებში გაფრენა და მაღალმთიან მოედანზე დაჯდომა შეიძლება სახიფათო იყოს და აჯობებდა, გაფრენა მეორე დღის ადრიანი დილისთვის გადაგვედო. თუმცა ჯგუფის უფროსმა, რომელიც სავარაუდოდ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი იყო, კატეგორიულად მოითხოვა გაფრენა. ამასთან, ფრენის სულ სხვა მარშრუტი მომცა, ჭიუხებისკენ, სოფელ როშკიდან 3 კმ-ში.



შვეულმფრენი ოთხი მეტრიდან ჩამოვარდა და მარჯვნივ გადაბრუნდა...

იძულებული ვიყავი, დავმორჩილებოდი და გავფრინდით ხევსურეთისკენ.

დასახელებულ ადგილამდე 27-28 წთ-ში მივფრინდით. ჯერ ერთი წრე დავარტყი, იქაურობა დავზვერე, მეორე შესვლაზე უფრო დაბლა შევედი და შევამოწმე, გვერდითა ქარი ხომ არ უბერავდა, თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო. გადამღები ჯგუფის უფროსს ვუთხარი, რომ 300-400 მეტრის ქვემოთ დავჯდებოდი, რადგან მხოლოდ იქ მოვნახე დასაჯდომი პატარა მდელო და მათ 300-400 მ-ის გავლა ფეხით მოუწევდათ.

მესამე წრეზე 20 მ-მდე რომ დავეშვი, ბორტმექანიკოსს ვუბრძანე, სამგზავრო სალონის მარცხენა კარიდან გაეკონტროლებინა დაშვების მომენტი, ამ დროს მეორე, მარჯვენა მფრინავი, ძრავებისა და ძირითადი ხრახნის მუშაობის პარამეტრებს აკვირდებოდა ხელსაწყოებზე. მდელოდან 4 მ სიმაღლეზე ვიყავით, როდესაც უკნიდან, მარჯვენა მხრიდან მკვეთრი ბიძგი ვიგრძენით, რის შემდეგაც შვეულმფრენის პილოტირება შეუძლებელი გახდა. ამიტომაც იმ მომენტში ინსტინქტურად მივიღე გადაწყვეტილება, რაც შეიძლება სწრაფად დამესვა შვეულმფრენი სამივე დასაფრენ წერტილზე, რათა თავიდან ამეცილებინა ჰაერში გადატრიალება.

ეს რომ უფრო ძლიერი ძრავებით აღჭურვილი Ми-8МТ ტიპის შვეულმფრენი ყოფილიყო და ავზებშიც 2600 ლიტრის ნაცვლად ამის ნახევარი მქონოდა ჩასხმული, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა თბილისიდან ხევსურეთში ჩასაფრენად და უკან დასაბრუნებლად, ეტყობა, შევძლებდი შვეულმფრენის ჰაერში აწევას. მაგრამ მთის გაუხშოებულ ჰაერში საწვავით გავსებულ მოძველებულ Ми-8Т-ს პილოტირებისას, მგონი, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როდესაც სასწრაფოდ დავსვი.

ქარის დაბერვის ძალა ისეთი იყო, რომ ავარიულად დაჯდომისას კუდის ხრახნი მიწას გამოედო და მოტყდა, რის გამოც ძირითადი ხრახნის ბრუნვამ შვეულმფრენი მარჯვენა გვერდზე გადააბრუნა. სწრაფად მბრუნავი ხრახნები მიწაზე შეხებისას დაიმსხვრა, თუმცა არავინ დაუზიანებიათ.

იცით, რამ გაგვიმართლა? შვეულმფრენის უკანა აპარელები დაცემის შემდეგ თავად გაიხსნა და მგზავრებს საშუალება მიეცათ, სალონი სწრაფად დაეტოვებინათ. როგორც ვიცი, ძვირად ღირებული ვიდეოაპარატურაც გადაარჩინეს.

თავდაცვის ჩინოვნიკების უპასუხისმგებლო ქმედებამ თითქმის მილიონ ლარად ღირებული ქართული შვეულმფრენი შეიწირა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსეევკის საჰაერო ბაზის ეს კუთხე საფრენად უვარგისი შვეულმფრენების სასაფლაოდ იქცა...

ეკიპაჟის ორივე წევრმაც მოახერხა ავარიაგანცდილი შვეულმფრენის დატოვება. მე კი კაბინის მარცხენა სავარძელში ქამრებზე ჩამოკიდებული ვიყავი, მაგრამ მაინც მოვახერხე წინა ბლისტერის გამტვრევა და გარეთ გამოსვლა.

შვეულმფრენს უკვე ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული, ეტყობა, დამსხვრეული ბაკებიდან გადმოღვრილი საავიაციო ნავთი ძრავების 800 გრადუსამდე გახურებულ საქშენებს მოხვდა და აალდა.

შვეულმფრენი აფეთქების გარეშე 15 წთ-ში ჩაიწვა, მაგრამ იმ მომენტში ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ ყველანი გადავრჩით.

როცა ცოტა გონს მოვეგეთ, აღმოჩნდა, რომ თბილისთან დასაკავშირებელი საშუალება არ გაგვაჩნდა, — შვეულმფრენის რაციები დაიწვა, ჩვენი მობილური ტელეფონები კი არ იჭერდა.

დახმარება მოულოდნელად სწრაფად მოვიდა, ცოტა ხანში ჩვენი შვეულმფრენი ჩამოფრინდა. როგორც აღმოჩნდა, სოფელ როშკის ერთ-ერთ მცხოვრებს შეუმჩნევია, რომ ჩვენი შვეულმფრენი გაქრა, სამაგიეროდ ჰაერში ნელ-ნელა მაღლა იწევდა შავი კვამლი. მას შეუტყობინებია ამის შესახებ ბარისახოში, საიდანაც სამაშველო შვეულმფრენი გამოიძახეს.

სამაშველო შვეულმფრენმა გადამღები ჯგუფის წევრები ღუდუშაურის საავადმყოფოს ეზოში დასვა, ჩვენ კი ალექსეევკის ბაზაში დაგვაბრუნა. იმავე დღეს შეგვამოწმეს ალკოჰოლისა და ნარკოტიკების არსებობაზე, პასუხი, რა თქმა უნდა, უარყოფითი იყო.

ბუნებრივია, ძალიან განვიცდიდით მომხდარს და ვცდილობდით, გაგვეანალიზებინა ყველა დეტალი. როდესაც ალექსეევკის ბაზაში მაშინდელი გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე გიგი კალანდაძე მოვიდა და ძალზე უხეშად განაცხადა, ბაზის მეთაური შამილ ქორთოშიძე და ავიაციის უფროსი მამუკა ქუსიკაშვილი დღესვე გათავისუფლებული არიან, ხოლო შვეულმფრენის ეკიპაჟის წევრებს ახლავე ციხეში ჩაგაყუდებთო.

წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდით. როგორია, გამოძიების შედეგების გარეშე უკვე დამნაშავედ რომ გცნობენ? მით უმეტეს, რომ ჯერ ის იყო გამოსარკვევი, რატომ გადაიდო სამი საათით დილის 9 სთ-ზე დანიშნული გაფრენა...

გამოძიებას სამხედრო პოლიცია აწარმოებდა. დაგვკითხეს. როგორც ვიცი, დასკვნაში ჩაიწერა, რომ ავარიის მიზეზი ბუნებრივი პირობების მოულოდნელი გაუარესება იყო.

ჩვენი ეკიპაჟი უდანაშაულო იყო ამ ავარიაში, მაგრამ მე იქით მიჩნდება კითხვა: აგეს პასუხი თუ არა თავდაცვის სამინისტროს იმ ჩინოვნიკებმა, ვინც დაგეგმეს ეს გაფრენა და სამი საათით დააგვიანეს, რაც საბედისწერო გახდა“, — სინანულით ამბობს ყოფილი პილოტი ვახტანგ ნადირაძე.

**ირაკლი ალადაშვილი**

*P.S. თითქმის მილიონ ლარად ღირებული შვეულმფრენის ავარიასა და დაწვაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ თავდაცვის სამინისტროს იმ ჩინოვნიკებმა, ვინც 2011 წლის შემოდგომაზე კურირებდნენ გადამღები ჯგუფების მიღებას თავდაცვის უწყებაში და მათი ტრანსპორტირების უზრუნველყოფას, ეს კი თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის ფუნქციებში შედიოდა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა




# აგვისტოს ომის ცხელი დღეები ფოთში

აფხაზეთის ომში, აჩანდარისა და ლინდავა-მანიის ოპერაციების მონაწილე დემზარ ქირია ეროვნული სამხედრო-საზღვაო ძალების რიგებში 1994 წელს ჩადგა. 2008 წელს უარი თქვა სანაპირო დაცვაში გადასვლაზე და სამსახური გაერთიანებული შტაბის G-3-ის მართვის ცენტრში განაგრძო.

ვიცე-პოლკოვნიკ დემზარ ქირიას ოფიცრისთვის უკადრისი კითხვის გამო, სად იმალებოდი 2008 წელს რუსების შემოსვლის დროსო, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ჩინოსანთან კონფლიქტი მოუხდა, რაც სამსახურებრივი შეუსაბამისობისა და სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი ქცევის მიზეზით მინისტრ ბაჩანა ახალაიას ბრძანებით 2009 წლის 28 დეკემბრიდან შეიარაღებული ძალებიდან დაითხოვეს. შემდეგ 6 თვის განმავლობაში მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობდა.

ბატონი დემზარი „არსენალის" რედაქციას ესტუმრა და 2008 წლის აგვისტოში ფოთში მოვლენების ეპიცენტრში მყოფმა ის დღეები გაიხსენა:

## როგორ გადაურჩა რუს მაროდიორებს ფოთის საზღვაო ბაზის შეიარაღების ნაწილი

**— 2008 წლის აგვისტოში მოსკოვმა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შავი ზღვის ფლოტის გამოსაგზავნად ათასნაირი მიზეზი მოიგონა: ზღვაოსნობის უსაფრთხოება, რუსეთის მოქალაქეების დაცვა, სამხრეთ ოსი და აფხაზი ლტოლვილებისთვის დახმარების აღმოჩენა და სხვ.**

— ყველა მიზეზი სინამდვილეში საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად და ცხინვალის რეგიონიდან დაახლოებით 400 კმ-ის დაშორებით ლტოლვილების პრობლემა აგრესიის გასამართლებლად სჭირდებოდათ.

2008 წლის 7 აგვისტოს, დაახლოებით 23-30 სთ-ზე, ფოთში ჩვენმა რადიოლოკაციურმა სადგურმა დაიჭირა ოჩამჩირის პორტში შემავალი რუსული საფლაგმანო ხომალდის ასეთი შინაარსის რადიოსაუბარი: „ქალაქ ფოთის მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარებისთვის მზად ვართ".

ინფორმაცია მაშინვე მოხსენდა საზღვაო ძალების მეთაურობას, ხოლო ჩვენ რუსებთან რადიოკავშირზე გავედით და მათაც გვიპასუხეს: „ჩვენ მოვედით და დაგვხვდითო".

გაჩნდა ეჭვი, რომ რუსები რაღაცას აპირებდნენ, ამიტომაც საქმის კურსში საზღვაო ძალების მმართველობა ჩავაყენეთ.

**— რა გაკეთდა ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზის უსაფრთხოების დასაცავად?**

— გამოცხადდა საბრძოლო განგაში და ეკიპაჟებმა მცურავი საშუალებების საზენიტო შეიარაღება საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. „სტრელა-2"-ებით აღჭურვილმა საჰაერო თავდაცვის ჯგუფებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს და სამხედრო-საზღვაო ბაზის გარე პერიმეტრის დაცვა-უსაფრთხოება გაძლიერდა.

ეს სისტემა კარგად გვქონდა აწყობილი და გამართულად მუშაობდა, ამიტომაც რამდენიმე წუთში პირადი შემადგენლობა შესაძლო საჰაერო თუ სახმელეთო თავდასხმის აღკვეთისთვის მზად იყო.

საბრძოლო მდგომარეობა 8 აგვისტოს მთელი დღე შენარჩუნდა და ბრძანებები დროულად სრულდებოდა.

**— აგვისტოს ომის წინ რას წარმოადგენდა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები?**

— ფოთში ჩვენს განკარგულებაში დაახლოებით 100-მდე მცურავი საშუალება იყო და მის დიდ ნაწილს — Sea Doo-ს, APEX-ისა და „შავი ზვიგენის" ტიპის სწრაფსვლიანი კატარღები შეადგენდნენ.

საბრძოლო ერთეულებიდან „ქუთაისი" სარემონტოდ თურქეთში იყო, „დიოსკურია" — მთავარი ძრავებისა და „თბილისი" საშუალო რემონტს საჭიროებდა. გაუმართავი იყო „წყალტუბოც". მწყობრში გვყავდა „ივერია", „მესტია", „გურია" და სხვა კატარღები.

**— როგორც ცნობილია, ფოთის პორტს რუსებმა ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტა Точка-У-ები ესროლეს...**

— 8 აგვისტოს მთელი დღე რუსებთან რადიოკავშირზე გასვლას ვცდილობდით, მაგრამ ამაოდ. 23-57 სთ-ზე ოპერატიულ-სამორიგეო ოთახში ვიყავით და დავალებებს ვიღებდით, როცა მოულოდნელად რაღაცამ გაიელვა და მას 10-15 წამის მონაკვეთში 3-5 გრუხუნი მოჰყვა. უცბად ყველაფერი ქაოსმა მოიცვა. — დაჭრილები შველას ითხოვდნენ, ზოგი ჰაერში ისროდა, ქალები კიოდნენ, ვიღაცები ერთმანეთს ეძებდნენ...

რამდენიმე წუთში სიტუაციის გაკონტროლება მოხერხდა და ყველა დაჭრილი სამედიცინო დაწესებულებებში გადავიყვანეთ, ქალ მოსამსახურეებს ტერიტორია დავატოვებინეთ და რამდენიმე ასეული სამხედრო თავისი იარაღით ორგანიზებულად ბაზიდან სათადარიგო რაიონში გადავიდა.

საზღვაო ძალების შტაბში II რანგის კაპიტანი რობერტ ფიფია, მისი თანაშემწე და კიდევ 15 კაცი დავრჩით და ტერიტორია კონტროლზე ავიყვანეთ. სამწუხაროდ, დაბომბვისას დაიღუპნენ: კაპიტან-ლეიტენანტი თეიმურაზ ჭიტაძე (შტაბის შენობის მე-2 სართულზე), კაპრალი ზვიად დათუაშვილი („გურიაზე" ილუმინატორთან იდგა და ნამსხვრევი ზურგში მოხვდა), კაპრალი თემურ ფიჩხაია (ზურგის სამსახურის შენობის წინ), კაპრალი გიორგი ღვინჯილია („შავი ზვიგენების" სადგომთან) და კაპრალი ზვიად ბარბაქაძე („გურიაზე" ნაპირიდან ტრაპზე ასასვლელთან). გვყავდა 30-ზე მეტი დაჭრილი. კიდევ კარგი, რაკეტებით ჩამოყრილი კასეტური ელემენტების დიდი ნაწილი ზღვაში ჩაცვივდა, თორემ მსხვერპლი ბევრად მეტი იქნებოდა.

მცურავი საშუალებებიდან „გურიის" კორპუსი გაიხვრიტა. მსუბუქად დაზიანდა „თბილისი" და „დიოსკურია", 10-მდე „შავი ზვიგენი", აგრეთვე, სანაპირო დაცვის „სოხუმი".

**ჩვენი ერთ-ერთი დიდი შეცდომა ის იყო, რომ ამდენი მცურავი საშუალება ერთ ადგილზე თავმოყრილი გვყავდა და მოწინააღმდეგისთვის შესანიშნავ სამიზნეს წარმოადგენდა.**

**— როდის დაიწყო ბაზიდან მცურავი საშუალებებისა და პირადი შემადგენლობის გაყვანა?**

— დაბომბვისას „ატია" ფოთის რეიდზე იყო. 9 აგვისტოს, 02-30 სთ-ზე, ზღვაში გავიდა „გურია", ხოლო 5-6 საათებს შორის ბაზა „ივერიამ" და „მესტიამ" დატოვეს. ოთხივე მცურავი საშუალება ზღვაში ფოთის მახლობლად რეიდზე რჩებოდა.

დაახლოებით 4 სთ-დან პირადი შემადგენლობის ორგანიზებულად უკან დაბრუნება დავიწყეთ და მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მაღალსართულიანი სახლების სახურავებზე მეტყვიამფრქვევეები განვალაგეთ, საზენიტო ჯგუფები თავიანთ პოზიციებს დაუბრუნდნენ და ბაზის მისადგომებთან სანგრები გავთხარეთ.

პარალელურად მიმდინარეობდა მცურავ საშუალებათა და პირადი შემადგენლობის ბათუმში გადაყვანისთვის მზადება.

დაახლოებით 15 სთ-ზე ოჩამჩირის მხრიდან მაღალ სიმაღლეზე მოულოდნელად გამოჩნდა თვითმფრინავი, რომელშიც Су-24М ამოვიცანით და საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის ყველა საზენიტო საშუალებიდან ცეცხლი გავხსენით. ამის შემდეგ თვითმფრინავმა კურსი შეიცვალა და პალიასტომის მიმართულებით გაუჩინარდა.

10 აგვისტოს დილით ბათუმისკენ პირველად გავიდნენ ზურგის სამსახური, შტაბი და სხვა სამსახურები. ყველაზე ბოლოს ფოთი 16 სთ-ზე „გურიამ" დატოვა და დაზიანებული კორპუსის გამო ყოველი შემთხვევისთვის ნაპირიდან ახლოს მიცურავდა.

ადგილზე დარჩა „წყალტუბო", „თბილისი", „დიოსკურია", ნაპირზე ამოწეული მცურავი საშუალებები და სწრაფსვლიანი კატარღები.

ფოთში დარჩენისა და ბაზის დაცვის სურვილი ხუთიოდე ოფიცერმა და 50-მდე კაპრალ-მიჩმანმა გამოთქვა. მათი და მოსახლეობის დახმარებით 10 აგვისტოს საღამოს ბაზაში დარჩენილი საბრძოლო საშუალებები ავტომობილებით გავიტანეთ და საიმედოდ გადავმალეთ.

**— როდის შემოვიდნენ რუსი სამხედროები ფოთში პირველად?**

— I რანგის კაპიტნის ბესო შენგელიას ბრძანებით ჭალადიდის მონაკვეთზე დავუწყეთ რუსების გადაადგილებას თვალთვალი. ეს აუცილებელი იყო, რათა ბაზაში დარჩენილები დროულად გასულიყვნენ, ახლომახლო შენობებში განლაგებულიყვნენ, საიდანაც რუსების მოქმედებებს დააკვირდებოდნენ.

11 აგვისტოს დილიდანვე ჰაერში რუსული თვითმფრინავები და შვეულმფრენები გამოჩნდნენ. 9 სთ-თვის ბაზაში რუსები МС-ის („მიროტვორჩესკიე სილი") წარწერიანი 3 БМП-2-თა და 2 „ურალის" ტიპის ავტომობილით შემოვიდნენ.

ბაზაში მათ დახვდა II რანგის კაპიტანი რობერტ ფიფია, რომელიც მაშინვე დააპატიმრეს და კარცერში ჩასვეს.

თავიდან მეგონა, რომ რუსების მიზანი საზღვაო ინფრასტრუქტურისა და მცურავ საშუალებათა განადგურება იყო, მაგრამ იმან, რაც ვიხილე, მოლოდინს გადააჭარბა.



რუსი დივერსანტები ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზაში ქართული მცურავი საშუალებების ჩასაძირად ემზადებიან



ოჩამჩირეში რუსულ სადესანტო ხომალდზე დასატვირთად გამზადებული ნაალაფარი „შავი ზვიგენი“

რუსი ჯარისკაცები პირველად სურსათის საწყობს შეესივნენ და დაიტაცეს ქათმის ბარკლები, საზამთრო, წვენები, კვების პროდუქტები და ა.შ. რაღაცას ვერ იყოფდნენ და ჩხუბობდნენ.

შემდეგ გადავიდნენ შტაბის შენობის გაძარცვაზე, გაიტანეს კომპიუტერები, ტელევიზორები, მაგიდები, სკამები, პირადი შემადგენლობის ნივთები და ოფიცრების ფორმებიც კი. რისი წაღებაც არ შეიძლებოდა, ამტვრევდნენ. წასვლისას კი „თბილისს“ ცეცხლი წაუკიდეს.

ხელი არ ახლეს სპეციალურ ანგარს, სადაც საწვავითა და საპოხი მასალით გაწყობილი 30 Sea Doo სრულ საბრძოლო მზადყოფნაში გვყავდა.

რუსულ სატვირთო ავტომობილს ფოთიდან „შავი ზვიგენის“ ტიპის კატარღა მიაქვს



იმავე დღის საღამოს მეროის დახმარებით მობილიზაცია გაუკეთდა სამარშრუტო ტაქსებს და ყველა Sea Doo საიმედო ადგილზე გადავიტანეთ. თითოეული კატარღის ღირებულება დაახლოებით 70 ათასი დოლარი და შეიძლება მეტიც კი იყოს.

**— რა ხდებოდა მომდევნო დღეებში, ძარცვა ისევ გაგრძელდა?**

— ეტყობა, პირველი ჯგუფი ბაზაში დასაზვერად შემოვიდა, მაგრამ მეორე დღიდან დაიწყო საზღვაო ინფრასტრუქტურის განადგურება, მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება 12 აგვისტოდან ძალაში შევიდა.

ბაზაში შემოვიდნენ პროფესიონალი დივერსანტები, რომლებმაც ააფეთქეს და ჩაძირეს: „თბილისი“, „დიოსკურია“, „წყალტუბო“, აგრეთვე, სანაპირო დაცვის „აიეტი“, **P-204** და **P-205** „ორბი“.

რუსმა დივერსანტებმა ხელს გააყოლეს 7 „შავი ზვიგენის“ ტიპის და 8 APEX-ის ტიპის რეზინის გასაბერი კატარღა, ხოლო დარჩენილებს ცეცხლი წაუკიდეს.

რუსები გავიდნენ თუ არა, ცეცხლი ჩავაქრეთ და რამდენიმე კატარღა გადავარჩინეთ.

აფხაზეთისკენ მიმავალ რუსულ კოლონებს ჩვენ უკან მივყვებოდით. სოფელ ხამისკურთან ერთი „შავი ზვიგენი“ ლაფეტიდან ჩამოუვარდათ, ცეცხლი წაუკიდეს და მიატოვეს, ხოლო ნახევრად დამწვარი კატარღის ნაწილების გადარჩენა მაინც მოვახერხეთ.

მეორე კატარღა ცაიშთან ჩამოვარდა და მთლიანად დაწვეს. ლაფეტიდან გადმოვარდნილი მესამე კატარღის ასაწევად კი სანამ ამწეს მოიყვანდნენ, ჩვენ მისი გადამალვა მოვასწარით.

როცა რუსების მაროდიორობამ რეგულარული ხასიათი მიიღო, მოვიდა ბრძანება და ფოთში დარჩენილი სამხედროები თავიანთი იარაღითურთ ბათუმში გადავიყვანეთ.

ბაზაში გასაძარცვი არაფერი დარჩა და რუსებმა ნაბადის უბანსა და ფოთის გასასვლელიდან მე-7 კმ-ზე წყალგამყოფ ხიდთან მოაწყვეს სტაციონარული პოსტები, რომელსაც 24 სთ-იანი მორიგეობით მთელ პერიმეტრზე იცავდნენ.

რუსმა ოკუპანტებმა ფოთი 13 სექტემბერს დატოვეს და დაგვიტოვეს ტანკსაწინაალმდეგო ხელყუმბარების დეტონატორები, ვაზნები და სხვა ფეთქებადსაშიში საგნები, რომლებიც ჩვენმა გამნაღმველებმა გაანადგურეს.

**თემურ ჩაჩანიძე**

# სპეცსამსახურებში ავგიას თავლა გასაწმენდია



**დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N21-22, 2012**

გასული თვის მიწურულს საქართველოს შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი მოადგილეები წარადგინა. ამ უმნიშვნელოვანეს პოსტებზე დაინიშნენ: პირველ მოადგილედ პარლამენტის წევრი ლაშა ნაცვლიშვილი, მოადგილეებად: ლევან იზორია, გელა ხვედელიძე, ალეკო ტაბატაძე და ალექსი ბატიაშვილი. დასახელებულ პირებს საქართველოს შინაგან და უშიშროების სამინისტროებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, თუმცა ამ გუნდს უმძიმესი მემკვიდრეობა დახვდა და ყველას აინტერესებს, როგორ გაართმევენ თავს ამ ამოცანას.

**საქართველოს სპეცსამსახურებში ავგიას თავლა გასაწმენდია და არა მხოლოდ საკადრო პოლიტიკის სფეროში. კარდინალურადაა შესაცვლელი სპეცსამსახურების საქმიანობის ყველა სფერო.**

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ XXI საუკუნის მეორე ათწლეულში, მსოფლიოში სპეცსამსახურების როლისა და მნიშვნელობის არნახული გაძლიერების ხანაში, ჩვენთან ეროვნული სპეცსამსახური, ამ ცნების ტრადიციული გაგებით, ჯერ კიდევ არ არსებობს. ამიტომაც აუცილებელია ცვლილებები, რომლებმაც სპეცსამსახურების მუშაობა უნდა დახვეწოს და უფრო ეფექტიანი გახადოს.

საქართველოს სპეცსამსახურების რეფორმირების ძირითადი მიმართულებები აერთიანებს საკანონმდებლო, სტრუქტურული და ფუნქციონალური სახის ცვლილებებს, საკადრო და საფინანსო უზრუნველყოფის არსებული სისტემის დახვეწის საკითხებს და ა.შ. მთავარია, იმის მიღწევა, რომ სპეცსამსახურები რომელიმე მმართველი რეჟიმის ექსკლუზიურ დაქვემდებარებაში კი არ იყვნენ, არამედ ეროვნული უსაფრთხოებისთვის იბრძოლონ.

ახალმა ხელისუფლებამ და სპეცსამსახურების ხელმძღვანელობამ უნდა შეძლონ რთული ამოცანის გადაჭრა და რადიკალურად შეცვალონ არსებული მდგომარეობა, **რათა უმოკლეს პერიოდში გავიაროთ გზა პოლიტიკური პოლიციიდან ეროვნულ სპეცსამსახურებამდე.**

ქვემოთ შემოგთავაზებთ უპირველესად გადასაწყვეტი პრობლემების გადაჭრის ჩვენეულ ხედვას.

## სპეცსამსახურების სტრუქტურული ცვლილებები

მნიშვნელოვანი ცვლილებებია შესატანი სპეცსამსახურების სტრუქტურულ რეორგანიზაციათა კუთხით. **ამჟამად უკვე საკამათო აღარაა, რომ უშიშროების სისტემა შსს-ს სტრუქტურაში არ უნდა იყოს და დამოუკიდებლად უნდა ფუნქციონირებდეს. ახალი შსს მთლიანად კრიმინალურ სამყაროში ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობაზე უნდა გადაერთოს, სადაც საქმე თავზე საყრელია.**

ამჟამად შსს-ს ცენტრალურ დაქვემდებარებაშია შვიდი (!) ოპერატიული დანაყოფი: კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, სოდ-ი, კუდ-ი, კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, კონტრტერორისტული ცენტრი, ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი და შსს-ს გენერალური ინსპექცია.

ამას თუ დავუმატებთ სხვა სამინისტროების ოპერატიულ სამსახურებს, მაშინ გასაგები გახდება, თუ რა მოცულობის რესურსები ეხარჯებოდათ ერთმანეთზე კომპრომატების შეგროვებაში. **ჩვენი აზრით, შემზარავი „ციხის კადრებიც“ ამ ფარული ურთიერთდაპირისპირების შედეგი იყო.**

ფორმალურად არსებული, თუმცა წლების განმავლობაში ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩენილი საგარეო დაზვერვის სამსახურისა და სამხედრო დაზვერვის სტრუქტურის რეორგანიზაციის საკითხი ცალკე საუბრის თემაა.

ეროვნული

## საკადრო პოლიტიკა

**უკანასკნელ წლებში საქართველოს სპეცსამსახურებში გამოუცდელ, მაგრამ პირადი ერთგულების საფუძველზე შერჩეულ პირებს გაეხსნათ გზა.**

გულგრილობა და აჩქარება სპეცსამსახურების კადრების შერჩევისა და მომზადების პროცესში ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის მეტად პრობლემატურია. ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ ეს შეცდომა აღარ უნდა გაიმეოროს.

საკადრო გადაწყვეტილების მიღება (თანამშრომელთა დაწინაურება, რეზერვში გადაყვანა ან დათხოვნა) საკმაოდ რთული საკითხია და ძალზე ფაქიზ მიდგომას მოითხოვს.

სპეცსამსახურების ახალ ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ თანამშრომელი, რომელიც სახიფათო დავალებებს ასრულებს, უნდა ჰქონდეს მორალური და მატერიალური მხარდაჭერა ქვეყნისა და ამ ორგანიზაციისაგან.

**განსაკუთრებულ ცვლილებებს საჭიროებს სპეცსამსახურებისთვის კადრების მომზადებისა და საკადრო გადაწყვეტილებების მიღების პროცესი,** რომელსაც ერთიან, გააზრებულ საკადრო პოლიტიკამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია. მრავალჯერ გვითქვამს და კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, — გვჭირდება ინსტიტუციური ცვლილებები, კერძოდ კი მისაღებია ახალი ნორმატიული აქტები, რომლებიც სპეცსამსახურებს გამოიყვანს პოლიტიკური დაქვემდებარებიდან, ხოლო მათ ხელმძღვანელებს კანონით განსაზღვრულ პერიოდში მშვიდად მუშაობის გარანტიას მისცემს, ქვეყანაში სამთავრობო კრიზისებისა და პოლიტიკური კონიუნქტურის მიუხედავად.

**სპეცსამსახურის ხელმძღვანელი არ უნდა იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.** მას ქვეყნის პირველი პირის წარდგინებით უნდა ამტკიცებდეს პარლამენტი წინასწარ განსაზღვრული ვადით. ამ პერიოდში მისი გათავისუფლება მხოლოდ რამდენიმე მიზეზით (ავადმყოფობა, პირადი სურვილი და კანონსაწინააღმდეგო ქმედება) იქნება შესაძლებელი.

**სხვა შემთხვევაში საქართველოს სპეცსამსახურების დღევანდელი დილეტანტიზმი და „შპიონური მასკარადები", „ფარული მოსმენა-შოუები", ვიწროპარტიული ინტერესების დაცვა და სუბიექტურობა ისევ გამეორდება.**

ურიგო არ იქნება, თუ ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურებისა და ძალოვანი სამინისტროების ხელმძღვანელობა **კადრების შერჩევისას გამოიყენებს ამერიკის, ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყნის გამოცდილებას და დანერგავს „სიცრუის დეტექტორს" (პოლიგრაფის). ამით თავიდან ავიცილებდით ამ სტრუქტურებში უცხო ქვეყნების აგენტურისა და პიროვნული პრობლემების (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და სხვ.) მქონე პირების მოხვედრას.**

ახალ ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ **სპეცსამსახურების და ძალოვანი უწყებების სიძლიერე მხოლოდ მაღალი ხელფასებით, შეიარაღებისა და უახლესი მოსასმენი აპარატურის შეძენით არ განისაზღვრება.** თანამშრომლების შერჩევისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულება, **პატრიოტი და პროფესიონალი კადრების მომზადება უფრო ზრდის და ამაღლებს სპეცსამსახურის ავტორიტეტს, ვიდრე ძვირად ღირებული სპეცტექნიკა.**

## სპეცსამსახურების დაფინანსება

კარდინალურად შესაცვლელია სპეცსამსახურების დაფინანსების არსებული პრაქტიკა. **განვლილ ცხრა წელიწადში შსს იღებდა იმდენ დაფინანსებას, რამდენსაც მოისურვებდა, თუმცა როგორ ხარჯავდა, არავინ უწყის.**

სპეცსამსახურების დაფინანსება უნდა წარიმართოს პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდით, როცა **თითოეული ჩასატარებელი ოპერაციის მიხედვით დანაყოფები ხარჯთაღრიცხვას (ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ხელფასები და ა.შ.) წინასწარ ადგენენ.**

ყველა დანაყოფიდან წამოსული **„მცირე ბიუჯეტები" სპეცსამსახურის ერთიან ბიუჯეტად იკვრება (სადაც კოდური სახელწოდების მიხედვით იქნება დაშიფრული შესასრულებელი ოპერაციები) და ფინანსთა სამინისტროში გაიგზავნება მუხლობრივად განსახილველად და დასამტკიცებლად.**

ფინანსური რესურსების ხარჯვა მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს. ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

## ლუსტრაცია და არქივების გახსნის პრობლემა

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა: **„მე ყოველთვის გამჭვირვალობის მომხრე ვიყავი, ყველა საქმე იქნება გახსნილი და გამჭვირვალე, თუ, რა თქმა უნდა, ეს საქმე სახელმწიფო უშიშროების საკითხს არ ექვემდებარება. მე გპირდებით, რომ საზოგადოებას არაფერს დავუმალავთ".**

ჯერ კიდევ 2004 წლის თებერვალში უშიშროების მინისტრად ზურაბ ადეიშვილის წარდგენისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საკმაოდ დიდი დრო დაუთმო სპეცსამსახურების არქივების გახსნისა და ძველი „ისტორიული" აგენტურის ლუსტრაციის საკითხებს. ასე რომ, ეს საკითხი „ახალი არ არის" და განსაზღვრული პერიოდულობით ახალი პოლიტიკური რეალობის პარალელურად წამოიწევა ხოლმე.

**თუმცა, წინა ხელისუფლებამ პილატესავით დაიბანა ხელი და საბჭოთა სპეცსამსახურების არქივების გახსნისა და აგენტურის ლუსტრაციის პროცესი საიმედოდ „დაასამარა" „მოდულის" შენობაში, სადაც ორი საუკუნის წინანდელ დოკუმენტებსაც კი „ცხრათავიანი დევები" დარაჯობდნენ.**

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ლუსტრაციის ურთულესი საკითხებისადმი, ცოტა არ იყოს, დილეტანტური მიდგომაა. ამიტომაც მრავალი წელი გავიდა, მაგრამ კა-გე-ბეს არქივების შესწავლისა და აგენტურის ლუსტრაციის პრობლემა კვლავინდებურად გადასაწყვეტია. **არადა, გამოსავლენია, თუ ვინ რომელი ქვეყნის აგენტი იყო 1921-1991 წლებში.**

საქართველოში მოქმედი საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტურის საარქივო მასალების გახსნის ძალზე რთული და ფაქიზი საკითხი სამართლებრივი სიბრტყიდან „აორთქლდა" და საგაზეთო სენსაციების, პოლიტიკური დაპირისპირებისა და ვაჭრობის საგნად იქცა.

არსებობს საშიშროება, რომ ამ შეჯიბრებაში პოლიტიკური ქულების მოპოვებას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები შეეწირება. შორს უნდა გავიხედოთ, რათა ლუსტრაციის მართლაც აუცილებელი პროცესი, პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და საზოგადოებრივი დაპირისპირების საგნად არ იქცეს.

ლუსტრაციის, როგორც ყველა სხვა რთული პოლიტიკური, მორალური და იურიდიული პრობლემის გადაჭრა, ლოგიკურ თანამიმდევრობასა და სალ განსჯას მოითხოვს.

უპირველესად გასარკვევია, თუ როგორია სუკ-ის არქივების დღევანდელი მდგომარეობა, რა ბაზა გვაქვს ლუსტრაციის დასაწყებად და რა დოკუმენტურ წყაროებს უნდა ვენდოთ. რა კრიტერიუმებით, სამართლებრივი ბაზით და რომელი არქივებით უნდა ვისარგებლოთ აგენტების დასახელებისას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლუსტრაციის გაუაზრებლად და ნაჩქარევად დაწყებით წარმოქმნილი პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობა და დაძაბულობა ჩვენი ქვეყნის მტრებმა არ გამოიყენონ და დეზინფორმაციული განცხადებებით ამღვრეულ წყალში თევზი არ დაიჭირონ.

ახალ ხელისუფლებას ვურჩევთ, უშიშროების არქივების შესწავლისა და ლუსტრაციის საქმეში გაიზიაროს სხვა ქვეყნების გამოცდილება და უპირველესად საზოგადოების ნდობით აღჭურვილ პირებს დაეყრდნოს.

## კონტროლი

**დემოკრატიულ ხელისუფლებას ავტორიტარული რეჟიმისგან სწორედ სპეცსამსახურებზე კონტროლის მექანიზმების არსებობა განასხვავებს, რაც საქართველოს სპეცსამსახურებს არასდროს ჰქონიათ.**

ჯერ კიდევ 1994 წელს ეუთოს ბუდაპეშტის სამიტზე აღმოსავლეთ ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს „სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების კოდექს", რომელიც გულისხმობდა სამხედრო სტრუქტურების, პოლიციისა და სპეცსამსახურების საქმიანობაზე დემოკრატიულ კონტროლს. ეს კი აერთიანებს: საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და „მეოთხე ხელისუფლების" კონტროლს.

საკანონმდებლო დონეზე სპეცსამსახურების საქმიანობაზე დემოკრატიული კონტროლი უპირველესად მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზის არსებობას გულისხმობს. ის უპირატესად ინფორმაციის მოპოვებას, ხელმისაწვდომობას, გაცნობას, ფლობასა და გამოყენებას ეხება.

ასევე საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს საქართველოს სპეცსამსახურების საქმიანობის შემდეგი ძირითადი ასპექტები: ძირითადი მიზნები და ამოცანები; მათი მოქმედების სფერო; საზღვრები და კომპეტენცია; მათი ორგანიზაციული სტრუქტურა; სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ურთიერთთანამშრომლობის საზღვრები და ვალდებულება; სპეცსამსახურების საქმიანობაზე კონტროლის სახეები, ხერხები და მექანიზმები და ა.შ.

**უნდა გაიზარდოს შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების (უპირველესად კი თავდაცვისა და უშიშროების) როლი და ფუნქციები კონტროლის გამკაცრების მხრივ.** სპეცსამსახურების მუშაობის ეფექტიანობა ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დასახული საშინაო და საგარეო პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და ა.შ. ამოცანების რეალურ შესრულებაში გამოიხატება.

აღმასრულებელი ხელისუფლების ცვლილება კი გავლენას არ უნდა ახდენდეს სპეცსამსახურების სტრატეგიულ კურსზე.

კანონები უნდა არეგულირებდნენ სპეცსამსახურის საქმიანობას და აწესებდნენ მათი მოქმედებების მკაცრ ჩარჩოებს.

კანონების შესრულებას კი გენერალური პროკურორი უნდა ზედამხედველობდეს. **ჩვენი აზრით, საზოგადოებრივი კონტროლი უნდა გახდეს იმის გარანტია, რომ ეროვნული უსაფრთხოების მიზნებს ადამიანის თავისუფლება და უფლებები არ შეეწირება.**

ამასთან, მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა იყოს სპეცსამსახურების ბიუჯეტი და თანხების ხარჯვის მიზნობრიობა.

**საქართველოს პარლამენტის „ნდობის ჯგუფი" პრეფერანსის მოყვარულთა ჩაკეტილ კლუბს დაემსგავსა, სადაც სპეცსამსახურებისა და თავდაცვის სამინისტროს დანახარჯების ანალიზისთვის დრო უკვე აღარ რჩებოდათ, მასმედიასა და ექსპერტებს კი ამ ინფორმაციამდე არავინ უშვებდა.**

სპეცსამსახურების ძირეული რეფორმა, თუ ის გააზრებულად, კარგად მოფიქრებული და ყველა საჭირო რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმით ჩატარდა, ურთულესი და ხანგრძლივი პროცესია. ფაქტობრივად, ჩვენ ახალი სპეცსამსახურები უნდა ავაგოთ და თუ ძველი „სანდო საძირკველი" და საღი, შემოწმებული „სამშენებლო მასალები" არ გამოვიყენეთ, წარმატებას ნამდვილად ვერ მივაღწევთ.

**ნაჩქარევად და მხოლოდ უცხოელი ექსპერტების თვალის ასახვევად (როგორც აქამდე ხდებოდა) ფაციფუცი, ძველის მხოლოდ დანგრევა და ამით თავის მოწონება, სიკეთეს არ მოგვიტანს. ამის სამწუხარო მრავალწლიანი გამოცდილება კი გვაქვს.**

მთავარია, ახალმა ხელისუფლებამ გაითვალისწინოს წინამორბედების შეცდომები და სპეცსამსახურები კვლავ „პოლიტიკურ პოლიციად" არ აქციოს.

ავგიას თავლა ოცდაათი წელი არ იწმინდებოდა და ჰერაკლემ ერთ დღეში გაწმინდა.

**ირაკლი ღარიბაშვილს ვუსურვებთ ქიზიყური სიდინჯე გამოიჩინოს და ხუთ-ექვს თვეში მაინც რეალური შედეგი გვაჩვენოს.**

ბუნებრივია, ჩვენს რეკომენდაციებს „უკანასკნელი ჭეშმარიტების" პრეტენზია არა აქვს. ესაა ამ პრობლემების ჩვენეული ხედვა. აუცილებელია ფართო საზოგადოებრივი განხილვის დაწყება, რომელიც ამ საკითხების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, უმთავრესად აკადემიურ ვითარებაში უნდა წარიმართოს. **„არსენალის" მკითხველს კი ვპირდებით, რომ კვლავაც ობიექტურად და პირუთვნელად მოვუთხრობთ საქართველოს სპეცსამსახურების შეცდომებისა და წარმატების შესახებ.**

ბესიკ ალადაშვილი

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*



# კავკასიური მოვლენების



Mi-24 Super Hind-ის პროგრამით მოდერნიზებული შვეულმფრენი

## აზერბაიჯანი

● სამხრეთაფრიკული კომპანია ATE Aerospace და აზერბაიჯანული Azairtechservice სხვა პარტნიორებთან ერთად Mi-24 Super Hind-ის პროგრამით აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების შვეულმფრენებს Мк.3-ის, Мк.4-ისა და Мк.5-ის დონეზე მოდერნიზაციას ჩაუტარებენ. მოდერნიზებული შვეულმფრენები აღნიშვნა Ми-24Г-ს (Gec) მიიღებენ.

● 19 ოქტომბერს აღდამის რაიონში ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცი თავისივე იარაღის გასროლის მსხვერპლი გახდა.

● უკრაინამ აზერბაიჯანს შვეულმფრენების წარმოების პროგრამებში მონაწილეობა შესთავაზა. პირველი პროგრამა შეეხება Ми-24-ის ბაზაზე შექმნილ ახალ საბრძოლო შვეულმფრენ Ми-24ПУ1-ს, რომელიც მთებში ბრძოლებისთვის არის განკუთვნილი და გაზრდილი საბრძოლო მახასიათებლები აქვს. მეორე შვეულმფრენი Ми-8МСБ მრავალფუნქციონალურია და ძირითადად პირადი შემადგენლობის გადაყვანასა და დაჭრილთა ევაკუაციაზეა გათვლილი.

● 29 ოქტომბერს ნახჭევანში დისლოცირებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ჯარისკაცი ტაბელური იარაღიდან გასროლილი ტყვიით გარდაიცვალა.

● ჟურნალისტთა სამხედრო კვლევების ცენტრ „დოქტრინის“ მონაცემებით განვლილი პერიოდისთვის ქვეყნის შეიარაღებული ძალების დანაკარგმა 77 კაცი შეადგინა. 2003 წლიდან აზერბაიჯანმა მინიმუმ 626 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა, საიდანაც 173 საბრძოლო (146 — სომხებმა მოკლეს და 27 — ფეთქებადსაშიშ საგნებზე აფეთქდა) და 453 არასაბრძოლო (123 — არასაწესდებო ურთიერთობების, 84 — თვითმკვლელობის, 79 — ავტოავარიებისა თუ სხვა მიზეზით არის გარდაცვლილი) პირობებში დაიღუპა. კვლევებით დადგენილია, რომ დანაკარგის 25-30%-ზე ინფორმაცია მედიაში არ ხვდება. „დოქტრინის“ მონაცემებით 1994 წელს სომხეთთან ცეცხლის შეწყვეტაზე ხელმოწერილი შეთანხმების შემდეგ აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა 3700-ზე მეტი სამხედრო დაკარგეს.

● 30 ოქტომბერს ფრონტის ხაზის 1-ლი საარმიო კორპუსის პოზიციებზე პარლამენტის დეპუტატები, უფლებადამცველები და ჟურნალისტები იმყოფებოდნენ. კორპუსის სარდლის, გენერალ-მაიორ ნიზამ ოსმანის თქმით, ფრონტის ხაზზე გაუმჯობესდა დაკვირვების შესაძლებლობები და მოწინაალმდეგის გადაადგილებებზე თვალთვალი 10 კმ-ის სიღრმეში შეიძლება.

● ქალაქ ტერტერში გამართულ პრესკონფერენციაზე თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა პოლკოვნიკმა ელდერ საბიროღლუმ განაცხადა, რომ განვლილ პერიოდში სომხებმა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 1178-ჯერ დაარღვიეს. ამის შედეგად 12 აზერბაიჯანელი სამხედრო დაიღუპა, ხოლო სომხების მონაცემებით მათი დანაკარგი 12 კაცს შეადგენს.

## სომხეთი

● 25 ოქტომბერს პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი მონაწილეობდა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში საჰაერო თავდაცვის ახალი ნაწილის გახსნის ცერემონიალში. ნაწილი საჰაერო თავდაცვის უახლესი შეიარაღებით არის აღჭურვილი.



სომხური წარმოების სნაიპერული შაშხანა К-15

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიმოხილვა

● რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვლადიმირ ჩირკინი ოფიცერთა ჯგუფთან ერთად 25-27 ოქტომბერს სამუშაო ვიზიტით სომხეთში მდებარე 102-ე სამხედრო ბაზაში იმყოფებოდა.

● 26 ოქტომბერს შედგა სომხური წარმოების მსხვილკალიბრიანი 12,7 მმ-იანი სნაიპერული შაშხანის К-15-ის პრეზენტაცია. შაშხანა აღჭურვილია რუსული ოპტიკური დამმიზნებლით, ხოლო ეფექტური სროლის მანძილი 1600 მეტრია, სროლის ტემპი კი წუთში 16 გასროლა.

● 29 ოქტომბერს თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრ რეი მაბუსთან საუბრისას აღნიშნა, რომ სომხეთს ცეცხლსასროლი იარაღისა და ოპტიკურ საშუალებათა წარმოების გამოცდილება აქვს, ამიტომ ამ მხრივ აშშ-ის გამოცდილების გაზიარება ღირებული იქნებოდა.

## ჩრდილო კავკასია

● 1,5 წელიწადში ინგუშეთის ხელისუფლებას ნებაყოფლობით ჩაჰბარდა შეიარაღებული წინააღმდეგობის 42 მებრძოლი. ცოტა ხნის წინ ინგუშეთის ლიდერმა იუნუს-ბეკ ევკუროვმა მორიგი მიმართვა გაავრცელა და წინააღმდეგობის მებრძოლებს ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში ობიექტურ სასამართლოსა და სამუშაოზე მოწყობას დაჰპირდა. მეტი დამაჯერებლობისთვის ევკუროვმა პირადი ტელეფონის ნომერიც გამოაქვეყნა და დააზუსტა, რომ ამ ნომერზე მისი თანაშემწეები ნებისმიერ კითხვას უპასუხებდნენ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი მასთან დააკავშირებდნენ. ინგუშეთის ლიდერის მონაცემებით ამჟამად იატაკქვეშა წინააღმდეგობა 30-50 მებრძოლს ითვლის.

## კონფლიქტის რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზიდან დემობილიზებულების ადგილს დაიკავებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ცენტრებში მომზადებული დაახლოებით 500 უმცროსი სპეციალისტი და 1000-მდე წვევამდელი, რომლებიც ახლა ახალგაზრდა მებრძოლის კურსს მაიკოპში გადიან.

● გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის საინჟინრო-მესანგრეთა ბატალიონი ნაგვილოუსა და წებელდის სასწავლო-საწვრთნელი კომპლექსების ტერიტორიათა ფეთქებადსაშიში საგნებისგან გასუფთავებას განაგრძობენ. გასასუფთავებელია 12 ჰა და ამ საქმეში გამნაღმველები სპეციალურად მომზადებულ ძაღლებსა და ნაღმძებნელ Коршун-ს იყენებენ. ამ უკანასკნელს ფეთქებადსაშიში საგნების ძებნის მაღალი ტემპი და დიდი სიშორე (30 მ) ახასიათებს. ნაპოვნი საბრძოლო მასალები ადგილზევე აფეთქებით ნადგურდება. რუსმა სამხედროებმა ორივე პოლიგონზე ზაფხულის სასწავლო პერიოდში 4 მლნ სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა გახარჯეს.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● ცხინვალში საოკუპაციო ჯარების მე-4 სამხედრო ბაზის შემადგენლობაში მყოფი ოსური ბატალიონი სამსახურისთვის 30 წლამდე ასაკის, საშუალოზე მეტი განათლების, დანაშაულის არმქონე და სამხედრო სამსახურმოვლილ მოსურნეებს იწვევს.

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● 15-23 ოქტომბერს თვითაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების უპრეცედენტო რაოდენობის მონაწილეობით სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო სწავლებები ჩატარდა, სადაც შემოწმდა თავდაცვით და კონტრშეტევით ბრძოლებში ქვედანაყოფთა შესაძლებლობები. 23 ოქტომბერს პოლიგონი „ტიგრანაკერტი“ სწავლების დასკვნით ეტაპსა და საბრძოლო სროლას დაეთმო.

● თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ მოვსეს აკოპიანის თქმით, ყარაბაღელი სამხედროები სწავლების კურსს საზღვარგარეთის სამხედრო სასწავლებლებში გადიან. მისივე აზრით, საჭიროა, ქვეყანას საკუთარი სამხედრო სასწავლებელი ჰქონდეს.

● უახლოეს დღეებში მოსალოდნელია სტეფანაკერტის აეროპორტიდან პირველი ტექნიკური ავიარეისის შესრულება. სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის თქმით, პირველი ავიარეისის მგზავრი ის იქნება. შეასრულებს თუ არა დანაპირებს პრეზიდენტი, ჯერჯერობით, უცნობია.

**თემურ ჩაჩანიძე**



ყარაბაღში უპრეცედენტო მასშტაბების სწავლებები ჩატარდა



ამერიკული Raeper — მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე და სრულყოფილი „უსულო“ მკვლელია

# შეიარაღებული და განსაკუთრებით საშიში

**მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების არმიებში რობოტიზებული სისტემები სულ უფრო პოპულარული ხდება და ხშირად დამრტყმელ ოპერაციებში იყენებენ. მართალია ჯერჯერობით ცეცხლის გახსნის ბრძანებას კიდევ ადამიანი იძლევა, მაგრამ მალე, ალბათ, ამ ფუნქციასაც საბორტო კომპიუტერი შეითავსებს.**

სადაზვერვო ოპერაციების ჩასატარებლად უპილოტო საჰაერო სისტემებს სამხედროები არაერთი ათწლეულია იყენებენ, მაგრამ თანდათან მფრინავი უპილოტოების დახვეწასთან ერთად მათი ფუნქციებიც გაფართოვდა. დღეს დაკვირვებასთან ერთად უპილოტო საფრენ აპარატებს მოწინააღმდეგეზე სარაკეტო-ბომბური დარტყმის მიყენებაც შეუძლიათ. სამხედრო ექსპერტთა აზრით, უპილოტო საფრენი აპარატებით ტერორისტების ლიკვიდაციისთვის სამიზნის აღმოჩენა-იდენტიფიკაციიდან მის განადგურებამდე დრო მინიმუმამდეა შემცირებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საბრძოლო თვითმფრინავის ან შვეულმფრენის პილოტისგან განსხვავებით უპილოტოს ოპერატორი თავს გაცილებით უსაფრთხოდ გრძნობს და თანაც უპილოტოს შენახვა ბევრად იაფია.

წერტილოვანი საჰაერო დარტყმებისთვის შემტევ საჰაერო რობოტიზებულ სისტემებს სხვებზე მეტად ამერიკელები იყენებენ. მსოფლიოში პირველი და დღეისთვის ყველაზე ეფექტური დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატი ამერიკელებმა სადაზვერვო Predator-ის (ქართულად „მტაცებელი“) ბაზაზე შექმნეს. ფირმა General Atomics-ის ქმნილება პირველად 1994 წელს აფრინდა და მას შემდეგ სამხედ-

ზოგჯერ ავღანეთში ამერიკელები უპილოტოებს პილოტირებად ავიაციაზე ხშირად იყენებენ. ფოტოზე Predator MQ-1B



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბომბი GBU-44/B Viper Strike KC-130J Harvest Hawk-ის ტიპის მფრინავი ტანკერებისა და AC-130U Spooky-ის ტიპის დამრტყმელი თვითმფრინავების შესაიარაღებლად შეიქმნა. წერტილოვანი დარტყმებისთვის განკუთვნილ მართვად ბომბს ლაზერული დამიზნების სისტემა აქვს. ჩამოგდების შემდეგ ცილინდრული ფორმის ბომბის სტაბილიზაციისთვის გამოიყენება მცირე პარაშუტი, რომელიც მას ფრთების გაშლის შემდეგ სცილდება. მცირე წონისა და გაბარიტების წყალობით ბომბის განთავსება უპილოტო საფრენ აპარატებზეც შეიძლება.

2003 წლიდან Viper Strike-ს ებრაული წარმოების MQ-5 Hunter-ის ტიპის უპილოტოდან ცდიან. დანამდვილებით ცნობილია, რომ 2007 წლის სექტემბერში ამ უპილოტოდან ჩამოგდებული GBU-44/B-ით ორი ტერორისტის ლიკვიდაცია მოხდა.

როებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. თუმცა 90-იან წლებში აპარატის მხოლოდ სადაზვერვო — RQ-1 მოდიფიკაცია არსებობდა.

ექსპლუატაციის პროცესში არმიის დაკვეთით მწარმოებლებმა „პრედატორის" შესაძლებლობები გაზარდეს და ახალ მოდიფიკაცია MQ-1-ს სადაზვერვო ფუნქციებთან ერთად მოწინააღმდეგის განადგურებაც შეეძლო.

2001 წელს Hellfire-ის ტიპის მართვადი რაკეტებით შეიარაღებული უპილოტოდან როგორც უძრავი, ასევე მოძრავ სამიზნეებზე საცდელი სროლა ჩატარდა.

უპილოტოს ეს ტიპი ორ რაკეტას ატარებს და ახალი ფუნქციებიდან გამომდინარე, შესაბამისი აღჭურვილობა



აქვს. სერიულ წარმოებაში ეს ვარიანტი MQ-1B-ია ჩაშვებული.

მალე უპილოტოს რეალურ საბრძოლო პირობებში გამოყენების შესაძლებლობა გამოჩნდა. ამერიკელებმა „პრედატორი" ჯერ ბოსნიაში (1995 წ.), შემდეგ კი იუგოსლავიაში (1999 წ.) მოსინჯეს. ორივე შემთხვევაში პენტაგონი უპილოტოს სადაზვერვო მოდიფიკაციას იყენებდა. თუმცა ტექნიკური და საბრძოლო დანაკარგი ორივე კონფლიქტისას იყო.

2001 წლიდან „მტაცებელს" ავღანეთსა და ერაყში ინტენსიურად იყენებენ. სხვათა შორის, ერაყის კამპანიის დასაწყისში საკმაოდ საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა: **2002 წლის 23 დეკემბერს ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების МиГ-25ПД-ს ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელმა „ჰაერი-ჰაერი" კლასის რაკეტით „პრედატორი" ჩამოაგდო. საბრძოლო მოქმედებებისას ეს გამანადგურებლის მიერ მზვერავი უპილოტო თვითმფრინავის ჩამოგდების პირველი პრეცედენტი იყო.** შემდგომ სწორედ ამ ტიპის უპილოტოები ერაყსა და ავღანეთში მოქმედი პირველი „უსულო" მკვლელები გახდნენ.

არსებული მონაცემებით, დღემდე ორივე (სადაზვერვო და დამრტყმელი) მოდიფიკაციის 360 „პრედატორია" გამოშვებული. მათი უმეტესი ნაწილი აშშ-ის შეიარაღებაშია. გარკვეული რაოდენობა იტალიასაც ჰყავს. უპილოტოს შესაძლებლობებით ჩვენი მეზობელი თურქეთიც მოიხიბლა და დამრტყმელი მოდიფიკაციის 6 ერთეული შეიძინა.

მომავალში პენტაგონი „პრედატორის" საბაზო ვარიანტის შესყიდვებს თანდათან შეამცირებს და ყურადღებას ახალ მოდიფიკაცია MQ-1C Grey Eagle-ზე გადაიტანს. ამ უკანასკნელზე მუშაობა 2002 წელს დაიწყო და ორი წლის შემდეგ ახალი უპილოტო ჰაერში აფრინდა. ვიზუალურ სხვაობასთან ერთად მთავარი ცვლილებები უპილოტოს შიგთავსს შეეხო.

ძრავის 50 ცხ.ძ-ით გაზრდილმა სიმძლავრემ საფრენოსნო შესაძლებლობებთან ერთად MQ-1C-ის სასარგებლო დატვირთვაც გაზარდა და შეიარაღება უკვე ოთხ საკიდზეა განთავსებული. 4 მართვადი Hellfire-ის გარდა, მას ამდენივე GBU-44/B Viper Strike-ის ტიპის მცირეგაბარიტული ბომბი მიაქვს.

**Grey Eagle-ის შექმნის პროგრამა აშშ-ის ბიუჯეტს თითქმის 1 მლრდ დოლარი დაუჯდა. პირველი უპილოტოები აშშ-ის არმიას 2010 წლის ივნისში გადაეცა. მას შემდეგ ერაყსა და ავღანეთში აპარატები ოპერაციებზე რეგულარულად დაფრინავენ და MQ-1C-ებმა ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე რამდენიმე საჰაერო იერიშშიც მიიღეს მონაწილეობა.**

უახლეს 5-7 წელიწადში MQ-1C-ები „მტაცებლებს" სრულად ჩაენაცვლებიან. ერთი უპილოტოს ღირებულება 8 მლნ დოლარია.

არსებული უპილოტოების მოდერნიზაციის პარალელურად 90-იანი წლების ბოლოს General Atomics-მა სრულიად ახალი დამრტყმელი უპილოტოს

ეროვნული ბიბლიოთეკა




შექმნა განიზრახა. საბაზო ვარიანტად კარგად აპრობირებული „პერედატორი“ შეირჩა და მისგან განსხვავებით ახალ MQ-9 Reaper-ს (მეორენაირად Predator B) გაზრდილი შესაძლებლობები აქვს.

წინამორბედებთან შედარებით 900-ცხ.ძ-იანმა ახალმა ძრავამ და 20 მ-მდე გაზრდილმა ფრთის გაქანმა ახალი უპილოტოს მახასიათებლები მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ამ ტიპის საფრენი აპარატების მთავარი მაჩვენებელი — სასარგებლო დატვირთვა 1400 კგ-მდე გაიზარდა.

შეიარაღების არსენალში Hellfire-ების გარდა (14 ერთეულამდე) GBU-12 Paveway II (ლაზერული დამიზნების სისტემით) და GBU-38-ის ტიპის (დამიზნება GPS-ით) მართვადი ბომბები შევიდა.

საგამოცდო პროგრამის დასრულების შემდეგ პირველი MQ-9-ები რეგულარულ ნაწილებს 2007 წლის მარტში გადაეცა და იმავე წლის ოქტომბერში უპილოტოები ავღანეთში გაიგზავნა. იქ, ისევე როგორც ერაყში, შეიარაღებულ რობოტიზებულ საჰაერო სისტემებს სპეციალური 432d შენაერთი იყენებს.

2008 წლის მარტისთვის Reaper-ებმა შეიარაღების გამოყენებით 16 საბრძოლო გაფრენა შეასრულეს. მაგალითად, 4 თებერვალს უპილოტომ ბომბური დარტყმით ყანდაარის მახლობლად გაანადგურა თალიბების სატვირთო მანქანა, რომელსაც ნაღმსატყორცნი და ტყვია-წამალი გადაჰქონდა. ამავე უპილოტოს იერიშმა 2010 წლის აპრილში „ალ-ქაიდას“ დაჯგუფებაში მესამე კაცი – შეიხ ალ-მასრი იმსხვერპლა.

**სხვათა შორის, ავღანეთში დამრტყმელი უპილოტოების გამოყენებისას ერთი საინტერესო შემთხვევა**

**2010 წლის მდგომარეობით, ერაყსა და ავღანეთში მიზეზთა გამო აშშ-მა 38 Predator-ი და Reaper-ი დაკარგა. ამასთან, ორივე ტიპის უპილოტოს საბრძოლო გაფრენათა რიცხვმა 33 ათასს გადააჭარბა.**

**მოხდა: 2009 წლის 13 სექტემბერს საჰაერო პატრულირებისას სახმელეთო პერსონალმა ერთ-ერთ MQ-9-ზე კონტროლი დაკარგა. უმართავი აპარატი ავღანეთ-ტაჯიკეთის საზღვართან ამერიკულმა F-15E-მ რაკეტით ჩამოაგდო.**

მწარმოებლები Reaper-ის მოდერნიზაციაზე მუშაობენ და მიმდინარე წლის მაისში ახალი ვარიანტი — MQ-9 Block 1-Plus წარმოადგინეს. მასზე გაუმჯობესდა ელექტრონული, სამზირე, სანავიგაციო და ცეცხლის მართვის სისტემები. ამიერიდან აღმოჩენილ სამიზნეზე ინფორმაციის ერთმანეთში გაცვლას ჰაერში მყოფი ორი ან ორზე მეტი უპილოტო შეძლებს. დამატებითი საწვავის ავზების შემოღებით აპარატის ჰაერში ყოფნამ 450 კგ-იანი სასარგებლო დატვირთვით 42 სთ-მდე მოიმატა.

ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია „ნიუ ამერიკენ ფაუნდეშენის“ მონაცემებით, 2004 წლიდან 2012 წლის ოქტომბრის დასაწყისამდე მფრინავმა „უსულო“ მკვლელებმა პაკისტანის ტერიტორიაზე 334 საჰაერო იერიში მიიტანეს. ამასთან, დაღუპული ტერორისტებისა და უკანონო დაჯგუფებების წევრთა რიცხვი 1886-დან 3191 კაცამდე მერყეობს. ვაშინგტონის განცხადებით, მათგან 35 ტერორისტთა ლიდერი და საველე მეთაური იყო.

უპილოტოების საჰაერო იერიშით დაღუპულ სამოქალაქო პირებზე ამერიკელები, როგორც წესი, დუმილს ამჯობინებენ. არადა, ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, იმავე პერიოდში საჰაერო დარტყმებს 477-დან 884-მდე სამოქალაქო ემსხვერპლა და მათგან 176 ბავშვი იყო. თუ ამ ციფრებს დავუმატებთ ავღანეთში, ერაყში, იემენში, სომალისა და ლიბიაში არსებულ უპილოტო საფრენი აპარატების მსხვერპლს, ციფრი გაცილებით შთამბეჭდავი გამოვა.

**ვაშინგტონსა და ისლამაბადს შორის არაოფიციალური შეთანხმებაა, რომლის თანახმადაც, ამერიკელები უპილოტოების იერიშის დროს დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეობაზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული არიან.**

შეიარაღებული უპილოტოების პრობლემად საჰაერო დარტყმების სიზუსტე რჩება. ხშირად მსგავსი ოპერაციები დასახლებულ რაიონებში ტარდება, სადაც ტერორისტებთან ერთად, უპილოტოებიდან გახსნილ ცეცხლს მშვიდობიანი მოსახლეობაც ეწირება.

პრობლემის გადასაჭრელად, ფირმა „აეროვირომენტმა“ მცირეგაბარიტული უპილოტო Switchblade შექმნა. მისი გამოყენება როგორც სადაზვერვო, ასევე დამრტყმელ ოპერაციებში შეიძლება.

შემუშავებული კონცეფციით, ეს უპილოტო ერთგვარი კამიკაძეა, რომელიც სამიზნეს საკუთარი „სიცოცხლის“ ფასად გაანადგურებს. ამიტომაც მისი წარმოება მაქსიმალურად მარტივი და იაფია. ამასთან, საკმაოდ კომპაქტურია, ზურგჩანთაში თავსდება.

ეს უცნაური უპილოტო ორ რეჟიმში მუშაობს: დისტანციურსა და ავტონომიურში. საბრძოლო ქობინი ფიუზელაჟშია მოთავსებული და კამერები დანახულ გამოსახულებას მიწაზე რეალურ დროში გადასცემენ.

მაღალი სიჩქარე, ძლიერი საბრძოლო ქობინი და მოქმედების სიზუსტე ამ კამიკაძე-თვითმფრინავს ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს, ხოლო ქალაქის პირობებში ამ თვისებათა ერთობლიობა უნიკალური, ანტიტერორისტული იარაღის ფუნქციებს ანიჭებს.

უპილოტოებში მიღებულ დავალებათა სწრაფი შეწყვეტის შესაძლებლობაცაა ჩადებული, ხოლო თუ ის ერთჯერადია, მაშინ სამიზნესთან ერთად ნადგურდება. შესაბამისად, დავალების დროული გაუქმების შესაძლებლობა უპილოტოს არა მხოლოდ უქმი გამოყენებისგან დაიცავს, არამედ ზედმეტ მსხვერპლსაც თავიდან აიცილებს.

**ალექსანდრე აფაქიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რაქჰაინი

## ეკუთვნით თუ არა დამოუკიდებლობა ბირმელ მუსლიმანებს?

რაქჰაინი, ანუ არაქჰანი, მიანმის (ბირმის) კავშირის რესპუბლიკის ერთ-ერთი შტატია, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სუნიტურ ისლამს აღიარებს. საერთოდ კი მიანმის (ბირმის) ტრადიციული რელიგია თჰერავადას მიმართულების ბუდიზმი და ინდუიზმია. ამ ქვეყანაში, რომელსაც სახელი გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, არც მეტი, არც ნაკლები, ასტროლოგთა რჩევით შეეცვალა („მიან მა“ ბირმულად „დიდ და ურღვევ ქვეყანას“ ნიშნავს), 7 შტატი და კიდევ 7 ოლქიცაა, თუმცაღა კონსტიტუციის მიხედვით მიანმა უნიტარულ ქვეყნად ითვლება.

ქვეყნის მოსახლეობის 70% ბირმელია და რელიგიით — ბუდისტი. ბუდისტები არიან აგრეთვე კარენები, შანები, მონგები, ჩინელები და სხვა ეროვნული უმცირესობები, გარდა რაქჰაინის შტატში მცხოვრები როჰინჯიას ხალხისა, რომელიც ისლამს აღიარებს. ამ უკანასკნელთა ხვედრითი წილი კი მიანმას მოსახლეობაში სულ რაღაც 4%-ს შეადგენს. მთლიანად მიანმაში 50 მილიონამდე კაცი ცხოვრობს და ქვეყნის საერთო ფართობი 678 500 კვ კმ-ია.

როჰინჯიას ეთნოსი მეზობელ ბენგალელთა (უფრო ზუსტად — ბანგლადეშელთა) ერთ-ერთი განშტოებაა და რაქჰაინის ტერიტორიაზე X-XI სს. მიჯნიდან მკვიდრობს: ისინი დღევანდელი ბანგლადეშიდან (აღმოსავლეთ ბენგალიდან) მოვიდნენ და რაქჰაინის სამეფოში (არსებობდა 327-1784 წლებში) დასახლდნენ.

როგორც სამხედრო ვალდებულნი, როჰინჯიას ყოველ მამაკაცს მეფის ჯარში უნდა ემსახურა, სამაგიეროდ კი მისი ოჯახი ყოველგვარი გადასახადისგან თავისუფლდებოდა. მუსლიმანთა ამგვარ პრივილეგიებს ბოლო 1784 წელს მოეღო, როდესაც რაქჰაინის სამეფო ბირმის მეფემ, ბოდო პაია I-მა დაიპყრო. იმ დროიდან როჰინჯიას მუსლიმანური ეთნოსი ბირმელთაგან ეროვნულ და რელიგიურ შევიწროებას განიცდის.

1826 წელს სწორედ როჰინჯიების აჯანყების ჩაქრობამ გამოიწვია ინგლის-ბირმის ომი — ინგლისელებმა, რომლებიც იმ დროისათვის ბენგალს ფლობდნენ, აჯანყებულებს მხარი დაუჭირეს და რაქჰაინის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. მოგვიანებით მათ მთელი ბირმა დაიკავეს.

### შეიარაღებული კონფლიქტის დასაწყისი

გასულ საუკუნეებში, სანამ ბირმა ბრიტანელთა ხელთ იყო და გარკვეულ პერიოდში ბრიტანეთის ინდოეთის შემადგენლობაშიც კი შედიოდა, როჰინჯიები ჩაგვრისგან თავის არიდებას კოლონიზატორებთან თანამშრომლობით ცდილობდნენ.

1942 წლიდან, როცა ბირმის ტერიტორია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებთან ერთად, იაპონიის იმპერიამ დაიპყრო და როჰინჯიები, როგორც პრობრიტანული ეთნოსი, მეორეხარისხოვან ადამიანებად უკვე ოფიციალურად გამოაცხადეს.

იაპონიის იმპერია 1945 წელს სასტიკად დამარცხდა და იძულებული გახდა, ყველა სამფლობელო დაეთმო.

ბირმაში იმ დროისათვის ეროვნულ მოძრაობას ღრმად ჰქონდა გადგმული, — ინდეპენდისტების (დამოუკიდებლობის მოსურნეთა) ლიდერი ნგო აუნ სანი უკვე ქვეყნის ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს და აღარც კი ეპუებოდა ბრიტანელებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის ბოლოს კვლავ დაბრუნდნენ ბირმაში.



რაქჰაინელი მუსლიმანი ქალი ბავშვით ხელში

სიმართლე ითქვას, ბირმაში ეროვნული მოძრაობის წამოწყებას ხელი იაპონელებმა შეუწყვეს, — როდესაც შეატყვეს, რომ ომს აგებდნენ, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ინდოეთსა და ბირმაში ბრიტანელებისათვის, ინდოჩინეთში კი ფრანგებისათვის ერთგვარ წინაღობად ადგილობრივი ინდეპენდისტები დაეტოვებინათ; ამიტომ იყო, რომ ბირმაში აუნ სანი ანტიბრიტანულ განცხადებებს აკეთებდა, იაპონელებს კი ემადლიერებოდა კიდევაც.

შესაბამისად, ბირმის ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები როჰინჯიას ეთნოსს ბრიტანელების მხარდამჭერ ძალად განიხილავდნენ და დათმობაზე წასვლას არც ფიქრობდნენ: „მუსლიმან როჰინჯიებს სრული უფლება აქვთ, დაბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში — ბენგალიაში და იცხოვრონ ისე, როგორც მოესურვებათ!“ — აცხადებდა აუნ სანი.

მოგვიანებით მემუარებში ის წერდა, რომ ამგვარი განცხადების საფუძველი ბირმელთა შორის როჰინჯიების ზიზღი და უნდობლობა იყო: „დღევანდელი გადასახედიდან მე ვხვდები, რომ მართალი არ ვიყავი, მაგრამ იმ დროს სხვაგვარად ვფიქრობდი“, — წერდა აუნ სანი 70-იან წლებში.

რაქჰაინის ბუდისტი მოსახლეობა — არაქჰანები ბირმელებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ენითა და ზნე-ჩვეულებებით.

1784 წელს ბირმელთაგან დაპყრობილი რაქჰაინის დამოუკიდებლობის აღდგენის მოსურნენი მათ შორისაც ბევრი იყო. აქედან გამომდინარე, როჰინჯიების ლიდერებმაც მჭიდრო კავშირი დაამყარეს ამ ხალხთან და ბირმულ ეროვნულ მოძრაობას ერთიანი ფრონტით დაუპირისპირდნენ.

„რაქჰაინის ფრონტის“ უკან ბრიტანული ძალებიც მოიაზრებოდა: ოფიციალური ლონდონი დაინტერესებული იყო არა იმით, რომ ბირმა შეენარჩუნებინა, არამედ იმით, რომ დამოუკიდებელი ბირმის სათავეში აუნ სანივით პროიაპონურად და ანტიბრიტანულად განწყობილი პირები არ მოსულიყვნენ.

1947 წელს დიდი ბრიტანეთის ჯარმა ბირმის ტერიტორიის ეტაპობრივი დატოვება დაიწყო. ერთი წლის შემდეგ აუნ სანმა ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ ბირმელთა გარდა, ეს სიხარულით არავის მიუღია, ჩრდილოეთში აჯანყდნენ პროჩინურად განწყობილი კაჩინები, რომელთაც მხარი დაუჭირა გომინდანის არმიამ (ჩინეთიდან).

დასავლეთში პრობლემები შექმნეს ბანგლადეშიდან ლტოლვილმა ბიჰარებმა და სანტალებმა (ორივე ინდური მოდგმის ხალხია), ხოლო ტაილანდისა და მალაიზიის საზღვრებზე, ჯუნგლებში კომუნისტი პარტიზანები გააქტიურდნენ.

მღელვარება დაიწყო არაქჰაინებსა და როჰინჯიებს შორისაც: „რაქჰაინის გაერთიანებულმა განმათავისუფლებელმა ფრონტმა“, რომელსაც ჯო თჰუან ვანი და ალი რაჰმან ბჰუჯი ხელმძღვანელობდნენ, ბირმის ახალჩამოყალიბებულ ხელისუფლებასს და არმიას წინააღმდეგობა გაუწია და რაქჰაინის შტატში (იმჟამად — ოლქში) ყველაფერს თავად დაეპატრონა.

1950 წელს რაქჰაინმა დამოუკიდებლობაც გამოაცხადა. კუნძულ ტაივანზე გაქცეულმა ჩან კაი-შიმ და მისმა მომხრეებმა, რომლებიც კვლავაც ჩინეთის რესპუბლიკის ხელისუფლებას წარმოადგენდნენ, დაუყოვნებლივ ცნეს ის. აუნ სანმა კი დამოუკიდებლობის აქტი ბათილად გამოაცხადა და რაქჰაინის ტერიტორიაზე ჯარები შეიყვანა. პირველი გასროლა 1950 წლის 4 მარტს მოხდა და კონფლიქტიც დაიწყო.

## მუსლიმანურ-ბუდისტური დაპირისპირება გრძელდება

ამჟამად რაქჰაინის შტატში აშკარა შეიარაღებული კონფლიქტი აღარ არის — ოცდაოთხწლიანი სისხლის ღვრის შემდეგ, 1974 წელს, ბირმის პრეზიდენტი უ ნე ვინი იძულებული გახდა, რაქჰაინის ოლქისთვის შტატის სტატუსი მიეცა და არაქჰანული ენა ბირმულთან ერთად სახელმწიფო ენად გამოეცხადებინა.

ამან მართლაც შეუწყო ხელი კონფლიქტის შეწყვეტას, მაგრამ უ ნე ვინს მხოლოდ არაქჰანები დაუზავდნენ და არა როჰინჯიები, მიუხედავად იმისა, რომ იარაღი ამ უკანასკნელებმაც დაყარეს.

საქმე ის იყო, რომ უ ნე ვინის ხელისუფლებამ მუსლიმანი როჰინჯიები რაქჰაინის მკვიდრ მოსახლეობად არ აღიარა. ამ შემთხვევაში მათ გაითვალისწინეს ისტორიული ვითარება და მუსლიმანებს, როგორც „ბირმისთვის უცხო ეთნოსს“, ბანგლადეშისაკენ მიუთითეს. სამაგიეროდ, უფლებები უფრო გაუზარდეს ბუდისტ არაქჰანებს. ამან, სხვათა შორის, ხსენებული ორი ხალხი, რომლებიც იქამდე ერთად იბრძოდა, გათიშა და მათ შორის უთანხმოება ჩამოაგდო. არადა, რაქჰაინის მოსახლეობის ნახევარს დღეს სწორედ მუსლიმანი როჰინჯიები წარმოადგენენ და მათი იგნორირება ძნელია.

2012 წლის ივნისში რაქჰაინის შტატში მუსლიმანებსა და ბუდისტებს შორის ისევ იფეთქა დაპირისპირებამ, ოღონდ შეიარაღებულ კონფლიქტში ის აღარ გადაზრდილა, — მიანმის არმიამ დროზე აღკვეთა უწესრიგობა და დააპატიმრა მუსლიმანი აქტივისტები. სხვათა შორის, ხელჩართულ ეთნოკონფესიურ შეტაკებებს მსხვერპლიც მოჰყვა, მაგრამ მიანმის ხელისუფლებამ ეს ამბავი არ გაახმაურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ, მეზობელ ბანგლადეშსა და ინდოეთში ბაზირებულმა ორგანიზაციამ — როჰინჯიას თვითგამორკვევის ისლამურმა ლიგამ მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ 2012 წლის 28 ივნისს რაქჰაინის შტატის დედაქალაქ სითუეს ცენტრალურ უბანში დაარბიეს მუსლიმანი როჰინჯიები, რომელსაც 37 კაცი ემსხვერპლა, ხოლო ერთი ამდენი კი დაიჭრა და დასახიჩრდა.

მიანმაში ამჟამად ბუდიზმი არაოფიციალურად სახელმწიფო რელიგიაა. აქედან გამომდინარე, სხვა რელიგიების წარმომადგენლები იქ მოკლებული არიან ისეთ უფლებებს, როგორიცაა სახელმწიფო სამსახურში მიღება, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში არჩევა და ა.შ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მუსლიმანები არიან: „რაქჰაინის მუსლიმანურ თემს სახელმწიფო დიდად ავიწროებს. მათ, რომლებიც თავს მიანმის მკვიდრებად თვლიან და აცხადებენ, რომ რაქჰაინის გარდა, სხვა სამშობლო არსად აქვთ, მთავრობა „მოსულ ეთნიკურ უმცირესობად" მიიჩნევს და უფლებები არც კი აქვთ... მუსლიმანებს ყველა ბანგლადეშისკენ მიუთითებს. მათ პირდაპირ ეუბნებიან, რომ სამშობლო მიანმაში კი არა, სწორედაც რომ ბანგლადეშში აქვთ", — წერს როჰინჯიას თვითგამორკვევის ისლამური ლიგის ჟურნალ „ფრი როჰინჯიაში" ჟურნალისტი აჰმად მუჯიბურ ხანი.

მეორე მხრივ, მიანმის მთავრობა ამტკიცებს, რომ როჰინჯიებს, როგორც წარსულში მოსულებს, მიანმის ტერიტორიაზე საკუთარი ავტონომიური ერთეულის შექმნის ნებაც კი არ უნდა ჰქონდეთ: „ბირმის ისტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე იწყება და როდესაც მუსლიმანები რაქჰაინში ჩამოსახლდნენ, ბირმელები უკვე ერი იყო, შესაბამისად, ბირმა — ჩამოყალიბებული სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, როჰინჯიებს არა აქვთ უფლება, ისტორიულ ბირმულ მიწაზე ავტონომია მოითხოვონ", — ასეთია მიანმის მთავრობის ოფიციალური პოზიცია, რომელიც ამ ქვეყნის მესვეურებმა ამა წლის ივნის-ივლისში გაეროშიც კი გააჟღერეს.

თვითგამორკვევის ისლამური ლიგა კი ამტკიცებს, რომ როდესაც როჰინჯიები X-XI საუკუნეებში ბენგალიიდან რაქჰაინში ჩასახლდნენ, ამ უკანასკნელ მხარეზე არ ვრცელდებოდა ბირმის სამეფოს იურისდიქცია და, შესაბამისად, მუსლიმანმა მეომრებმა შეთანხმება დადეს რაქჰაინის მეფესთან.

1784 წელს, როცა ბირმის სამეფომ რაქჰაინი დაიპყრო, მუსლიმანები დიდად პრივილეგირებულ სამხედრო ფენას წარმოადგენდნენ და ამიტომ დღეს მათ სრული უფლება აქვთ, მოითხოვონ ავტონომია მაინც, თუ დამოუკიდებლობა არ ეღირსებათ.

სხვათა შორის, ბუდისტ არაქჰანებსა და მუსლიმან როჰინჯიებს შორის ამჟამად არ არსებობს ისეთი ურთიერთგაგება, როგორიც თუნდაც გასული საუკუნის 50-იან წლებში იყო: მიანმის ხელისუფლების პროპაგანდამ არაქჰანებს შორის სეპარატიზმის ოდნავი გამოვლინებებიც კი ჩაახშო, — გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, მიანმას, ანუ ბირმას, მემარცხენე ძალები მართავდნენ, რომელთაც ორიენტაცია ჩინეთზე ჰქონდათ აღებული და ბუდიზმსაც ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა რელიგიას, „ხალხის გამოთაყვანების საშუალებად" მიიჩნევდნენ.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კი, როდესაც მთელ მსოფლიოში მემარცხენე ხელისუფლებებს წყალი შეუდგა, ბირმაშიც დადგა სოციალისტ-მაოისტთა აღსასრული და ძალაუფლება ბუდისტებმა ხელთ იგდეს. ქვეყანას სახელიც კი ბუდისტური ასტროლოგიის მიხედვით შეეცვალა და საბოლოოდ რაქჰაინშიც ჩაქრა სეპარატიზმის კერები, რადგანაც ბუდიზმი აღარ იდევნებოდა.

ამდენად, დღეს თავად არაქჰანებიც იმ აზრისანი არიან, რომ როჰინჯიებს, როგორც ოდინდელი დაქირავებული მებრძოლების შთამომავლებს, რაქჰაინის ტერიტორიაზე არა აქვთ არც ავტონომიური და არც დამოუკიდებელი ერთეულის შექმნის უფლება და ისინი ბანგლადეშმა უნდა შეიფაროს.

## ბანგლადეშელი ლტოლვილები მიანმაში

დღევანდელ მიანმაში დიდ პრობლემას ქმნის ასევე ბანგლადეშელ ლტოლვილთა საკითხი — ისინი თითქმის ყოველთვიურად, არალეგალურად კვეთენ მიანმის საზღვარს და არა მარტო რაქჰაინში, არამედ სხვა შტატებშიც გადადიან.

ბანგლადეში ის ქვეყანაა, სადაც მოსახლეობა უამრავია, ხოლო საცხოვრებლად ვარგისი მიწა კი ისე ცოტა, რომ არავის ჰყოფნის. ამიტომ ბანგლადეშიდან ყოველწლიურად ათიათასობით კაცი გარბის მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით ინდოეთში, მიანმასა და ტაილანდში, ასევე მალაიზიასა და სინგაპურშიც.

ბანგლადეშელები (ბენგალელები) მუსლიმანები არიან. ბუნებრივია, ეს ხალხი მიანმაში თანამორწმუნე როჰინჯიების მხარდამჭერია და ხელისუფლებასაც ეს აშფოთებს. მიანმას მესვეურებს მიაჩნიათ, რომ მათ ქვეყანაში ბანგლადეშელთა მომრავლება როჰინჯიებს გაათამამებს, წინააღმდეგობის სურვილსაც გააჩენს და ამას შეიარაღებული კონფლიქტიც მოჰყვება.

**მიხეილ ლაბაძე**




გამძვინვარებული რაქჰაინელი მუსლიმანები

არსენალი

# BELUGA




## AIRBUS (A300-600ST)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოგონილი მეომრები





**97** მეომარი არაგორნი ჯ. რ. რ. ტოლკინის ტრილოგია „ბეჭდების მბრძანებლის" ერთ-ერთი გმირია. არაგორნი, კეთილშობილი და მეფის ჩამომავალი, მკითხველმა 1954 წელს გაიცნო წიგნით „ბეჭდის ძმობა". სწორედ მას დაევალა მაგიური ბეჭდის განადგურება. ბეჭდის ძიების დროს ის არაერთ ბოროტ არსებას შეებრძოლა, — ორკებს, დობლინებსა და შემზარავ ნაზგულს.

▼ არაგორნი — ასეთია ის ტრილოგიის მესამე წიგნის ეკრანიზაციაში „ბეჭდის დაბრუნება" (ნიუ-ლაინ სინემა, 2003)



**98** ლინკი გამოგონილი მეომარია ვიდეოთამაშიდან „ზელდას ლეგენდა". თამაში შიგერუ მიამოტომ შექმნა 1986 წელს. მამაცი მეომარი ლინკი ჯადოსნური ხმლით, ყუმბარებითა და მშვილდისრით იბრძვის.



▼ ვარსკვლავური ომების ეპიზოდი IV — „ახალი იმედი" (ლუკასფილმი, 1977). ჯედაი მასტერი ობი-ვან კენობი (მარცხნივ) და დართ ვეიდერი დუელში სინათლის ხმლებით იბრძვიან.

**99** ჯედები, მეომარი რანდები, „ვარსკვლავური ომების" ფილმების გმირები, მშვიდობისმყოფელი რაინდები არიან. ბოროტების დასამარცხებლად ისინი კეთილ ძალას იყენებენ. ჯედები სინათლის ხმლებით იბრძვიან — ეს არის სხვადასხვაფრად მანათობელი ენერგეტიკული ხმალი. ჯედები რანგებად იყოფიან. უმცროსია ჯედი იანგლინგი, ხოლო უფროსი — ჯედების მაგისტრი.

**100** ვულვერინი კომიქსების სუპერგმირია. ის პირველად 1974 წელს გამოჩნდა. ვულვერინის ჩონჩხი გაძლიერებულია ადამანტიუმით — უძლიერესი მეტალით. ადამანტიუმს შეიცავს მისი კლანჭებიც, რომლებითაც ლითონსა და ქვას ჭრის. ვულვერინი გამოცდილი მებრძოლია, მას სხეულს გასაოცარი სისწრაფით აღდგენა შეუძლია.

▶ ვულვერინი იმ გმირთა ჯგუფის წევრია, რომელთაც X-ადამიანები ჰქვიათ. ბოროტებასთან საბრძოლველად და ხალხის დასაცავად ისინი თავიანთ სუპერფიზიკურ და გონებრივ ძალას იყენებენ.



# იაპონელი მეომრები



**101** ასობით წლის განმავლობაში იაპონიაში იყვნენ მეომრები, რომლებიც სამურაის სახელით იყვნენ ცნობილი. მათი სახელი ნიშნავს „პირს, რომელიც მსახურობს“. სამურაები სარდალს (სამხედრო ლიდერს) ემორჩილებოდნენ. ბრძოლები ერთმანეთთან დაპირისპირებულ სარდლებს შორის იმართებოდა. სამურაების ქცევის კოდექსს ბუსიდო ეწოდებოდა. კოდექსით განსაზღვრული იყო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ არა მარტო ბრძოლაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. უმამაცესი და მძვინვარე სამურაები იაპონელი საზოგადოების პატივცემული წევრები იყვნენ.

▼ (სამურაი) სამურაების არმიები [illegible] მანძილზე ქვეითად და ცხენ[illegible]ნენ. სურათი ასახავს კავანაკაჯიმას ბრძოლას 1561 წელს, რომელიც გაიმართა იაპონიის კუნძულ ჰონსიუს ჩრდილოეთ ნაწილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კატარღები 1992–93 წლების აფხაზეთის ომში



ტამიშის დესანტის მონაწილე თვითმავალ საზღვაო ბარჟა „გუმას“ ამჟამად ოჩამჩირის სლიპზე აფხაზები ჯართად ჭრიან

**დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N20-22, 2012**

## მფრინავის გადარჩენა

საზღვაო სამძებრო-სამაშველო ოპერაციები და ადამიანების გადარჩენა სანაპირო დაცვის დივიზიონისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო და ამ სახის პირველ დავალებას ქართველმა მეზღვაურებმა წარმატებით გაართვეს თავი.

1993 წლის 4 ივლისს გუმისთის სანაპიროსთან საბრძოლო დავალების შესრულებისას, დაახლოებით 15-40 სთ-ზე, აფხაზებმა მოიერიშე Су-25 ჩამოაგდეს. მფრინავმა კატაპულტირება მოასწრო და სოხუმის კონცხის სამხრეთით ზღვაში ჩაეშვა.

**დივიზიონის შტაბის უფროსი, უფრ. ლეიტენანტი დავით გარგანჯია:** „ბრძანებას არ დაველოდეთ და ზღვაში დაუყოვნებლივ გავიდა 4 კატარღა და სამხედრო პოლიციის „ადმირალის“ კლასის „კოლხეთი“. ბოლოს „აისტი“ №014 მე გავიყვანე, რადგან მისი მეთაური მალხაზ ოჩიგავა იმ დროს ადგილზე არ იმყოფებოდა.

ძებნის რაიონი სექტორებად დავყავით, თითოეული კატარღა თავის სექტორს იკვლევდა და თან ვფრთხილობდით, რადგან თვითმფრინავის კუთვნილება არ ვიცოდით.

ჩვენ უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ სექტორს ვამოწმებდით, როცა თბილისელმა მეზღვაურმა ვალერი ნოვიკოვმა წყალში მოცურავე მფრინავი შენიშნა.

გარეგნულად მფრინავი რუს ჰგავდა, ამიტომ ყოველი შემთხვევისთვის ავტომატი მოვამზადეთ და ვიღაცამ რუსულად დაუძახა, — „კტო ტი ტაკოი“! მან კი ქართულად გვიპასუხა, — „ქართველი ვარ, ბიჭო, ქართველი“!

მფრინავი კატარღის ბორტზე ამოვიყვანეთ და ამასობაში აფხაზურმა არტილერიამ ცეცხლი გაგვიხსნა, ამიტომ სოხუმს გავერიდეთ და კელასურისკენ წამოვედით.

ჰაერიდან ძებნის ოპერაციაში სამაშველო შვეულმფრენი მონაწილეობდა, მის ეკიპაჟს ვანიშნეთ, რომ მფრინავი ცოცხალი იყო და კელასურისკენ მივემართებოდით.

გზაში წამოგვეწია „სტრიჟი“ №03, რომლის ბორტზეც საკომენდანტო ოცეულიდან უფროსი ლეიტენანტი სერგო სილაგაძე და უშიშროების წარმომადგენელი იმყოფებოდნენ.

ჩვენ მათ ავუხსენით, რომ მფრინავი ქართველი იყო, ამიტომ მისი დაკითხვის საჭიროებაც აღარ დადგა.

სადგურ კელასურის მახლობლად შვეულმფრენი დაჯდა და გადარჩენილი მფრინავი კახა თვაური ეკიპაჟს გადავეცით.

დივიზიონის კატარღებს 21 სექტემბერს აფხაზების ჩამოგდებული Ту-134-ის მგზავრთა ძებნამ მოუწია, მაგრამ სოხუმი-სოჭის რეისის თვითმფრინავში მყოფი ყველა მგზავრი სამწუხაროდ დაიღუპა“.

## „გრიფები“ ქართული ფლოტისთვის

1993 წლის გაზაფხულზე ბათუმის გემთსაშენ ქარხანასთან საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებმა „გრიფების“ გადმოცემის თაობაზე ხელშეკრულება გააფორმეს. გრაფიკის მიხედვით საზღვაო ძალები ქარხნისგან შეიარაღების გარეშე ერთ კატარღას 1993 წლის მაისამდე და მეორეს კი დეკემბრისთვის მიიღებდა.

პირველი „გრიფის“ პრაქტიკულად დასრულებული კორპუსი სავალ გამოცდას გადიოდა, ხოლო მეორე კი ჯერ ისევ მშენებლობის სტადიაში იყო.

1993 წლის აგვისტოში პირველი „გრიფი“ გადმოსაცემად მზად იყო, მაგრამ მაშინ მოულოდნელად გაჩნდა ფინანსური და სხვა სახის სირთულეები. ახლა მიზეზთა დადგენა ძნელია და ფაქტია, რომ დასრულებული კატარღა საზღვაო ძალების ნაცვლად 1993 წლის ნოემბერში აჭარის უშიშროების კომიტეტის განკარგულებაში აღმოჩნდა.

ალბათ, აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ ასე ჩათვალა საჭიროდ და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისთვის ბრძოლაში მყოფი სამხედრო მეზღვაურები „გრიფის“ გარეშე დარჩნენ.

## დროებითი დაზავება

სოჭის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების ხელმოწერით აფხაზეთში შესული ქართული შენაერთების გამოყვანისა და ადგილობრივი ფორმირებების დაშლა-განიარაღების პროცესი დაიწყო.

იმის გამო, რომ ლოთი ქობალიას რაზმები სამეგრელოში საქართველო-აფხაზეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის მონაკვეთს აკონ-

ტროლებდნენ, სოხუმიდან ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორების, საარტილერიო სისტემებისა თუ სხვა ტექნიკის გამოსატანად შავი ზღვის ფლოტის დიდი სადესანტო ხომალდის გამოყენება გახდა საჭირო.

1993 წლის 26 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე რუსულმა სადესანტო ხომალდმა БДК-69-მ ფოთში 3 რეისით სამხედრო ტექნიკის დაახლოებით 200 ერთეული გაიტანა, რისთვისაც რუსმა მეზღვაურებმა 40 ათასი დოლარი აიღეს.

განიარაღება სანაპირო დაცვის დივიზიონსაც შეეხო. „ვოლგებიდან" და „სტრიჟებიდან" ტყვიამფრქვევები და უმართავი რაკეტების გამშვები დანადგარები მოიხსნა, ხოლო „აისტები" ფოთში გადავიდნენ.

შეიარაღება შეუნარჩუნდა მხოლოდ „განთიადს", რომელიც ჩამოსაყალიბებელი სასაზღვრო დივიზიონისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა „განთიადი" მსხვილკალიბრიანი ორი КПВТ-ს გარეშე მაინც დარჩა.

27 ივლისის შეთანხმებით მიღწეული განიარაღების პროცესს შერეული საკონტროლო კომისია ამოწმებდა და მასში აფხაზთა მხრიდან მონაწილეობდნენ სოხუმელი მეზღვაურები, რომლებიც სანაპირო ზოლს შესანიშნავად იცნობდნენ და არც ერთ საეჭვო ადგილს უყურადღებოდ არ ტოვებდნენ.

დივიზიონის დაშლა-განიარაღების თაობაზე ისინი ინფორმირებული იყვნენ და საზღვაო მოქმედებები მოწინაალმდეგემ ამის გათვალისწინებით დაგეგმა.

## ვერაგობა

1993 წლის 17 სექტემბერს განიარაღებული სოხუმი, სადაც მოსახლეობა მშვიდობიან ცხოვრებას უბრუნდებოდა, მოულოდნელად ხმელეთიდან, ჰაერიდან და ზღვიდან შეტევის სამიზნედ იქცა.

არტილერიის დაცვის გარეშე დარჩენილ სანაპირო ზოლს აფხაზური „გრიფები" დაეპატრონნენ, ხოლო სანაპირო დაცვის დივიზიონის „განთიადსა" და სამ „სტრიჟს" (ბენზინის დეფიციტის გამო „ვოლგები" ზღვაში ვერ გადიოდნენ) ამის აღკვეთის ძალა აღარ შესწევდა. უყურადღებოდ დარჩა „აისტების" ფოთიდან სოხუმში დაბრუნების მოთხოვნაც.

„გრიფებთან" ბრძოლა მხოლოდ „განთიადს" თუ შესწევდა, მაგრამ სიჩქარესა და მანევრულობაში აგებდა, თანაც, სოხუმი-ოჩამჩირის მონაკვეთის დაცვისთვის ერთი „განთიადი" საკმარისი არ იყო.

დივიზიონის სხვა მცურავი საშუალებებიდან „კოდორზე" 23 მმ-იანი საზენიტო ავტომატი გუდაუთის დაბომბვის შემდეგ მოიხსნა, ხოლო „ილორზე" შეიარაღების დაყენების საკითხი კი რატომღაც შეჩერდა.

ამ დროს ფოთსა და სოხუმში ორ ათეულზე მეტი სეინერი იდგა, რამდენიმე მათგანის „განთიადის" მაგვარი შეიარაღებით აღჭურვას ხელს არაფერი უშლიდა და „გრიფების" პარპაშის აღკვეთაც მოხერხდებოდა.

აფხაზური კატარღები კი გადავიდნენ ბაბუშერის აეროპორტის დაბომბვაზე, ქართული თვითმფრინავების ჩამოგდებასა და გემების დაკავებაზე, მცირერიცხოვანი ჯგუფების დესანტირებასა და დემონსტრაციული ხასიათის მოქმედებებზე.

ბაბუშერის აეროპორტი სოხუმის დამცველთა მომარაგებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძის მოვალეობას ასრულებდა. მას ისეთი მდებარეობა აქვს, რომ თვითმფრინავების ასაფრენ-დასაჯდომი გლისადა ზღვის თავზე მიმდინარეობს. აქ აფხაზური კატარღები პატრულირებდნენ და ნებისმიერი აფრენა-დაჯდომა მათთვის შესანიშნავი სამიზნე იყო.

აეროპორტის ასაფრენ-დასაჯდომ ზოლს კი „გრიფები" 140 მმ-იანი (დანადგარი БМ-14-17) და 80 მმ-იანი (კონტეინერი Б8-В20А) უმართავი რაკეტებით ბომბავდნენ.

კატარღებიდან თვითმფრინავებთან ბრძოლის გზა ჯერ კიდევ 27 ივლისის შეთანხმებამდე მოისინჯა. 21 ივლისს აფხაზებმა სანაპიროდან 2 მილში „გრიფიდან" გასროლილი „სტრელა-





სოხუმის სატვირთო პორტი და „გრიფი", რომელზეც 140 მმ-იანი რეაქტიული ჭურვების გამშვები დანადგარი БМ-14-17-ია დაყენებული

2“-ით ბაბუშერიდან აფრენილი სამგზავრო Ту-154-ის ძრავა დააზიანეს.

თვითმფრინავის ბორტზე დაჭრილები და მშვიდობიანი მოსახლეობა იყვნენ და დაზიანების მიუხედავად, ეკიპაჟმა აეროპორტში დაჯდომა მაინც მოახერხა.

მოწინააღმდეგის კატარღების აქტიურობამ პიკს 21-23 სექტემბერს მიაღწია, როცა სოხუმი-ოჩამჩირის სანაპირო ზოლში ერთდროულად 6 კატარღა დაცურავდა.

21 სექტემბერს 16-25 სთ-ზე კატარღიდან გასროლილი „სტრელა-2“-ით აფხაზებმა სოჭი-სოხუმის რეისის სამგზავრო Ту-134 ჩამოაგდეს. თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა და 28 კაცი იმსხვერპლა.

22 სექტემბერს 00-20 სთ-ზე აეროპორტი ზღვიდან რეაქტიული ჭურვებით დაიბომბა.

22 სექტემბერს 9-05 სთ-ზე ბაბუშერის მიმართულებით ზღვის მხრიდან რეაქტიული ჭურვებით ცეცხლი ისევ გაიხსნა.

22 სექტემბერს 18-30 სთ-ზე „სტრელა-2“-ით თბილისიდან გამოფრენილი სამგზავრო Ту-154 დაზიანდა. ეკიპაჟმა თვითმფრინავის დაჯდომა მაინც მოახერხა, მაგრამ ხანძარში 93 კაცი დაიღუპა.

22 სექტემბერს 22-45 სთ-ზე მოწინააღმდეგემ ნაპირის მიმართულებით ჯერ ცეცხლი გახსნა და შემდეგ დესანტის გადასხმის იმიტირება მოახდინა.

23 სექტემბერს ზღვიდან გახსნილ საარტილერიო ცეცხლში მოხვდა და დაზიანდა Ту-134, როცა მასში მგზავრების ჩასხდომა მიმდინარეობდა. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ზღვაზე მოპოვებული ინიციატივით სეპარატისტებმა მოახერხეს ბაბუშერის აეროპორტის იზოლირება და სოხუმთან დამაკავშირებელი საჰაერო გზა ჩაიკეტა.

## კონვოი ფოთიდან

აფხაზები ასევე შეეცადნენ ფოთთან დამაკავშირებელი საზღვაო გზის ჩაკეტვას, მაგრამ ამ გეგმის შესრულება ვერ შეძლეს.

**მცურავი ამწე „ჩერნომორეც-9“-ის კაპიტანი ჯონი კუბლაშვილი:** „ჩვენ ბათუმიდან სოხუმში გადასვლის ბრძანება მივიღეთ. მდგომარეობა იმდენად მძიმე და საშიში იყო, რომ ეკიპაჟთან მოლაპარაკებას საჭიროებდა. საუბარი შედგა და ეკიპაჟის თითოეულმა წევრმა მოსალოდნელი საფრთხის მიუხედავად, დავალების შესრულებისთვის მზადყოფნა გამოთქვა. მივიღეთ 30 ტონა საწვავი და ფოთისაკენ გავცურეთ“.

ამასობაში ფოთის პორტში ლიხტერებზე სოხუმში გასაგზავნი საბრძოლო ტექნიკის დატვირთვა მიმდინარეობდა.

ერთ-ერთ ლიხტერზე ხუთი 122 მმ-იანი ჰაუბიცა Д-30, 6 მსუბუქი გამწე МТЛБ, ორი „გრადის“ დანადგარი БМ-21, ერთი 100 მმ-იანი ქვემეხი КС-19, ერთი 57 მმ-იანი საზენიტო ავტომატი С-60, 3 რადიოსადგური Р-142 და ჭურვები დაიტვირთა და ბუქსირმა „კაპიტანმა რეკვავამ“ პორტიდან გამოიყვანა.

სამხედრო ტექნიკის თანმხლები 82 სამხედრო მოსამსახურე სასეირნო თბომავალ „კაპიტან ფაჩულიას“ ბორტზე იყო. 20 სექტემბერს 1-30 სთ-ზე ფოთიდან მცურავი ამწე „ჩერნომორეც-9“, ბუქსირი „კაპიტანი რეკვავა“ ლიხტერით და თბომავალი „კაპიტანი ფაჩულია“ გამოვიდნენ, მაგრამ ღელვის გამო გზის გაგრძელება ველარ შეძლეს.

**ჯონი კუბლაშვილი:** „20 სექტემბერს ცუდი ამინდი დაგვიდგა, ტალღები ლიხტერს აქანავებდა, ხოლო მასზე დაწყობილი ჰაუბიცები დამაგრებული არ იყო და ზღვაში გადავარდნის საფრთხე ემუქრებოდა, ამიტომ ყულევთან მისული ისევ უკან, ფოთისკენ გავბრუნდით.

24 სექტემბერს, როგორც იქნა, სოხუმისკენ გავცურეთ. ოჩამჩირის ტრავერსზე რუსულმა Су-25-ებმა გადაგვიფრინეს და ბომბები დაგვაყარეს. აფეთქებები ამწიდან დაახლოებით 100 მეტრში მოხდა. საბედნიეროდ, გადავრჩით.

ნაპირის ახლოს მივცურავდით და მიმდინარე ბრძოლების სიმძაფრეს ვხედავდი. უკან მობრუნება არ შეიძლებოდა, არადა, ჩანდა, რომ მოწინააღმდეგე ინიციატივას ფლობდა. სოხუმში გადმოტვირთვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

24 სექტემბრის ღამით ბაბუშერის მახლობლად მთელი შეიარაღება ნაპირზე გადავიტანეთ“.

ლიხტერებიდან განტვირთვის უსაფრთხოებას „განთიადი“ უზრუნველყოფდა. იმ დღეებში ფოთიდან შემოტანილი სამხედრო ტექნიკის დიდი ნაწილი მოწინააღმდეგეს დარჩა.

**თემურ ჩაჩანიძე**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სოხუმთან მდებარე ბაბუშერას აეროპორტი



ეროვნული ბიბლიოთეკა







# ჩეხეთის პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი

**დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N22, 2012**

## შერჩევა და წვრთნები

URNA-ს ჯგუფის კანდიდატებით დაკომპლექტება რთული და ხანგრძლივი პროცესია. სწავლებისა და წვრთნების სისტემა ისეა შედგენილი, რომ კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს ის მაღალი მოთხოვნები, რომლებიც ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისას რთული ამოცანების გადაჭრაში დასჭირდებათ.

პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ვაკანტურ ადგილებზე პრეტენზიას აცხადებენ, ვალდებული არიან, გაიარონ შერჩევისა და მომზადების რთული პროცესი. ისინი უნდა იყვნენ ჯანმრთელი, ფიზიკურად საუკეთესოდ მომზადებული, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული, ჰქონდეთ მტკიცე ხასიათი და რთულ სიტუაციებში ინფორმაციის სწორად გაანალიზების უნარი.

ჯგუფში იღებენ პოლიციაში სამსახურის არანაკლებ სამი წლის გამოცდილების მქონე მხოლოდ 23-30 წლის მოხალისეებს. კანდიდატი აუცილებლად კარგად უნდა დაცურავდეს და ჰქონდეს ავტომობილის მართვის B კატეგორიის მართვის მოწმობა.

კანდიდატები, რომლებიც ძირითად მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, შემდგომში ჯგუფს ქმნიან და მომდევნო სამი ეტაპის გადასალახავად ემზადებიან. თუნდაც ერთი ეტაპის დაუძლევლობა სასწავლო კურსიდან გარიცხვას ნიშნავს.

პირველ ეტაპზე კანდიდატის შემოწმების საფუძველზე კეთდება დასკვნა, შეუძლია თუ არა ძლიერ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვებს გაუძლოს.

მეორე ეტაპი 6-8 სთ-იან ტესტს მოიცავს, სადაც ვლინდება კანდიდატის ფსიქოლოგიური პროფილი, სტრესის გადალახვისა და რთულ სიტუაციებში ადაპტაციის უნარი, გუნდში მოქმედების და მუშაობის შესაძლებლობები, დავალების შესრულებისას ინტელექტი და ხასიათის მოქნილობა.

ვინც ამ ორ ტესტს გადალახავს, მომდევნო მესამე ეტაპზე გადადის, სადაც ფიზიკური მომზადების ნორმატივების ჩაბარება შედის. კანდიდატმა უნდა გაირბინოს 60 მეტრი, გადალახოს 500 მეტრი სიგრძის წინაღობების ზოლი, ერთ წუთში აკეთოს მიწიდან აზიდვები, ორ წუთში შეასრულოს აზიდვების მაქსიმალური რაოდენობა, გაცუროს 400 მეტრი, აცოცდეს 4,5-მეტრიან ბაგირზე და ა.შ.

შემდეგ კანდიდატებს უტარებენ გამძლეობის ტესტებს, სადაც მძიმე სიტუაციებში, დაღლილობისას, ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოფიტვის მდგომარეობაში მათ ქმედებებს აკვირდებიან. ამით მოწმდება მუდმივი სტრესის ქვეშ დიდხანს ყოფნის დროსა და კრიტიკულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების შერჩევის უნარი.

კიდევ ერთი გამოცდის დროს კანდიდატები მძიმე აღჭურვილობით ასრულებენ მარშს, სადაც მათ ძილისა თუ დასვენების დრო პრაქტიკულად არა აქვთ, რაც სტრესისთვის დამატებითი ფაქტორია. ამის შემდეგ გამომცდელები სწრაფად არჩევენ იმ კანდიდატებს, რომლებიც URNA-ში სამსახურის ღირსი არიან.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტესტირება და ფიზიკური დატვირთვა ექიმების მეთვალყურეობით მიმდინარეობს. გამოცდის ციკლი კი მთავრდება კან-

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრაღის მეტროში სპეცქვედანაყოფის მებრძოლები დამნაშავეთა დაკავების ტექნიკას ამუშავებენ

დიდატების ჯგუფის გამოცდილ წევრებთან პირადი გასაუბრებით, რომლის დროსაც ნათელი ხდება კანდიდატის მოტივაციის დონისა და მისი ჯგუფში ჩარიცხვის მისწრაფების მიზეზები.

კანდიდატის ჯგუფში ჩარიცხვას მეთაური წყვეტს და მისთვის მნიშვნელოვანია მასთან გასაუბრება, რომლის საფუძველზეც იკვეთება ქვედანაყოფში კანდიდატის შერწყმის სურათი. თუ კანდიდატი დასძლევს მეთაურთან ინტერვიუს, მას ელის რამდენიმეთვიანი ინტენსიური მძიმე სავარჯიშო ეტაპი, სადაც სტაჟიორი ამუშავებს სამოქმედო ტაქტიკას, მძევლების შენობებიდან, თვითმფრინავიდან, მატარებლიდან, ავტობუსიდან გათავისუფლების ხერხებს, სწავლობს სროლის სხვადასხვა მეთოდს, მეკლდეურობას, შვეულმფრენიდან დესანტირებასა და ხელჩართული ბრძოლის ტექნიკას.

ქვედანაყოფს აქვს საკუთარი პოლიგონი, სადაც მუშავდება მძევლების გათავისუფლების სხვადასხვა მეთოდი და ტაქტიკა. ეს პოლიგონი მდებარეობს პრაღიდან 75-ე კმ-ზე, ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე.

სწავლების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სპეციალისტების მომზადებას. ახალწვეულები აქ გადიან საპარაშუტო მომზადებას, ტიპოგრაფიისა და სამედიცინო მომზადების კურსებს. სწავლობენ ავტომობილის საგანგებო მართვას, ეუფლებიან სნაიპერისა და მყვინთავის პროფესიებს, მათ ხელთ არსებული საგანგებო აღჭურვილობის გამოყენებას. გადიან ფსიქოლოგიის და სამართლის კურსებს.

დაწყებითი მომზადების შემდეგ ახალბედებს ოპერატიულ ჯგუფებში ანაწილებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე რეალურად მონაწილეობენ საგანგებო ოპერაციებში, თუმცა თავიდან, როგორც დამკვირვებლები ან უფრო გამოცდილი კოლეგების დამხმარეები.

## შეიარაღება-აღჭურვილობა

URNA-ს არსენალში შედის როგორც უცხოური, ისე სამამულო წარმოების იარაღი და საგანგებო აღჭურვილობა.

ისევე როგორც სხვა ანალოგიურ ქვედანაყოფებში, ავტომატური იარაღის ერთ-ერთი ძირითადი ნიმუშია გერმანული Heckler & Koch-ის ავტომატი MP-5. ჯგუფი სპეცოპერაციებში ასევე იყენებს ამავე ფირმის ავტომატის კიდევ ერთ მოდელ A5-ს დასაკეცი კონდახით.

ამ ავტომატზე ლულის ქვევით შვეიცარიული ფირმა Brugger & Thomet-ის სპეციალური მოდული და ლულის ზევით კი ჩეხური წარმოების მსგავსი სამარჯვია დამაგრებული. ორივე გამოიყენება სხვადასხვა დამატებითი მოწყობილობის — ფარნის, ლაზერული შემნათებლის, კომპაქტური ტელესკოპური და ღამის ხედვის დამმიზნებლების დასაყენებლად. მოდელი A5-თან ერთად URNA იყენებს იმავე იარაღის ინტეგრირებულ ვერსიას SD-6-ის მაყუჩით.

არსებობს ავტომატ MP-5-ის კიდევ ერთი ვერსია — KA4-DW (დაცვის პირადი იარაღი), რომლითაც VIP-პერსონათა უსაფრთხოებისას სარგებლობენ.

მოკლელულიანი პირადი იარაღის სახით URNA-ს მებრძოლები პოპულარული ავსტრიული პისტოლეტებით Glock 17-ით არიან აღჭურვილი და მასში ავტომატ H&K MP-5-ის ანალოგიური ვაზნები გამოიყენება.

გარდა ამ მოდელისა, ქვედანაყოფის არსენალშია ამავე ფირმის პისტოლეტის უფრო მძიმე ვერსია Glock 19 და ნახევრად ავტომატური პისტოლეტები — გერმანული Walther P99 და ჩეხური Zbrojovka CZ-75 D, CZ-75, CZ-85.

URNA-ს არსენალში ასევე შეიძლება მოიძებნოს 7,65 მმ-იანი ავტომატი VZ61 Scorpion-ი. ჩეხური წარმოების ეს კომპაქტური იარაღი გამოირჩევა სროლის სიშორითა და სწრაფსროლით (850 გასროლა/წუთში) და მასზე მაყუჩის მიმაგრებაც შეიძლება.

ქვედანაყოფის მებრძოლთა განკარგულებაშია სხვა ქვეყნებში დამზადებული ავტომატური იარაღიც. მათ შორისაა ისრაელის 9 მმ-იანი IMI Mini UZI და ბელგიური Fabrique Nationale Herstal-ის რევოლუციური კალიბრის მქონე 5,7 მმ-იანი P-90, რომლის მჭიდშიც SS190 ტიპის 50 ვაზნა ეტევა და ჯავშანჟილეტის გატანა შეუძლია.

სპეცრაზმელები კარის შესამტვრევად, შენობაში შესაღწევად ან ავტომობილების შესაჩერებლად იყენებენ იტა-

ლიური Franchi-სა და Benelli-ის ფირმის 12 მმ-იან გლუვლულიან თოფებს.

URNA-ს მებრძოლები არც ჩვეულებრივ „კალაშნიკოვს“ ივიწყებენ, რომლითაც ერაყში სპეცოპერაციებისას ან საშიშ დამნაშავეთა დაკავების დროს არიან შეიარაღებული. ისრაელის კომპანია TDI-ის აქსესუარების გამოყენებით კი „კალაშნიკოვის“ ავტომატი სხვადასხვა ვარიანტად მოდიფიცირდება.

ჯგუფი დაკომპლექტებულია აგრეთვე H&K-ის 5,56 მმ-იანი G36-ის ტიპის საიერიშო შაშხანებით, რომელზეც შეიძლება 100-ვაზნიანი მჭიდის დამაგრება. ამავე იარაღის კომპაქტური ვარიანტია G36K. ეს უკანასკნელი კი აღჭურვილია ოპტიკური დამმიზნებლითა და ლაზერული მიზანმიმმართველით. უნივერსალური სამაგრი მოდული Picatinny-ის ხარჯზე კი G36K ადვილად მოდიფიცირდება.

ჯგუფების შემადგენლობაში შემავალი მაღალი კვალიფიკაციის 10 სნაიპერი უცხოური და სამამულო წარმოების სხვადასხვა სნაიპერული შაშხანით არის აღჭურვილი. მათ შორისაა:

ბულპაპის სქემით დამზადებული ჩეხური მოდელი CZ Mauser 98, რომელსაც ექვსმაგი ოპტიკა აქვს;

რუსული 7,62 მმ-იანი შაშხანა Драгунов СВД არცთუ ზუსტი იარაღია, მაგრამ მისი კომპენსირება ეფექტურობისა და საიმედოობის ხარჯზე ხდება. ამ იარაღით აღჭურვილი სპეცრაზმელები ბაღდადსა და ქაბულში ჩეხი დიპლომატების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ;

600 მ-მდე მანძილზე სასროლად სნაიპერები შვეიცარიულ 7,62 მმ-იან Sig Sauer SSG 3000-ს იყენებენ. ეს იარაღი დაახლოებით 5 კგ-ს იწონის და ერგონომიკული კონდახი აქვს. მასზე დაყენებულია დღის Leupold Vari-XIIII-ის და ღამის ნორვეგიული Simrad Optronics KN252 F-ის დამმიზნებლები;

ჯგუფის არსენალში საუკეთესო სნაიპერულ იარაღად ფინური 7,62 მმ-იანი SAKO TRG 22 ითვლება და მისი გამოყენება გათვალისწინებულია 1500 მ მანძილზე სასროლად. მასზე მაგრდება ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა Scmidt&Bender PMII (Police Marksman) ხუთმაგი ოპტიკით;

სპეცდანიშნულების რაზმ URNA-ს არსენალშია 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნი Granatpistole HK 69, რომელიც სხვადასხვა ტიპის, მათ შორის არალეტალურ ყუმბარებსაც ისვრის.

ღამით და ცუდი ხედვის პირობებში ოპერაციების ჩატარებისას სპეცრაზმელები ნორვეგიული წარმოების მაღალი ხარისხის ოპტიკური სისტემებით სარგებლობენ.

რაზმის მებრძოლებს აცვიათ თანამედროვე ციფრული, კამუფლირებული კომბინეზონები, ხოლო ოპერაციებისას და შეტევითი მოქმედებისას სამამულო წარმოების Nomex/Goretex-ის ქსოვილისგან შეკერილი შავი კამუფლიაჟით იმოსებიან.

ჩეხეთის კანონმდებლობით პოლიციელებს სამხედრო უნიფორმის ჩაცმა ეკრძალებათ. შეღწევით ოპერაციებსა და იერიშებში სპეცრაზმელები ატარებენ Petris P2023 სერიის ჯავშან — და სამამულო წარმოების MOLLE-ს ტიპის განმტვირთავ ჟილეტებს. დანარჩენ ეკიპირებაში შედის P3001 მოდელის თავსაბურავი, Pro-Tech-ის მუზარადი, Magnum-ის Hi-Tec Midnite-სა და Puma-ს მოკლეყელიანი ჩექმა, ESS-ის დამცავი სათვალე, HATCH Centurion-ის სამუხლეები და საიდაყვეები, HATCH Opertor-ის დამცავი ხელთათმანები, MAR-95 NBC-ის დამცავი ნიღბები და Bristol-ის ტიპის ბრიტანული ბალისტიკური ფარები.





# ჯონ კემპბელი – არგაილის ჰერცოგი

## 1678-1743

ჯონ კემპბელმა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში ისახელა თავი და 1715 წელს, იაკობინელთა აჯანყებისას, ბრიტანელთა ჯარს უსარდლა.

დაიბადა 1678 წლის 10 ოქტომბერს პიტერშემში, სურეის საგრაფოში. ის არგაილის პირველი ჰერცოგის ვაჟი იყო. 1694 წელს მამამისმა ჯონი მეფე უილიამ III ორანელის კარზე წარადგინა. მეფემ მას ქვეითი პოლკის სარდლობა უბოძა. 1702 წელს ჰერცოგ მალბოროს პირველი ლაშქრობისას ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში ჯონ კემპბელმა თავისი სამხედრო უნარი დიუსელდორფთან ახლოს კაიზერსვერთის ალყისას გამოავლინა.

### ქრონოლოგია

1678 — დაიბადა 10 ოქტომბერს პიტერშემში, სურეის საგრაფოში.

1694 — ქვეითი პოლკის სარდალი გახდა.

1702 — თავი ისახელა კაიზერსვერთის ალყისას.

1703 — მამის სიკვდილის შემდეგ არგაილის ჰერცოგი გახდა.

1705 — შოტლანდიის პარლამენტში ინგლისთან გაერთიანების იდეას შეუწყო ხელი.

1706 — ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში მეორე ლაშქრობისას ჰერცოგ მალბოროს შეუერთდა.

1708 — წარმატებული ბრძოლა აუდენარდთან.

1709 — მალპლაკის ბრძოლაში თავი ისახელა.

1711 — ესპანეთში ბრიტანელთა ჯარს მთავარსარდლობდა.

1715 — იაკობინელთა აჯანყებისას სამთავრობო ჯარებს მეთაურობდა.

1740 — გადააყენეს.

1743 — გარდაიცვალა 4 ოქტომბერს, პიტერშემში.

### პოლიტიკური გავლენა

მომდევნო წელს ჯონ კემპბელმა მამის ადგილი დაიკავა და არგაილის პირველი ჰერცოგი გახდა, გარდა ამისა, ჯონი საიდუმლო კანცლერადაც დაინიშნა. 1705 წელს დასახელდა შოტლანდიის პარლამენტის უმაღლეს ლორდ-კომისრად. ცნობილია პარლამენტში წარმოთქმული მისი სიტყვა პროტესტანტულ მემკვიდრეობასა და ინგლისთან შეერთების მიზანშეწონილობაზე.

*არ შემიძლია ვინმეზე უფრო უარესი აზრისა ვიყო, ვიდრე არგაილის ჰერცოგზე.*

*ჯონ ჩერჩილი,*
*მალბოროს ჰერცოგი*

ამ სიტყვამ ჯონს პერობა მოუტანა და გრინვიჩის გრაფი და ჩათემის ბარონი გახდა.

1706 წელს იგი ჰერცოგ მალბოროს ბრიგადის გენერალი გახდა და რამილიესთან ბრძოლაში სამხედრო ნიჭი

1709 წლის 11 სექტემბერს სოფელ მალპლაკთან ფრანგებთან ბრძოლაში ჯონ კემპბელმა თავი გამოიჩინა



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოავლინა, მტრის დანებებამდე იბრძოლა, მერე კი მენინი აიღო.

1708 წლის 11 ივნისს აუდენარდთან მისმა ბატალიონებმა პირველებმა სძლიეს მეტოქეს, აურაცხელი მტრის შეტევა მოიგერიეს და ბრძოლაში გამარჯვებას მიაღწიეს.

კემპბელმა იმავე წელს ლილის ალყაშიც მიიღო მონაწილეობა, რაც 8 დეკემბერს ქალაქის დანებებით დასრულდა, 1709 წლის იანვარში კი გენტი აიღო. უკვე გენერალ-ლეიტენანტმა 10 ივლისს ბელგიის ქალაქი ტურნე დაიმორჩილა, 11 სექტემბერს კი, ჰერცოგ მალბოროსთან დაპირისპირების მიუხედავად, მალპლაკის ბრძოლაში ისახელა თავი.

1710 წელს ლეკვერთხის ორდენის რაინდად აკურთხეს, მომდევნო წელს კი ესპანეთში ინგლისის ძალებს ჩაუდგა სათავეში, მაგრამ ბევრი ვერაფერი მოახერხა, გარდა იმისა, რომ თავის გატანა შეძლო უტრეხტის ზავამდე, რამაც ომი დაასრულა. ამის მერე შოტლანდიაში მთავარსარდლად და ედინბურგის სიმაგრის მმართველად დაინიშნა.

იმ დროისათვის ჯონ კემპბელი უკვე კავშირის დაშლაზე ალაპარაკდა. მისი ეს უთავჟამო ტრიალი მისმა ძველმა მეგობარმა ჯონათან სვიფტმა გაამასხარავა. ჯონს მასთანაც უთანხმოება მოუვიდა. თუმცა, იაკობინელთა ამბოხების ჩახშობამ 1715 წელს მას მოუწია, რის შედეგადაც ტახტზე გეორგ I ავიდა.




## იაკობინელთა აჯანყება

იმ ზაფხულს მარის გრაფმა იაკობინელთა კლანები და ჩრდილო-აღმოსავლეთი ძველი პრეტენდენტის, ჯეიმზ სტიუარტის მხარდასაჭერად აამხედრა. ის პერთისკენ დაიძრა, მერე სამხრეთით გადაუხვია, სტირლინგის ხეობისკენ. 1709 წლის 13 ნოემბერს შერიფმურის ბრძოლაში კემპბელმა მისი წინსვლა გაცილებით მცირერიცხოვანი ჯარით შეაჩერა. სამხრეთის აჯანყების იმედი გაუცრუვდა და ჯეიმზიც კონტინენტიდან ძალიან გვიან ჩავიდა მისაშველებლად. კემპბელი ამ გმირობისთვის გრინვიჩის ჰერცოგად იქცა.

ჯონ კემპბელი შოტლანდიის პოლიტიკაში 1740 წლამდე, ანუ გადაყენებამდე, დარჩა და ინგლისში შოტლანდიის ინტერესების დამცველი იყო. მან პარლამენტში ადგილი იმის გამო დაკარგა, რომ სიტყვით გამოსვლისას მთავრობა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. მიუხედავად ამისა, როდესაც 1743 წლის 4 ოქტომბერს კემპბელი გარდაიცვალა, მისი სახელის პატივსაყოფად მარმარილოს მემორიალი აღმართეს ვესტმინსტერის სააბატოში.

## აზრის დაცვა

- მალპლაკის ბრძოლაში 1709 წლის 11 სექტემბერს კემპბელმა სარტის ტყეებიდან მტრის გამორეკვით გადამწყვეტი როლი ითამაშა. შეტაკებისას მუშკეტის რამდენიმე ტყვიამ ქუდში, პარიკსა და სამოსში გაუარა. ამან თავისი ჯარისკაცების თვალში პატივისცემა მოუმატა, რადგან მათთან ერთად იზიარებდა გაჭირვებასა და საფრთხეს. ამავე დროს მეტოქესთან, ჰერცოგ მალბოროსთან, ურთიერთობა კიდევ უფრო დაეძაბა. კემპბელმა არ მოიწონა მალბოროს თხოვნა სამუდამო ადმირალობაზე და ბრალი დასდო ომის გახანგრძლივებაში, რამაც მალბოროს ათქმევინა: „არ შემიძლია ვინმეზე უფრო უარესი აზრისა ვიყო, ვიდრე არგაილის ჰერცოგზე".
- 1709 წლის 13 ნოემბრის დილას შერიფმურის ბრძოლაში კემპბელის 4000 მეომარი მეამბოხეთა 12000-კაციან არმიას დაუპირისპირდა. მარცხენა ფლანგი გაიქცა, მაგრამ ცენტრმა და მარჯვენამ გრაფ მარის ჯარის პირველი შეტევა უკუაგდეს. მერე მისი კავალერია გამოედევნა. ამბოხებულთა მეთაური გრაფი მარი ერთ-ერთი იყო, ვინც პირველმა მოკურცხლა. ასე რომ, როდესაც მებრძოლთა განლაგება დასრულდა, იაკობინელთა ძალა გაიყო. არგაილმა ბრძოლა მოიგო, მარმა ზავი ითხოვა.

*მოამზადა*

**ლევან ინასარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საგემბანო ავიაცია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N17-22, 2012

## მიდუეი — ამერიკული საგემბანო ავიაციის შეტევა

იაპონური ესკადრის ადგილმდებარეობის დადგენისთანავე „ენტერპრაიზიდან“ 10 გამანადგურებელი „უაილდკეტი“, 33 მოპიკირე ბომბდამშენი SBD და 14 ტორპედმზიდი TBF აფრინდნენ.

ამერიკელების გამოჩენის მომენტში, ოთხივე იაპონური ავიამზიდის გემბანებზე წინასაფრენოსნო მომზადება მიდიოდა და თვითმფრინავებზე ტექნიკოსები ბომბებსა და ტორპედოებს ჰკიდებდნენ.

სამი ავიამზიდი „აკაგი“, „კაგა“ და „სირიუ“ მჭიდრო მწყობრში მიცურავდნენ და კარგ სამიზნეს წარმოადგენდნენ. „კაგას“ გემბანიდან პირველი „ზერო“ უკვე ფრინდებოდა, როდესაც გემბანზე ამერიკული ბომბი ჩამოვარდა. მიზეზთა გამო იაპონური ავიამზიდები გამანადგურებლების დაცვის გარეშე დარჩნენ, საზენიტო ცეცხლი კი სუსტი იყო. ომის დაწყებიდან 6 თვის თავზე იაპონური ავიამზიდების დაუმარცხებლობის მითი რამდენიმე საათში დაიმსხვრა.

„აკაგის“ პირველი ბომბი ცენტრალურ ელევატორში მოხვდა. გემბანსა და ანგარში მდგარ საწვავით გაწყობილ და შეიარაღებულ 60-მდე თვითმფრინავს მაშინვე ცეცხლი წაეკიდა.

„კაგას“ გემბანზე ოთხი ბომბი ჩამოვარდა და კიდევ 5 მახლობლად წყალში აფეთქდა. ერთ-ერთი გემბანზე მდგარ საწვავმზიდს მოხვდა. გაჩენილი ხანძარი წამებში მთელ გემბანსა და მასზე მდგომ თვითმფრინავებს მოედო.

შემდეგ სამიზნეს, ავიამზიდ „სირიუს“, 17-მა მოპიკირე ბომბდამშენმა შეუტია და ხომალდს სამი ბომბი მოხვდა.

15-20 წთ-იან ბრძოლაში ამერიკელებმა ცეცხლის ალში გახვეული სამი იაპონური ავიამზიდი დატოვეს და თავად 67 საგემბანო თვითმფრინავი დაკარგეს.

## „ჰირიუს“ საპასუხო დარტყმა

იაპონელებმა კონტრშეტევა მალევე დაიწყეს და ერთადერთი გადარჩენილი ავიამზიდიდან 8 „ზერო“ და 18 მოპიკირე ბომბდამშენი აფრინდა. ძლიერი საზენიტო ცეცხლის მიუხედავად, სამიზნედ შერჩეულ „იორკტაუნს“ სამი ბომბი მაინც მოახვედრეს. ერთი საკვამურ მილში აფეთქდა, ხოლო მეორემ კი 4 გემბანი ჩაანგრია და საბრძოლო მასალების საცავში აფეთქდა.

ორი საათის შემდეგ იაპონური მეორე ტალღის ტორპედმზიდებმა „იორკტაუნს“ კიდევ 2 ტორპედო მოარტყეს.

იაპონელები მესამე ტალღის ორგანიზებასაც აპირებდნენ, მაგრამ ამასობაში „ჰირიუ“ თავად გახდა სამიზნე, რომელსაც „ენტერპრაიზიდან“ აფრენილი თვითმფრინავების 4 ბომბი მოხვდა.

მიდუეისთვის ბრძოლაში უკანასკნელი მეოთხე იაპონური ავიამზიდი მძიმედ დაზიანდა.



მიდუეისთან ბრძოლაში ამერიკულმა საგემბანო თვითმფრინავებმა ოთხი იაპონური ავიამზიდი ჩაძირეს. ამ დანაკარგმა იაპონურ კამპანიაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. ფოტოზე გამოსახულია ავიამზიდი „ჰირიუ“

## ხუთი ავიამზიდის ჩაძირვა

დაზიანებული იაპონური ავიამზიდებიდან პირველი „სირიუ“ ჩაიძირა. შემდეგ „კაგას“ ჯერი დადგა. ძლიერმა ხანძარმა საავიაციო საწვავის, ხოლო მეორე ვერსიით, საბრძოლო მასალების დეტონაცია გამოიწვია და აფეთქებამ ხომალდი შუაზე გადატეხა.

მძიმედ დაზიანებულ და ალმოდებულ „აკაგის“ საკუთარმა საესკადრო ნაღმოსნებმა ტორპედოებით მოუღეს ბოლო. ერთ საათში ანალოგიური ბედი მე-4 ავიამზიდმა — „ჰირიუმ“ გაიზიარა.

მეხუთე ავიამზიდი ფსკერისკენ უკვე ბრძოლის შემდეგ წავიდა. ამერიკული „იორკტაუნის“ გადარჩენას ეკიპაჟი ყველანაირად ცდილობდა. ავარიულმა ბრიგადებმა ხანძარიც ჩააქრეს და ხომალდს სვლაც დაუბრუნეს, მაგრამ ბოლო სიტყვა იაპონელებისა იყო.

6 საესკადრო ნაღმოსნის ქვეშ მალულად გამძვრალმა წყალქვეშა ნავმა I-168 „იორკტაუნს“ ოთხი ტორპედო ესროლა. ერთი — საესკადრო ნაღმოსანს, ორი კი ავიამზიდს მოხვდა. ნაღმოსანი „ჰამანი“ 4 წთ-ში ჩაიძირა. ავიამზიდი კი მეორე დღეს.

რამდენიმედღიანი ბრძოლის შედეგად, იაპონელებმა კოლოსალური ზიანი მიიღეს, დაკარგეს 4 ავიამზიდი, 1 მძიმე კრეისერი, 250 საგემბანო თვითმფრინავი და რამდენიმე ასეული გამოცდილი მფრინავი. ეს იაპონიისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ამერიკელების დანაკარგი უფრო მოკრძალებული იყო: 1 ავიამზიდი. 1 საესკადრო ნაღმოსანი და 109 საგემბანო თვითმფრინავი.

## ამერიკული „ტყის კატა“

მიდუეისთან ბრძოლაში, იაპონური „ზეროები“ ახალ ამერიკულ საგემბანო თვითმფრინავებს შეებრძოლნენ.

1937 წელს აშშ-ის ფლოტმა ახალ საგემბანო გამანადგურებელზე მორიგი კონკურსი გამოაცხადა. ფირმა Grumman-მა ბედი ამჯერადაც სცადა და გამანადგურებელ „ბუფალოსთან“ დამარცხების შემდეგ საკუთარი პროექტი ძირფესვიანად შეცვალა. ახალმა თვითმფრინავმა ნიშნული F4F მიიღო.

ფლოტის წარმომადგენლები ახალი F4F-ით კმაყოფილი დარჩნენ. განსაკუთრებულ მოწონებას მისი სიჩქარე — 532 კმ/სთ-ში იწვევდა. თუმცა იყო შენიშვნებიც, რომელთა გამოსწორებაც კონსტრუქტორებს უმოკლეს დროში დაევალა.

თვითმფრინავი 1939 წელს აფრინდა.



თავისებური ფორმის გამო, იაპონელებმა „ტყის კატას“ „საკეს ბოთლს“ ეძახდნენ. თუმცა საბრძოლო შესაძლებლობებით ის ყველა იაპონურ თვითმფრინავს ჯაბნიდა

პირველივე გამოცდამ „ბუფალოსთან“ შედარებით მისი შესაძლებლობების უპირატესობა გამოამჟღავნა. სამხედროებმა უმალ 54 თვითმფრინავი დაუკვეთეს, მაგრამ არასტაბილური ფინანსირების გამო პირველი თვითმფრინავები ფლოტმა მხოლოდ 1941 წელს მიიღო. იმ პერიოდში შეკვეთა 200 ერთეულამდე გაიზარდა.

თვითმფრინავს ამერიკელებმა Wil-

მოდიფიკაცია — F4F-4 Wildcat
სიგრძე — 8,8 მ
ფრთის გაქანი — 11,6 მ
ცარიელი თვითმფრინავის წონა — 2610 კგ
მაქს. ასაფრენი — 3974 კგ
ძრავა — 1ხ1200 ცხ.ძ
მაქს. სიჩქარე — 515 კმ/სთ-ში
პრაქტიკული ჭერი — 10360 მ
ეკიპაჟი — 1 კაცი
შეიარაღება — ექვსი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი



ამერიკელები გემბანზე არასწორი დაჯდომის გამო უფრო მეტ თვითმფრინავს კარგავდნენ, ვიდრე ბრძოლაში



მეორე მსოფლიო ომის საუკეთესო ტორპედმზიდ „ევენჯერის“ საბრძოლო დებიუტი მიდუეისთან ბრძოლაში შედგა

dcat-ი უწოდეს და ახალი თვითმფრინავით ევროპის სახელმწიფოებიც დაინტერესდნენ.

საფრანგეთმა თავისი ერთადერთი ავიამზიდისთვის 80 თვითმფრინავი დაუკვეთა.

30 Wildcat-ზე შეკვეთა საბერძნეთმაც გააკეთა, მაგრამ თვითმფრინავებმა დამკვეთამდე ვერ მიაღწია და ისინი ბრიტანეთმა შეიძინა. თვითმფრინავებს Marlet-ი უწოდეს და საზღვაო ბაზების დასაცავად იყენებდნენ.

საბრძოლო მოქმედებებში პირველად სწორედ ბრიტანული „მარლეტები“ ჩაერთვნენ, როდესაც 1940 წელს გერმანული ბომბდამშენებისგან საკუთარ პორტებს იცავდნენ.

ომის დაწყებისთვის F4F აშშ-ის ფლოტისა და საზღვაო ქვეითების მთავარი გამანადგურებელი იყო და წყნარ ოკეანეში 1943 წლამდე იბრძოდა. Wildcat-ები იცავდნენ გუამსა და უეიკს, ესკორტს უწევდნენ საგემბანო ტორპედმზიდებსა და ბომბდამშენებს.

ფიუზელაჟის ფორმის გამო იაპონელები მას „საკეს ბოთლს“ ეძახდნენ. „ზერო“ მასზე უკეთესად მანევრირებდა, თუმცა „უაილდკეტის“ უპირატესობა მოწინააღმდეგის ცეცხლის გახსნისას ვლინდებოდა, მფრინავი და საწვავის ავზები საიმედოდ იყო დაცული, მაშინ როდესაც თავად „ზეროს“ ჯავშანი არ ჰქონდა.

## „შურისმაძიებელი“

მიდუეისთან ბრძოლაში, ახალი ამერიკული თვითმფრინავის დებიუტი შედგა. ჯერ კიდევ 1939 წელს, ფლოტის განვითარების გეგმის ჩამოყალიბებასთან ერთად, სამხედროებმა ახალი ტორპედმზიდის შესაქმნელად კონკურსი გამოაცხადეს. მასში მონაწილეობა ფირმა „გრუმანმაც“ გადაწყვიტა, რომელიც აქამდე მხოლოდ საგემბანო გამანადგურებლებს ქმნიდა.

ეს პირველი ამერიკული საგემბანო თვითმფრინავი იყო, რომელზეც შეიარაღების განთავსება ბომბნაკვეთურში ხდებოდა. საცეცხლე კოშკურა კი ცალკეული მბრუნავი მოდულის სახით იყო წარმოდგენილი. ახალ TBF-1 Avenger-ზე (ქართულად „შურისმაძიებელი“) განსაკუთრებული ყურადღება ეკიპაჟის დაცვას ეთმობოდა.

თვითმფრინავი 1941 წლის 7 აგვისტოს აფრინდა. ფლოტს ის იმდენად მოეწონა, რომ მალევე 286 ერთეული დაუკვეთა. წლის ბოლოს კი შეიარაღებაშიც მიიღო.

ერთი წლის თავზე წარმოების ტემპმა თვეში 60 ერთეულს მიაღწია. თუმცა მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ მწარმოებლებს დამხმარე რესურსების ძებნამ მოუწიათ. ომში ჩაბმის შემდეგ, აშშ-ის მთავრობამ ქვეყანაში სამოქალაქო ავტომობილების წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად შეამცირა. გაჩერდა General Motors-იც. თუმცა მალევე მისი ხუთივე ქარხანა ახალი პროდუქციის — Avenger-ის ტიპის ტორპედმზიდების წარმოებით სრულად დაიტვირთა. ავტომწარმოებლების ტორპედმზიდები ნიშნულს TBM ატარებდნენ.



იაპონელებთან შედარებით ამერიკელებს ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდათ — მათ ავიამზიდებზე გაცილებით მეტი თვითმფრინავი თავსდებოდა, რაც ბრძოლაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა

***ალექსანდრე აფაქიძე***

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან სეფისკვერაძე

# ვანათის ღამე

როდესაც ჯერ ისევ ჩვენს სოფელში, ვანათში ვცხოვრობდით, ზაფხულის გრილ ღამეებში ეზოში მიყვარდა დაწოლა. ერთია, რომ გრილა და თან გათენდება თუ არა, უცებ შევარდები ბოსელში, ნახირში გარეკავ საქონელს, ქათმებსაც დაუყრი საჭმელს და ისევ შენს გემოზე განაგრძობ ძილს. თან, ისეთ სოფელში ვცხოვრობდი, სადაც წლების მანძილზე სულ ომი და უბედურება იყო. როცა გარეთ გძინავს, ყოველი გაფაჩუნება გესმის და რამე ფარსაგი რომ იყოს, შენიანებსაც უცებ წამოყრი საწოლებიდან.

აგერ უკვე მეოთხე წელია, მთავრობის მიერ მოცემულ სახლში ვცხოვრობთ. დიდი გაჭირვება გამოვიარეთ და ომი სულ თვალწინ მიდგას, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც 2004 წლის 8 ივლისის ღამე მახსოვს. იმ ღამეს პირველად დავრწმუნდი, რომ ქართველებს ჩვენს სოფელში დიდხანს აღარ გაგვაჩერებდნენ.

ღამეა, ჩემს ეზოში გასაშლელ საწოლზე ვწევარ და არა და არ მეძინება. ხომ იცით, გუნების ამბავია. შეიძლება საწოლამდე სულ მთქნარება-მთქნარებით მიხვიდე, მაგრამ დაწვები და არა და არ გეკიდება რული. ჩვენი სახლის ახლოს ქართველი ჯარისკაცები იდგნენ. ვითარება ისევ გამწვავებული იყო და მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა სოფელში ჯარისკაცები შემოგვიყვანა, ესენი დაგიცავენო. ღამე კანტიკუნტად კი ისმოდა სროლა, მაგრამ ყველანი ისე ვიყავით მიჩვეული, რომ არც გვიკვირდა და არც გვეშინოდა. აგერ, ჩვენი ჯარიც ახლოს იდგა და მოკლედ, ომი თითქოს სადღაც შორს ხდებოდა და ხალხიც არ აპირებდა სოფლიდან გასვლას. სროლა ხომ ისედაც სულ იყო...

მოკლედ, დაძინებას ვცდილობ, ვტრიალებ საწოლში შამფურივით და ამ დროს ზედ ჩვენი ჭიშკრის წინ ფეხების ბრაგუნის ხმა მესმის. ბრაგუნიცაა და ბრაგუნიც. ხმაზე მივხვდი, რომ ერთი ასი კაცი მაინც მოდის გზაზე. არც ლაპარაკი ისმის და არც არაფერი. უბრალოდ, მოდიან და მძიმე ჩექმებს მოაბრახუნებენ. ეს ამბავი ნამეტანი მეუცნაურა და მივხვდი, რომ ამდენი კაცის ასე შუაღამისას ჩვენს სოფელში წანწალი კარგს არაფერს მოასწავებდა. წამოვდექი, ფეხსაცმელიც კი არ ამომიცვია, ღობესთან მივვარდი, მივიდგი ხის მორი და რასა ვხედავ... წინ კეფაზე ხელებდაწყობილი ქართველი ჯარისკაცები მიდიან, უკან კი მუქ მწვანე ფორმაში ჩაცმული ოსები მოჰყვებიან. მოჰყვებიან და თან სულ მუჯლუგუნებს ურტყამენ, ჩქარა იარეთო. ხმას არც ოსები იღებენ. არც იმათ უნდათ ხმაურის ატეხა. აბა, იმათი ფორმის გარჩევას რაღა უნდოდა. სიზმარშიც კი სულ მაგათ ვხედავ.

ჩვენმა ჯარისკაცებმა კიდევ რა უნდა თქვან? მიაბრახუნებენ ამ ჩექმებს და მიდიან ცხინვალისაკენ. მახსოვს, ძალიან გავბრაზდი. დამცეცხლა პირდაპირ... გაგონილა, კაცო, ამოდო-

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



კეფაზე ხელებდაწყობილ ქართველ ტყვეებს ოსები უკან მოჰყვებოდნენ და თან მუჯლუგუნებს ურტყავდნენ

ნა ჯარი ცხვრებივით გაირეკო წინ და თან ისე, რომ ერთი გასროლაც კი არ დაგჭირდეს?! თან მეშინია, არ დახოცონ ეს ბიჭები, რამდენიმე ჩვენებურიც იყო იმათში და საცოდაობისაგან სულ წელები მეწვის, ასეთ დღეში რომ ვხედავ. მე რა უნდა ვქნა? მაგრამ ასე ნიფხავამარა დგომითაც რომ ვერაფერს ვიზამ? ფაცხაფუცხით შევვარდი სახლში, გავაღვიძე ჩემი ცოლი და ვეუბნები, ჩქარა, მობილური ტელეფონი მოიტა, გორში დავრეკოთ და ვუთხრათ ხალხს, ასე და ასეა ამბავი-მეთქი. ეს ჩემი ცოლი კიდევ, ჯერ ვერ მიხვდა, რა მოხდა. მერე მეუბნება, ტელეფონი გაფუჭებული იყო და ქალაქში გავატანე ბიჭს გასაკეთებლადო. ყველაფერი მაშინ იციან, როცა საჭირო არაა.. ამოვიცვი შარვალი, ფეხსაცმელიც ჩავიცვი და ვფიქრობ, უკან მაინც გავყვები და იმას ვნახავ, სად წაიყვანენ ამ უბედურებს-მეთქი.

გამოვდივარ და ცოლი არ მიშვებს, სად მიდიხარ და რატომ მიდიხარო. გამოვიხურე კარი და მაინც წამოვედი. ნელა, უჩუმრისპირად გავაღე ჭიშკარი, ფეხების ბრახუნის ხმა უკვე შორიდან მესმის, მაგრამ მაინც საფრთხილო ამბავია, კაცო. იმათი ნდობა როგორ იქნება?! რომ დამინახონ და ავტომატი მომიშვან, ვინმე პასუხს მოსთხოვს თუ რა? გადავედი გზიდან და გავრბივარ. ვიცოდი, ჩემი ბიძაშვილის ნაბოსტნარებთან ღობე რომ იყო გარღვეული და იქით მიჭირავს გეზი. ძლივს ვნახე ის გარღვეული ღობე, შევედი ნაბოსტნარში, ვეფარები ხესა და ბუჩქს და ასე მივყვები უკან ჯარისკაცებს.

გზაზე დიდი, ტენტიანი კამაზი გამოჩნდა ცხინვალის მხრიდან, კი არ მოდიოდა, მოფრინავდა. კამაზი რომ გაჩერდა და ძარაზე ჩვენი ბიჭების კონდახის რტყმით შეყრა დაიწყეს, დაბლა დავწექი და ასე დავუწყე თვალის დევნება. როცა უკვე თავი სამშვიდობოს იგრძნეს, მერეღა დაიწყეს ოსებმა გინება და ერთი ამბავი. მე კი ვწევარ დაბლა და გულს სულ ბაგაბუგი გაუდის. რაღა ახლა გაფუჭდა ის დედაძაღლი მობილური ტელეფონიც. ცხვრებივით მიერეკებიან ჩვენს ბიჭებს და მე კიდევ ვუცქერი და ვერაფერსა ვშვრები. ბოლოს, როგორც იქნა, ყველა ქართველი შეყარეს მანქანაში და წავიდნენ.

ავდექი ფეხზე, ვდგავარ და გული მაქ დამდუღრული. გამოვედი გზაზე და ვფიქრობ, ახლა რა უნდა ვქნა. ცხინვალში გავყვე და იქამდე ვინ შემიშვებს. აქ დავრჩე და რას ვიზამ? თან სახლში მიბრუნებაც არ მინდა. ჩემი ცოლის ამბავი რომ ვიცი, ისეთ ამბავს ამიტეხს, ისევ ოსებმა დამიჭირონ, მირჩევნია. სიგარეტის წამოღებაც დამვიწყებია, ცოტა გულს რომ გადავაყოლო. მერე იქვე მცხოვრები ჩვენებური კაცი გამახსენდა. ცოლ-შვილი თბილისში ჰყავდა გახიზნული და მარტო ცხოვრობდა. ერთი დანჯღრეული მოტოციკლი ჰყავდა და სულ იმ მოტოციკლზე ქილიკში იყო მთელი სოფელი. მივადექი იმის სახლს. ვყვირი: „მერაბ... ჰაი, მერაბ!“ როდისროდის გამოვიდა შარვალზე ღილების შეკვრით. ვუთხარი, რაც ვნახე და ცოტა კიდევაც დავამატე რაღაცები, უფრო კარგად რომ მიმხვდარიყო, რა მოხდა. ახლა მერაბა ანერვიულდა. იმანაც და მეც, კარგად რო ვიგინეთ და ვინერვიულეთ, სახლში შევიდა, გამოიტანა უსაშველოდ ძველი მობილური ტელეფონი, რომელიც ჯერ ძლივს ჩავრთეთ და მერე დავიწყეთ ისეთი ვინმეს გახსენება, ვინც გორში ან თბილისში ჩვენს მთავრობას ხმას მიაწვდენდა, ბიჭები ფუკასავით აგვაცალესო.

ბოლოს, ერთი ჩვენებური ჟურნალისტი გოგოა და იმას დავურეკეთ თბილისში. იმან წიოკი დაიწყო, ყველაფერი კარგად მითხარით, სტატიისთვის გამომადგებაო. რა სტატია, რის სტატია? გიჟია ეს მამაძაღლი... ბიჭები მტერმა წინ გაირეკა, ეს კიდევ სტატიაო... იმან პოლიციის ნომერი მოგვცა.

იქაც დავრეკეთ. თან ანგარიშზე ცოტა ფული აქვს მერაბას და ვცდილობთ, ჩქარ-ჩქარა ვთქვათ, რაც სათქმელია, რომ მოვასწროთ. პოლიციაში გვითხრეს, რაც დაგილევიათ, ჯერ ის მოინელეთ და მთელი ჯარის ცხვრებივით გარეკვა აღარ მოგელანდებათო.

ამასობაში კიდეც დაგვათენდა თავზე. ვსხედვართ ნახევრად ჩაცმული მე და მერაბა და ვერ მოგვიფიქრებია, რა უნდა ვქნათ. ბოლოს, მერაბამ მითხრა, მიდი, შენ ჭიშკარი გაალე, მოტოციკლეტი უნდა გამოვიყვანო, იქნებ გავრისკოთ და ჩავიდეთ ცხინვალში, რაც არის, ეგ არისო. დავსხედით მის გაუბედურებულ მოსაბმელიან მოტოციკლეტზე და ჩავრახრახდით რუსების საგუშაგომდე. რუსებმა იმ დილაუთენია ცხინვალისკენ მიმავლები რომ დაგვინახეს, ეგრევე ავტომატები მოგვიღერეს, შესვლა ამ ომიანობის დროს არ შეიძლებაო. ვეუბნებით, თქვენ რანაირი სამშვიდობოები ხართ, აქ ამოდონა ჯარი ხელაწეული რო ჩაატარეს, სად მამიჩემის მამასთან იყავითო. არაო, ჩვენ არაფერი ვიცითო, გვეუბნებიან. რის ჯარი, რა ტყვეებიო... გაგონილა, კაცო, ასეთი უსინდისობა და მატყუარობა?! მოეშალა მერაბას ნერვები და რუსულად ეუბნება, მაშ, მტყუანის ჯიშ-ჯილაგი, რაც ამ ღამეს აქ ოსებმა ჩვენი ჯარისკაცები მანქანებით გამოატარესო, მიაგინა გემრიელად.

გადაირია რუსის ოფიცერი. მთელ საგუშაგოს დაუძახა, – ნახეთ, ეს ქართველი გლეხი მაგინებს და მოწმეები იყავით, რომ შემაგინაო. დაუდგებოდნენ მოწმედ, აბა, რა იქნებოდა. ერთი კაცის გაკეთებულებივით არიან ეგენი ყველანი... ჰოდა, სანამ რამე ფიქრი და აზრი მომივიდოდა თავში, მე და მერაბა რუსების საგუშაგოზე ერთ-ერთ კარავში აღმოვჩნდით. გარედან კიდევ რუსების ხორხოცი ისმის. რუსებიც მერაბას დანჯღრეულ მოტოციკლზე იცინოდნენ. „თქვენი ქვეყნის გამოშვებაც ეგ არის“, – კარვიდან გასძახოდა მერაბა რუსებს. „ჩტო ჩტოო?“ – გვკითხა ოფიცერმა, რომელსაც, ალბათ, ეგონა, ქართულად ვაგინებდით. კაცმა რომ თქვას, არც უმაგისობა იყო... ახლა აქეთ დაგვიწყეს გინება და ერთი ამბავი.

სიმართლე უნდა ვთქვა, რომ ცემით დიდად არ ვუცემივართ. გვაყურყუტეს კარავში 2-3 საათი, მერე სათითაო ალიყური გაგვკრეს და გამოგვიშვეს. თავიდან მოტოციკლი უნდა დავიტოვოთო, გვეუბნებოდნენ სიცილით, მაგრამ ვიცოდით, იმ ჯართს რომ არ დაიტოვებდნენ და ასე ყურებჩამოყრილი დავბრუნდით სოფელში.

სოფელში უკვე ყველა ტელევიზორში ნანახ ამბებზე ლაპარაკობდა. ტელევიზორში უჩვენებიათ, როგორ გაამწკრივეს ჩვენი ჯარისკაცები ცხინვალის ცენტრში, დააყენეს მუხლ[illegible]ქა და ჩამოურიგეს სათითაო პანღური. ზოგიერთი ნაცემსაც ჰგავდაო, მეუბნებოდა ჩემი ცოლი. რამდენიმე დღეში მადლობა ღმერთს, გამოუშვეს ის ჩვენი ბიჭები, მაგრამ სოფელში რომ დაბრუნდნენ, ხალხისათვის თვალებში შემოხედვისა რცხვენოდათ. აბა, მართლაც, კაცო, რომელი საამაყო ამბავი იმათ მოუვიდათ.

მას მერე ძალიან ბევრი უარესობა მოხდა და ბევრი ისეთი უბედურება დაატყდა ჩვენს სოფელს და მთელ ხეობას, გახსენებაც კი არ მინდა. მაგრამ მე მაინც ის დაწყევლილი 2004 წლის 8 ივლისი მახსენდება ყველაზე ცუდად. იცით, რატომ? აი, მაშინ დავინახე პირველად, რომ რუსებსა და კოკოითის ხალხთან ბრძოლა გაგვიჭირდებოდა. როცა შენი ქვეყნის ჯარისკაცებს ასე ცხვრებივით მიერეკებიან და ამას ერთი ბებერი კაცის გარდა, ვერავინ იგებს, აბა, რა სახელმწიფოსა და ქვეყანაზე უნდა ვილაპარაკოთ. არ გეგონოთ, ვწუწუნებდე და მაგიტომ ვამბობდე ამას. მე ჩემი საწუწუნო უკვე ვიწუწუნე და მაინც არაფერი გამოვიდა აქედან. ახლა ვცხოვრობ ამ ნაწყალობევ ქოხში და ვარ. აბა, იმან რაღა თქვას, ომს ცოცხალი რომ ვერ გადაურჩა, თორემ მე კიდევ რა მიჭირს. ერთი ისაა, ხანდახან ძალიან მენატრება ჩემი სოფელი. ეგაა და ეგა...



აგვისტოს პაპანაქება სიცხეში ტყვეებს წყალი ერთგვარ შვებას აძლევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბრძოლო ხელოვნებაში ადამიანის ფარული შესაძლებლობების გამოყენება

## ენერგიის მობილიზაცია

ენერგიის მობილიზაცია არის ორგანიზმში არსებული მთელი ენერგიის მყისიერი და ინტენსიური გარეგამოწვევის უნარი. საქმე ეხება, ცხადია, სხეულის ბუნებრივ, კუნთების მუშაობით წარმოქმნილ ფიზიკურ ძალას. მისი განვითარება გარკვეულ მომენტამდე შეიძლება ფიზიკური ვარჯიშებით, თუმცა მისი განვითარება საზღვრულია დროში და ეს ძალა აუცილებლად მცირდება ასაკის მატებასთან ერთად. ესე იგი, ფიზიკური ძალა არის ზედაპირული ძალა. მისთვის დამახასიათებელია გაბედული ფეთქებადი ნახტომები და მოქმედებები. ეს ძალა ახალგაზრდობის თვისებაა. მართალია, ამ ძალის უგულებელყოფა არ შეიძლება, მაგრამ ის მაინც არის იმ დიდი ენერგიის ნაწილი, რომელსაც ფლობს ხელჩართული ბრძოლის ნამდვილი ოსტატი, რადგანაც არსებობს „შინაგანი ენერგია“ — ეს არის უფრო ფსიქიკური, ვიდრე ფიზიკური ხასიათის ენერგია. შინაგანი ენერგია ვლინდება განსაკუთრებული დაძაბულობის შემთხვევაში. საბრძოლო ხელოვნების სპეციალისტების თქმით, ეს არის კონცენტრაცია ობიექტის გარეშე. შინაგანი ენერგიის დაუფლება შესაძლებელს ხდის ჩავიდინოთ ერთი შეხედვით შეუძლებელი და წარმოუდგენელი მოქმედებები, რომლებსაც წარმოაჩენენ ხელჩართული ბრძოლების ოსტატები. შინაგანი ენერგია მისაწვდომია მხოლოდ ნამდვილი ოსტატებისთვის და იგი განაგრძობს არსებობას და მოქმედებას მაშინაც კი, როდესაც ადამიანს ასაკის მატებასთან ერთად აკლდება ფიზიკური ძალა. ამ ენერგიას დაუფლებულ ადამიანებს შეუძლიათ ნებისმიერი პირის შეჩერება გარკვეულ მანძილზე.

## საწინააღმდეგო ძალის გამოყენება

ფიზიკის კანონებიდან ცნობილია, რომ ნებისმიერი მოქმედება იწვევს საწინააღმდეგო მოქმედებას. ყოველი დარტყმის დროს სხეული სრულად იძაბება დროის რაღაც მცირე მონაკვეთით, — არა მხოლოდ იმიტომ, რომ უმტკივნეულოდ მიიღოს დარტყმა, არამედ იმისთვის, რომ უპასუხოს მოწინააღმდეგეს დარტყმით. ამრიგად, დარტყმის დროს სახეზეა ორმაგი ეფექტი: დარტყმის შედეგად წარმოქმნილი დამრტყმელი ტალღა საყრდენ წერტილთა სიმყარისა და პარალელურად კუნთების სინქრონული მოქმედებების წყალობით აძლიერებს დარტყმის ძალას. ამ პრინციპს ყველაზე კარგად იყენებენ აიკიდოში. ამ საბრძოლო ხელოვნების ოსტატები მოწინააღმდეგის ძალასა და ენერგიას მისავე საწინააღმდეგოდ მიმართავენ.

## ენერგიის კონცენტრაცია

ენერგიის კონცენტრაცია არის საკუთარი ძალისხმევის მიმართვა საგანზე ან ობიექტზე და მიმართულია რომელიმე მოქმედების დასახმარებლად. საკმარისია შენში წარმოქმნილი ძალის მომატებისთვის, რომელიც მზად არის „ყველაფერი დაამტვრიოს“, მაგრამ უნდა შეგეძლოს ამ ენერგიის მართვა. ეს დამოკიდებულია კუნთების სწორ კოორდინაციაზე. ენერგიის კონცენტრაცია ნიშნავს კონცენტრაციას დროსა და სივრცეში. ენერგიის კონცენტრაცია დროში გულისხმობს, რომ მოძრაობა უნდა შევასრულოთ მაქსიმალურად სწრაფად და დროულად. რაც შეეხება ენერგიის კონცენტრაციას

სივრცეში, ეს გულისხმობს, რომ ზუსტად განსაზღვრულ ადგილებში უნდა დავასრულოთ დარტყმა და ამასთან, შევინარჩუნოთ ძალა.

## სიჩქარე და სინელე (სწრაფად და ნელა მოძრაობა)

ილეთების ცოდნა არაფერს მოგვცემს ან მათი წინასწარ განსაზღვრა, თუ მათი შესრულება გაჭიანურდება. ტექნიკამ უნდა იმოქმედოს იმავე წამს, როგორც კი თავში დაიბადება. ოსტატებს აქვთ გამოთქმა: „საპასუხო დარტყმა უნდა მიაყენო მოწინააღმდეგის დარტყმის შემდეგ და დასრულდეს მანამ, სანამ ის დაასრულებს მას“. მოგება დროში მიიღწევა სრული მოშვებითა და სიმშვიდით. ოსტატებს აქვთ გამოთქმა: „მოდუნება უმოკლესი გზაა გამარჯვებისკენ“. სიტყვა — „სინელე“ მიეკუთვნება არა მხოლოდ მოქმედებას, არამედ გონების მდგომარეობას, ათავისუფლებს მას ნებისმიერი მოუთმენლობისაგან. „სიჩქარე“ იშვიათად წყვეტს რამეს. არ იჩქაროთ, ნებისმიერი მოქმედება შეისწავლეთ და შეასრულეთ ნელა, ხოლო შემდეგ თანდათან ააჩქარეთ. თუ დამწყები იწყებს ნელა მოქმედებას, მას ექნება საკმაო დრო, ეძებოს, მოუსმინოს, მოსინჯოს და გაიგოს საბრძოლო ხელოვნების არსი, გამოიყენოს თავისი გონება და კიდურები, იმოძრაოს სწრაფად და დაიცვას თავი მოწინააღმდეგის თავდასხმისაგან.

**ალიკა მერებაშვილი**

*შოტოკან კარატე-დოს ტექნიკური ოსტატი, შავი ქამრისა და I დანის მფლობელი*

## ცივი იარაღის მოგერიების ტექნიკა



1. მოწინააღმდეგეს ვეცლებით მარცხნივ



2. მარცხენა ხელით ვუკავებთ მარჯვენას



3. მარცხენა ხელით ვუტრიალებთ მაჯას



4. მარჯვენა ხელს ვურტყამთ იდაყვის ქვემოდან და ვამტვრევთ მკლავს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოში 320 ბირთვული ქობინი ინახებოდა

## ვაზიანში, კოპიტნარში, სენაკში, ფონიჭალაში, მიწისქვეშა სპეციალურ საწყობებში, ბირთვული ქობინები ათწლეულობით ინახებოდა, რის შესახებაც ახლომახლო მცხოვრებთ წარმოდგენაც არ ჰქონდათ

**1989 წლამდე საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მილიტარიზებული ქვეყანა იყო. ჩვენთან იმდენი საბჭოთა ბირთვული ქობინი ინახებოდა, რაც მთელი კონტინენტის გასანადგურებლად იკმარებდა.**

„ცივი ომის“ დროს საქართველოში, ალბათ, ხვდებოდნენ, რომ საბჭოთა ბირთვული შეიარაღება სადღაც იყო გადამალული, მაგრამ ეს იმ დროს ზესაიდუმლო თემას წარმოადგენდა და ვინმეს მცირე დაინტერესებაც რომ გამოეხატა, КГБ-ს „კლანჭებს“ ვერ გადაურჩებოდა.

ამ სტატიის ავტორი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც 1992 წელს შეეცადა, დაედგინა იმ ბირთვული ობიექტების ყოფილი ადგილსამყოფელი, რომლებიც 1989 წლამდე საქართველოს ტერიტორიაზე ინახებოდა. 1989 წლის გაზაფხულზე მოსკოვიდან მოსული საიდუმლო ბრძანების თანახმად ყველა ბირთვული ქობინი გაიტანეს საქართველოდან რუსეთში.

მაშინ, 1992 წელს, გაზეთ „7 დღეში“ გამოვაქვეყნე სტატია საბჭოთა ბირთვული ობიექტების ნაწილზე, რომელთა შორის მითითებული იყო ვაზიანისა და ფონიჭალის ბაზებიც. ფონიჭალის ბაზაში თავადაც მომიწია მიწისქვეშა ბუნკერის ნახვამ, რომელშიც მანამდე საზენიტო რაკეტებისთვის განკუთვნილი ბირთვული ქობინები ინახებოდა. იმ მომენტისთვის კი მხოლოდ საჰაერო ბირთვული აფეთქების იმიტატორი ქობინი იყო დარჩენილი. მოგვიანებით ვიღაცამ მაშინდელ თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანს უთხრა, რუსებს ატომური ბომბი დარჩენიათო და ამ „სტრატეგებსაც“ გაუჩნდათ აზრი, აფხაზეთში გამოვიყენოთო. რამდენიმე წლის შემდეგ აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველი სამხედრო მეთაურების მიერ ერთმანეთისთვის გაგზავნილი დოკუმენტი ააფრიალეს, — ქართველები გუდაუთაში ატომური ბომბის ჩამოგდებას აპირებდნენო.

სინამდვილეში, საქართველოში რუსეთს, რა თქმა უნდა, არავითარი ბირთვული შეიარაღება არ დარჩენია, თუმცა, 1989 წლამდე ჩვენს ტერიტორიაზე მართლაც ინახებოდა ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების შეიარაღებისთვის განკუთვნილი 320 ერთეული ბირთვული ქობინი.

ეს საკმაოდ დიდი ციფრია, რადგან საფრანგეთს დღეს მხოლოდ 350 ცალი ბირთვული ქობინი აქვს, დიდ ბრიტანეთს უფრო ნაკლები — 225, ისრაელს 150-მდე (თუმცა თელ-ავივი დღემდე არ აღიარებს ბირთვული იარაღის ქონას, თუმცა, არც უარყოფს), ინდოეთსა და პაკისტანს — ას-ასი. ჩინეთის ბირთვული არსენალი 400 ქობინითაა შეფასებული. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი ბირთვული ქობინი 2012 წლის მონაცემებით რუსეთში (11 ათასამდე) და აშშ-ში (8500) ინახება. თანაც, აქ მხოლოდ სტრატეგიული დანიშნულების შეიარაღებაში არსებული ბირთვული ქობინე-

ბია ჩამოთვლილი, ხოლო ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური ბირთვული ქობინების რიცხვი რუსეთსაც და აშშ-საც ათიათასობით აქვთ.

საბჭოთა კავშირმა პირველი ატომური ასაფეთქებელი მოწყობილობა 1949 წელს გამოცადა, 4 წლით გვიან აშშ-თან შედარებით.

ხუთი წლის შემდეგ, 1951 წელს, მოსკოვს მხოლოდ 35 ატომური ბომბი ჰქონდა, რომელთა გადასატანად Ту-4 ტიპის 22 ბომბდამშენისგან სპეციალური პოლკი შეიქმნა.

გასაგებია, რომ ატომური იარაღის ასეთი მცირე მარაგის გამო ისინი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, და მათ შორის საქართველოში, არ განთავსდებოდა.

პირველი ბირთვული ქობინები საქართველოში, სავარაუდოდ, 60-70-იან წწ-ებში გამოჩნდა, როდესაც კოპიტნარსა და სენაკში შედარებით თანამედროვე რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავები განთავსდა, ხოლო გომბორზე და შაუმიანში სარაკეტო ნაწილები შეიყვანეს.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ასაიდუმლოებდა ბირთვული ქობინების შესანახ ადგილებს. თავდაპირველად, 1951 წლისთვის ბირთვული იარაღის შესანახი ოთხი საჯარისო ბაზა შეიქმნა, რომლებიც შორეული ავიაციის ოთხი აეროდრომის სიახლოვეს იყო განთავსებული. ეს ტაქტიკა გასაგები იყო, რადგან მაშინდელი ატომური საავიაციო ბომბები ქარხნიდან საწყობებში დაშლილი სახით იგზავნებოდა, რომლებსაც საჯარისო ბაზებში აწყობდნენ.

მომდევნო წლებში მოსკოვი აგრძელებდა ბირთვული იარაღის შემნახველი ცენტრალური და საჯარისო ბაზების მშენებლობას მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის — საქართველოშიც.

საქართველოში ვაზიანის სამხედრო ბაზაში ინახებოდა იმ რაკეტებისთვის განკუთვნილი ბირთვული ქობინები, რომლებშიც შეიარაღებაში ჰქონდათ გომბორის 119-ე (Темп-С ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსები) და შაუმიანის 90-ე (9К72 Эльбрус-ის ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსები) სარაკეტო ბრიგადებს. თითოეულ ამ ბრიგადაში 12-12 ცალი მობილური გამშვები დანადგარი იდგა შეიარაღებაში.

Темп-С ტიპის სარაკეტო კომპლექსის, რომელიც ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ნადირაძის მიერ იყო შექმნილი, 9,7 ტონიან ბალისტიკურ რაკეტას 800 კმ-ის სიშორეზე 500 კილოტონა ტროტილის აფეთქების ეკვივალენტი სიმძლავრის ბირთვული ქობინი უნდა გადაეტანა.

შაუმიანში განთავსებულ „ელბრუსებს“, რომლებსაც დასავლეთში „სკადებს“ უწოდებდნენ, უფრო მოკრძალებული შესაძლებლობები ჰქონდა, — მას 300 კმ-მდე 50-დან 100 კტ-მდე სიმძლავრის ბირთვული ქობინი მიჰქონდა.

საერთოდ, საბჭოთა კავშირის შენახვის ცენტრალურ ბაზებში ექვსი სახეობის ბირთვული ქობინები ინახებოდა.

ეს იყო სახმელეთო ჯარების სარაკეტო ჯარებისა და არტილერიისთვის განკუთვნილი რაკეტების ბირთვული ქობინები. ასევე სპეციალური საარტილერიო გასროლები — ბირთვული 152 მმ და



საბჭოთა ატომური ბომბებისა და ბირთვული ქობინების მუზეუმი რუსეთში



შაუმიანში განთავსებული „სკადის“ ამ რაკეტებს საქართველოდან 300 კმ-ზე 50-100 კტ სიმძლავრის ბირთვული ქობინები შეეძლოთ „გაეგზავნათ“




ბირთვული იარაღის შესანახი საბჭოთა მიწისქვეშა საცავი

203 მმ-იანი საარტილერიო ჭურვები და 240 მმ-იანი ნაღმსატყორცნის ნაღმები.

სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის შენახული გახლდათ ბირთვული საავიაციო ბომბები და „ჰაერი-მიწა“ კლასის რაკეტების ბირთვული ქობინები.

სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებისთვის განკუთვნილი იყო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებზე დასაყენებელი ბლოკები, რომლებშიც ერთიდან 12-მდე ბირთვული ქობინი თავსდებოდა.

სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის განკუთვნილი იყო წყალქვეშა ნავების ბალისტიკურ რაკეტებზე დასაყენებელი ბირთვული ქობინები, ასევე, ხომალდსაწინააღმდეგო, წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო რაკეტებზე, ტორპედოებზე, საზღვაო ნაღმებსა და სიღრმულ ბომბებზე დასამონტაჟებელი ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობები.

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების საზენიტო რაკეტების ნაწილი აღჭურვილი იყო ბირთვულქობინიანი საზენიტო რაკეტებით, რომელთა გაშვება ჯგუფური საჰაერო სამიზნეების გასანადგურებლად იგეგმებოდა.

თავისი ბირთვული არსენალი ჰქონდა საინჟინრო ჯარებსაც. ისინი ცენტრალურ და საჯარისო ბაზებში ინახავდნენ სტაციონარულ და გადასატან საინჟინრო ბირთვულ ნაღმებს, რომლებიც ომის შემთხვევაში ხეობების ჩასახერგად, ხიდებისა და გვირაბების ასაფეთქებლად უნდა გამოეყენებინათ მოწინააღმდეგის შეტევის ტემპის შესანელებლად.

ზემოთ ჩამოთვლილი საბჭოთა ბირთვული შეიარაღებიდან იმ 320 ბირთვულ ქობინში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ინახებოდა, აუცილებლად იქნებოდა ბირთვული ბომბები და ბირთვულქობინიანი „ჰაერი-მიწა“ კლასის მართვადი რაკეტები (ვაზიანში, კოპიტნარში, სენაკში); ბირთვული ქობინები ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტებისთვის, ბირთვული საარტილერიო ჭურვები და ნაღმები, საინჟინრო ნაღმები, საზენიტო რაკეტების ბირთვული ქობინები ფონიჭალაში ინახებოდა.

სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო კომპლექსებისთვის განკუთვნილი ბირთვული ბლოკები საქართველოში ნამდვილად არ ინახებოდა და საეჭვოა, ყოფილიყო საზღვაო ბირთვული შეიარაღებაც ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზაში.

მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, შეიტყოს, რომ 1989 წელს გატანამდე, თუკი საქართველოში 320 ბირთვული ქობინი იყო დასაწყობებული, მეზობელ სომხეთში 200 ასეთი საშიში „სათამაშო“ ინახებოდა, ხოლო აზერბაიჯანში კი მხოლოდ 75.

ბირთვული ქობინების რაოდენობით საქართველო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მეექვსე ადგილს იკავებდა, რადგან ხუთი ქობინით „გვისწრებდა“ ლიტვა. ყველაზე მეტი ბირთვული ქობინი (როგორც სტრატეგიული, ისე ოპერატიული და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების) — 12320 მაშინ (1989 წელს) რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე იყო შენახული, უკრაინაში 2345, ბელორუსიაში — 1180, ყაზახეთში კი 330, ლატვიაში 185, თურქმენეთში 125, მოლდავეთში 90, ესტონეთში 270, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში 75-75.

ბირთვული იარაღის საწყობები ომის დაწყების გარეშეც ძალიან საშიშია იმ ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიაზეცაა განთავსებული, რადგან ისინი განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებენ. მიწისქვეშა ბირთვულ საწყობებში მუდმივად უნდა იყოს დაცული ტემპერატურული რეჟიმი. თავის დროზე, დადიოდა ხმა, რომ ვაზიანის საცავში თითქოს საბჭოთა პერიოდში ბირთვული ინციდენტი მოხდა, რომლის შედეგადაც მის სიახლოვეს რადიაციულმა ფონმა აიწია.

საქართველო დღეს არაბირთვული ქვეყნების რიგებშია და იმედია, ასეც გაგრძელდება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესაძლო გაწევრების შემდეგაც.

**ირაკლი ალადაშვილი**



სარაკეტო ბირთვულ ქობინებსა და ატომურ ბომბებს მობილური სარემონტო-ტექნიკური ბაზები ემსახურებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყალქვეშ და ჰაერშიც სასროლად



## რუსეთი ცდის ორ გარემოში ერთნაირად ეფექტურად მსროლელ ახალ ავტომატ АДС-ს

თავის დროზე, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ სამეცნიერო ინსტიტუტში, Цнииточмаш-ში (ზუსტი მანქანათმშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი), რომელსაც 1992-2000 წწ.-ებში ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ხინიკაძე ხელმძღვანელობდა, შექმნეს წყალქვეშა სასროლი პისტოლეტი და ავტომატი.

მათ შესახებ „არსენალის“ ამ რუბრიკაში ჩვენ უკვე ვწერდით, ამჯერად კი ყურადღებას საბჭოთა წყალქვეშა ავტომატის, АПС-ს (ავტომატი, წყალქვეშა, სპეციალური) კონსტრუქციის შემდგომ განვითარებაზე გავამახვილებთ.

წყალქვეშ სასროლად АСП-სთვის გამოიყენებოდა 5,45 მმ კალიბრის ვაზნა, რომელსაც 120 მმ (!) სიგრძის ტყვია ჰქონდა. ტყვიის წაგრძელებული ფორმა მას წყალქვეშ სროლის უპირატესობას ანიჭებდა, — 5 მ სიღრმეში აკვალანგისტს АПС-თი 30 მ-ში შეეძლო მიზანში მორტყმა, 20 მ სიღრმეში სროლის ეფექტური მანძილი 20 მ-მდე მცირდებოდა, ხოლო 40 მ სიღრმეში კი 10 მ-მდე. ეს არცთუ ისე ურიგო მაჩვენებელი გახლდათ, რადგან წყალქვეშ ხილვადობა ისედაც მცირეა.

მეორე მხრივ, АПС-ს ჰქონდა უდიდესი ნაკლი, — თუკი ნასროლი 12 სმ-



წყალქვეშ და ჰაერში სასროლად განკუთვნილი ავტომატი АДС-ი მაყუჩით, ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნითა და ოპტიკური სამიზნით



АПС-ი და 12 სმ-იანი სიგრძის ტყვიებიანი ვაზნები

ის ტყვია წყალქვეშ მიზანს აგნებდა, ამოყვინთვისთანავე სროლისას ავტომატი უსარგებლო ხდებოდა, რადგან წაგრძელებული ტყვია ჰაერში ფრენისას ვერ ინარჩუნებდა სტაბილურობას და მიზანში გარტყმაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

ამიტომაც საბჭოთა, ხოლო შემდგომ რუს წყალქვეშა დივერსანტებს ორი ცეცხლსასროლი იარაღის ტარება უწევდათ: წყალქვეშ სასროლად — АПС-სა, ხოლო ამოყვინთვის შემდეგ კი ჩვეულებრივი „კალაშნიკოვისა“.

ეს პრობლემა რომ მოეხსნათ, 90-იანი წლების ბოლოს რუსმა კონსტრუქტორებმა შექმნეს АПС-ს მოდერნიზებული ვარიანტი АСМ-ДТ „Морской лев“-ი.

ახალი რუსული „ზღვის ლომის“ სროლა წყალქვეშაც შეიძლებოდა და ჰაერშიც. ამისთვის მხოლოდ საჭირო იყო მჭიდების შეცვლა, მით უმეტეს, რომ ლულის კალიბრი მისაღები იყო ორივე ტიპის ტყვიისთვის.

წყალქვეშ „ზღვის ლომს“ АПС-ს დიდგაბარიტიანი მჭიდი ჰქონდა, რომელშიც 120 მმ სიგრძიანი ტყვიის მქონე МПС-ს ტიპის 26 ვაზნა ჩადიოდა. ამოყვინთვის შემდეგ აკვალანგისტი ხსნიდა მჭიდს და მის მაგივრად АК-74-ის სტანდარტულ მჭიდს აყენებდა, რომელშიც 5,45X39 მმ კალიბრის 30 ვაზნა ეწყო.

„ზღვის ლომის“ ჰაერში სროლის სიზუსტე უახლოვდებოდა დამოკლებულლულიანი АКС-74У-ის მახასიათებლებს, რაც ბევრად მაღალი მაჩვენე-



АСМ-ДТ „Морской лев“-ი ორი ტიპის მჭიდით წყალქვეშ და ჰაერში სასროლად





წყალქვეშ АДС-თი სროლის მომენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი იყო, ვიდრე АПС-თი ნასროლი 12 სმ-იანი ტყვიებით მიღწეული.

თითქოს გამოსავალი მიღწეულ იქნა და წყალქვეშა დივერსანტს აღარ სჭირდებოდა ორი ავტომატის ტარება, თუმცა რუსი სამხედროები მაინც უკმაყოფილო იყვნენ АПС-ის დიდი გაბარიტების გამო (განსაკუთრებით მისი უზარმაზარი მჭიდით) და კონსტრუქტორებისგან მოითხოვდნენ მართლაც უნივერსალური იარაღის შექმნას, რომელიც ეფექტური იქნებოდა როგორც წყალქვეშ, ისე ჰაერში სროლის დროს.

2005 წელს ტულის საიარაღო ქარხნის სპეციალისტებმა შექმნეს პრინციპულად ახალი ავტომატი АДС (ავტომატი, ორ გარემოში გამოსაყენებელი, სპეციალური), რომელიც წყალქვეშაც და ჰაერშიც ერთი და იმავე მჭიდს იყენებდა.

როგორ მიაღწიეს ამას კონსტრუქტორებმა?

მათ უარი თქვეს МПС ტიპის სპეციალურ ვაზნაზე და მის 12 სმ-იან ტყვიაზე. აიღეს სტანდარტული 5,45X39 ტიპის ვაზნის ჰილზა, მასში 53 მმ სიგრძის ტყვია მოათავსეს და თანაც ისე, რომ ვაზნის გაბარიტები არ გასცდენოდა სტანდარტულ პარამეტრებს.

მაგალითად, სტანდარტული 5,45X39 მმ კალიბრის ავტომატის ვაზნის საერთო სიგრძე 57 მმ-ია, ჰილზის სიგრძე — 39,8 მმ. 3,2 გ მასის ტყვია ჰილზაში მხოლოდ მცირედითაა „ჩაძირული", დანარჩენ ადგილს ჰილზაში დენთი ავსებს.

АДС-სთვის შექმნილი ახალ 53 მმ სიგრძის ტყვია კი იმავე ჰილზაში ბოლომდე „ჩასვეს", რის გამოც მისი საერთო სიგრძე სტანდარტულისას გაუტოლდა. ახალ ვაზნას ПСП უწოდეს. მისი 16 გ მასის ჯავშანგამტანი ტყვია წყალქვეშ 5 მ სიღრმეზე მიზანს 25 მ-ში ხვდება, ხოლო 20 მ სიღრმეში სროლის ეფექტურობა 18 მ-ს შეადგენს.

ПСП-ს ვაზნის ტყვიის კონფიგურაცია МПС-ს 12 სმ სიგრძის ტყვიასავით



რუსი აკვალანგისტი АПС-თი

წაგრძელებული არ არის, თუმცა წყალქვეშ გადაადგილებისას მის გარშემო წარმოიქმნება კავიტაციური ეფექტი, რაც ზრდის მის ეფექტურობას.

ჰაერში გასროლისას ПСП-ს ტყვიის საწყისი სიჩქარე 330 მ/წმ-მდე აღწევს, რაც პისტოლეტით ტყვიის გასროლის საწყისი სიჩქარის ტოლია. მაყუჩის გამოყენებისას შეიძლება გასროლის ხმის მნიშვნელოვნად შემცირება. მეორე მხრივ, ჯავშანგამტანიანი ტყვიით ПСП-ს ვაზნების წარმოება ძვირად ღირებული სიამოვნებაა, ამიტომაც კონსტრუქტორებმა ასევე შექმნეს სასწავლო ПСП-У ტიპის ვაზნები, რომლებშიც ჯავშანგამტანის ნაცვლად უფრო იაფი 8 გ-იანი ბრინჯაოს ტყვიებია მოთავსებული.

АДС-ის საშუალებით რუს წყალქვეშა დივერსანტებს საშუალება აქვთ ПСП-ს სპეციალური ვაზნები გამოიყენონ როგორც წყალქვეშ, ისე ჰაერში სროლისას, თუმცა, რა თქმა უნდა, მათ თან АК-74-ის სტანდარტული ვაზნებით შევსებული მჭიდებიც ექნებათ, რადგან ამოყვინთვის შემდეგ მხოლოდ ПСП-ს გამოყენება ძვირად ღირებული სიამოვნებაა.

რაც შეეხება თავად АДС-ს ავტომატს, მის შესაქმნელად კონსტრუქტორებმა საბაზისო ვარიანტად აიღეს А-91М ტიპის ავტომატი, რომელიც „ბულპაპის" სქემით იყო დამზადებული, რითაც ზომებში მოიგეს. ავტომატს დაუმატეს გადამრთველი „წყალი/ჰაერი", რომელიც გამოიყენება იმის მიხედვით, თუ სად ისვრიან — წყალქვეშ თუ ჰაერში. ეს გადამრთველი არეგულირებს აირგამტანი მექანიზმის მუშაობას.

АДС-ს ლულის ქვეშ 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნის დაყენებაც შეიძლება. მისი გასროლა შეიძლება დამატებითი სასხლეტით, რომელიც ძირითად სასხლეტის წინაა დამონტაჟებული.

2009 წლიდან მიმდინარეობს ორ გარემოში (წყალქვეშ და ჰაერში) მოქმედი ავტომატის, АДС-სა და სპეციალური ვაზნების ПСП-ების გამოცდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სპეცდანიშნულების დანაყოფებში. მათი სერიულად წარმოებისა და შეიარაღებაში მიღების შემდეგ საზღვაო სანაპირო ზოლისა და პორტების მქონე ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, მოუწევთ იმის გათვალისწინება, რომ რუსი წყალქვეშა დივერსანტები უფრო ეფექტური იარაღით აღიჭურვნენ.

***ირაკლი ალადაშვილი***



АДС-ის არასრული დაშლა

არსენალი




# АДС

ISSN 1987 - 5061
9 771987 506007